N 04/1030
29.12.2023

# ბრძანება

1030-01-4-202312291149

**საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 24 მარტის N04/149 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 33-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტებისა და „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი - ,,გადაწყვეტილება ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის დაწყების და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 24 მარტის N04/149 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის თაობაზე“ - თანდართული ფორმით.

2. დადასტურდეს შპს ,,ავერსი ფარმას“ (ს/ნ 211386695), სს ,,გეფას“ (ს/ნ 201991229), შპს ,,პსპ ფარმას“ (ს/ნ 202203123) და შპს ,,მერმისის“ (ს/ნ 201947340) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა.

3. არ დადასტურდეს შპს „ეს კა იმპექსის“ (ს/ნ: 204898441) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა.

4. არ დადასტურდეს შპს „ავერსი ფარმას“ (ს/ნ: 211386695), სს „გეფას“ (ს/კ: 201991229), შპს „პსპ ფარმას“ (ს/ნ: 202203123), შპს „მერმისის“ (ს/კ: 201947340) და შპს „ეს კა იმპექსის“ (ს/ნ 204898441) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა.

5. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული დარღვევისათვის ეკონომიკურ აგენტებს დაეკისროთ ჯარიმა შემდეგი ოდენობით:

5.1 შპს „ავერსი ფარმას“ (ს/ნ: 211386695) - 14 402 425.0 ლარის ოდენობით;

5.2 სს „გეფას“ (ს/ნ: 201991229) - 20 349 336.13 ლარის ოდენობით;

5.3 შპს „პსპ ფარმას“ (ს/ნ: 202203123) - 17 094 872.88 ლარის ოდენობით;

5.4 შპს „მერმისს“ (ს/ნ: 201947340) - 951 301.15 ლარის ოდენობით.

6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარედგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

7. დამტკიცებული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს ყველა მოპასუხე მხარეს.

8. დამტკიცებული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

9. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით.

10. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

11. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**საფუძველი:** მოკვლევის ჯგუფის 2023 წლის 29 დეკემბრის №03/1167 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

# საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

# „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის დაწყების და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 24 მარტის N04/149 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის თაობაზე

## გადაწყვეტილება

თბილისი, 2023 წელი

# სარჩევი


1. ნორმატიული რეგულირება ..... 2

1.1. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებთან მიმართებით ..... 2

1.2. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული რეგულირება ..... 6

1.3. ფარმაცევტული ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა ..... 7

1.4. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ზოგადი ნორმატიული შემადგენლობა ..... 9

1.5. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სპეციალური ნორმატიული შემადგენლობა - ფასების ფიქსაცია ..... 13

2. ბაზრის ანალიზი ..... 14

2.1. პროდუქციული საზღვრები ..... 14

2.2. გეოგრაფიული საზღვრები ..... 16

2.3. დროითი ჩარჩო ..... 17

3. მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ქმედების ანალიზი ..... 17

4. მოპასუხე ეკონომიკური აგენტების პოზიცია სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ ქმედებასთან დაკავშირებით ..... 26

4.1. უცხოური მიმწოდებლების მიერ სარეკომენდაციო ფასების დადგენის საკითხი ..... 26

4.2. ონკოლოგიური მედიკამენტების მომწოდებელი/მწარმოებელი კომპანიების პოზიცია სარეკომენდაციო საკითხებთან დაკავშირებით ..... 30

4.3. სააგენტოს შეფასება სარეკომენდაციო ფასების მიმართულებით ..... 33

4.4. მოპასუხე ეკონომიკური აგენტების დამატებითი არგუმენტაციები ..... 36

4.4.1. შპს „ავერსი ფარმა“ ..... 37

4.4.2. შპს „პსპ ფარმა“ ..... 40

4.4.3. სს „გეფა“ ..... 43

4.4.4. შპს „მერმისი“ ..... 44

4.4.5. შპს „ეს კა იმპექსი“ ..... 46

5. მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებული და შემაჯამებელ სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციები ..... 47

5.1. გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი მსგავსი პოზიციები ..... 47

5.1.2. შპს პსპ ფარმა ..... 60

5.1.3. შპს ავერსი ფარმა ..... 63

6. სააგენტოს შეფასება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით ..... 66

დასკვნა ..... 68
სანქცია ..... 69
სარეზოლუციო ნაწილი ..... 74
რეკომენდაცია ..... 75

# შესავალი

საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში - ,,სააგენტო“, ,,კონკურენციის სააგენტო“), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“) მიერ, 2023 წლის 23 მარტს ონკოლოგიური მედიკამენტების იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანიების მიერ ფასების ზრდის და ამავე მედიკამენტებზე იდენტური ფასწარმოქმნის დაწესების შესახებ გასაჯაროებული ინფორმაციის და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წერილობითი მომართვის (თარიღი: 23.03.2023; რეგ: N 01/953) საფუძველზე, სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 24 მარტის N04/149 ბრძანების შესაბამისად დაიწყო საქმის მოკვლევა სს „გეფას“ (ს/ნ 201991229), შპს „ავერსი ფარმას“ (ს/ნ 211386695), შპს „პსპ ფარმას“ (ს/ნ 202203123) და შპს „მერმისის“ (ს/ნ 201947340) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-6 და მე-7 მუხლების მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტებზე. სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 11 მაისის N04/254 ბრძანებით, სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 24 მარტის N04/149 ბრძანებით დაწყებულ საქმის მოკვლევაში განხორციელდა შპს „ეს კა იმპექსის“ (ს/ნ 204898441) მოპასუხე მხარედ ჩართვა.

იქიდან გამომდინარე, რომ მოკვლევის დაწყებას საფუძვლად დაედო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2023 წლის 23 მარტს ონკოლოგიური მედიკამენტების იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანიების მიერ ფასების ზრდის და ამავე მედიკამენტებზე იდენტური ფასწარმოქმნის დაწესების შესახებ გასაჯაროვებული ინფორმაცია ზემოაღნიშნულ წერილობით მომართვასთან ერთად, მოკვლევის ფარგლებში კომპანიების ქცევის შესაბამისობის შეფასება კანონის მე-6 და მე-7 მუხლებთან მიმართებაში განხორციელდა 2021-2023 წლების პერიოდის ფარგლებში.

# 1. ნორმატიული რეგულირება

## 1.1. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებთან მიმართებით

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.“

კანონის პირველი მუხლით, რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, კანონის მოთხოვნათა შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა და დაცვა, აგრეთვე ამ მიზნით ყველა სახის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

კანონის მე-16 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, სააგენტო თავისი საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დამოუკიდებელია. ამასთან, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დებულებით დამტკიცებული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საქმიანობს დამოუკიდებლობის, არადისკრიმინაციულობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს კანონი მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიმართ დომინანტური მდგომარეობის ფაქტის დადგენა თავისთავად არ წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას, არამედ, ასეთ ეკონომიკურ აგენტს აკისრებს სპეციალურ ვალდებულებას, არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც შესაბამის ბაზარზე საფრთხეს შეუქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს.

თავად „დომინანტური მდგომარეობის“ ცნებას კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-5 მუხლი კი განმარტავს, რომ დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის, აგრეთვე მისი კონკურენტების საბაზრო წილების, ბაზარზე შესვლის ბარიერების, წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროს ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების

განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სააგენტო ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს და საბაზრო ძალაუფლებას განსაზღვრავს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5%-ს, ხოლო დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან აღნიშნული დარღვევის განმეორების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10%-ს.

კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად კი, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ:

*ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);*
*ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;*
*გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;*
*დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;*
*ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.*

ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალული შეთანხმება ბათილია, თუ მასზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი გამონაკლისები. კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებაზე, თუ მონაწილეთა საბაზრო წილი კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვრებში ექცევა (გამონაკლისი არ ვრცელდება მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე).

კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები შეიძლება არ იქნას გამოყენებული იმ შეთანხმების მიმართ, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდას, თუ ეს დებულებები:

*ა) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებს ისეთ შეზღუდვას, რომელიც არ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან;*

*ბ) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.*

შესაბამისი გარემოებების დასაბუთება ევალებათ ეკონომიკურ აგენტებს, ხოლო გამონაკლისები დგინდება განსაზღვრული ვადით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით („კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისები“ განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის N526 დადგენილებით), თუმცა ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ეს დადგენილება არ ვრცელდება და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამონაკლისისადმი მიკუთვნება დაუშვებელია, თუ განსახილველი შეთანხმება გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენის (ფიქსირების) შესახებ;
ბ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილების შესახებ.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5%-ს. კანონის 33[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირი სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება ამ კანონის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან, თუ იგი დააკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

*ა) წერილობით აღიარებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას;*
*ბ) სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით წარუდგენს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ მისთვის ცნობილ, საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მტკიცებულებას მანამ, სანამ ეს ინფორმაცია და მტკიცებულება სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;*
*გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან;*
*დ) შეწყვეტს კანონის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო მიიჩნევს, რომ პირის მიერ ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელება საქმის მოკვლევას ხელს შეუწყობს;*
*ე) არ გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტსა და მტკიცებულებას;*
*ვ) არ გაამჟღავნებს ინფორმაციას თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.*

კანონით დაწესებული შეღავათი არ ვრცელდება მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირს აღნიშნულ შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა. თანამშრომლობის

პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის ამ კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესს განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 22 ოქტომბრის N33 ბრძანება.

## 1.2. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული რეგულირება

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - „პროცედურა“) მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის 25-ე მუხლისა და პროცედურის მე-6 მუხლის თანახმად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სააგენტო იწყებს საქმის მოკვლევას და არაუგვიანეს 6 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ამასთან, მოკვლევის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქმის მოკვლევა შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.

კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის. ამავე კანონის 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს სანქციას სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მისთვის მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობისთვის, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებისათვის.

პროცედურის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

პროცედურის მე-20 მუხლის მიხედვით, სააგენტო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სააგენტო უფლებამოსილია:

*ა) შეაგროვოს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით;*
*ბ) მიიღოს ახსნა-განმარტება ან გამართოს საკონსულტაციო შეხვედრა საქმის გარემოებათა დასადგენად;*

*გ) მოიწვიოს ექსპერტი;*
*დ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.*

პროცედურის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად სააგენტოს თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია ახსნა-განმარტების მისაღებად მოიწვიოს მხარე ან/და დაინტერესებული მხარე. პროცედურის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო, ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, ატარებს სხდომას მხარეთა მონაწილეობით, ხოლო 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოკვლევის ინტერესების გათვალისწინებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია მოხდეს სხდომის ჩატარების გარეშე, ინდივიდუალური ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გზით.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების თანახმად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

პროცედურის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ ინიშნება შემაჯამებელი სხდომა მხარეებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების/პირების მონაწილეობით, ხოლო 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი სხდომის დასრულების შემდგომ მოკვლევის ჯგუფი ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

## 1.3. ფარმაცევტული ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სამართლებრივ საფუძვლებს ადგენს საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, კერძოდ აღნიშნული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოცემული კანონის მიზანია

ხელი შეუწყოს სანდო ფარმაცევტულ პროდუქტზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდას, რის უზრუნველსაყოფადაც კანონმდებლის მიერ განსაზღვრულია ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები და ამ სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობები.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ბაზარზე ფარმაცევტული პროდუქტის დაშვება ხორციელდება სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი და სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით. ეროვნული რეჟიმით ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციით დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებელი ან სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი, ხოლო აღიარებითი რეჟიმი გამოიყენება იმ ფარმაცევტული პროდუქტის მიმართ, რომელიც სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს მიერ დაშვებულია შესაბამის ბაზარზე. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ი“ და „პ“ ქვეპუნქტებით დადგენილია, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებულ სამედიცინო მომსახურების მოცულობასა და ხარისხზე, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია სახელმწიფოს მიერ პროგრამული და მიზნობრივ-პროგრამული წესით ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება და ა.შ. ამავე კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, კი საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვთ, ისარგებლონ დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით, რასაც განახორციელებს სათანადო სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტი, განურჩევლად საკუთრებისა და სამართლებრივი ფორმისა. ამასთან, აღნიშნული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო დაფინანსებით მიზნობრივი ჯგუფის სამედიცინო მომსახურება ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით ან ვაუჩერის საშუალებით, ხოლო მე-11 პუნქტი ადგენს, რომ ვაუჩერის პირობები (მათ შორის, ვაუჩერის მიმღები ორგანიზაციების ნების გამოხატვის, ვაუჩერის გაცემის წესები, სამედიცინო მომსახურებათა ნუსხა, ვაუჩერის ღირებულება, აგრეთვე ვაუჩერის გამოყენებასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა) განისაზღვრება საქართველოს კანონით ან/და საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებულია „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“ (შემდგომში - „N36 დადგენილება“). N36 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროგრამის ფარგლებში შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილ ვადაში და წესით წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს პროგრამაში

მონაწილეობის სურვილს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ეს პროგრამა და თანდართული დანართები, ამავე პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური, პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე, ერთობლივად წარმოადგენს შეთანხმებას პროგრამის განმახორციელებელსა და მიმწოდებელს შორის და შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან, გარდა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

ამასთან, N36 დადგენილების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ ვაუჩერის მოსარგებლეს უფლება აქვს, შესაბამისი სამედიცინო ვაუჩერით გათვალისწინებული მომსახურება მიიღოს პროგრამის ნებისმიერი მიმწოდებლისაგან, თუ პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამავე დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებებს წარმოადგენენ პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება - სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო და სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, ხოლო დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, მიმწოდებლები განმახორციელებელს წარუდგენენ საანგარიშგებო დოკუმენტაციას, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარადგინოს განმახორციელებელთან არა უგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, თუ პროგრამის ცალკეული კომპონენტის სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 1.4. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ზოგადი ნორმატიული შემადგენლობა

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ის ზოგადი ნორმატიული შემადგენლობა, რომელიც თანაბრად ვრცელდება ნებისმიერი სახის შეთანხმებაზე (სპეციალურ ნორმატიულ შემადგენლობაზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ნორმატიული შემადგენლობით გათვალისწინებული ყველა ელემენტი აუცილებლად უნდა იქნეს თანაბრად დადგენილი ცალკეული შეთანხმების არსებობის მტკიცების პროცესში.

აღნიშნული ნორმატიული ელემენტები შესაძლებელია დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად: 1. სუბიექტები; 2. ქმედება; 3. კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი; 4. შესაბამისი ბაზარი, სადაც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების შედეგად

კონკურენცია იზღუდება. განსახილველი ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიკაციის პროცესში აუცილებელია ყველა დასახელებული პირობის კუმულატიურად არსებობა.

**სუბიექტები** - აღნიშნულ კატეგორიაში, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოიაზრებიან: 1. ეკონომიკური აგენტები და 2. ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებები. ევროკავშირის სამართალში ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა „ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა.“[1] ეკონომიკური საქმიანობა კი განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბაზარზე საქონლის და მომსახურების შეთავაზებას.“[2] შინაარსობრივად ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს ქართული კანონმდებლობაც, რომელიც, კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადგენს, რომ „ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა.“

კანონის მე-7 მუხლი ასევე მოიცავს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებულ ისეთ ხელშეკრულებებს, მიღებულ გადაწყვეტილებებს ან შეთანხმებულ ქმედებებს, რომელთაც გააჩნიათ კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი. ანალოგიურ მიდგომას ვხვდებით ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკაშიც, სადაც შესაბამისი დარღვევის განმახორციელებელ პირებად ასევე მოაზრებიან სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები, მათ შორის, ბიზნეს გაერთიანებები და პროფესიული/დარგობრივი ასოციაციები.

**ქმედება** - ნორმის აღნიშნული ელემენტი წარმოდგენილია სამი ალტერნატივის სახით: 1. შეთანხმება; 2. შეთანხმებული ქმედება და 3. გადაწყვეტილება. კანონი არ იძლევა შეთანხმების განმარტებას, თუმცა ევროკავშირის პრაქტიკაში შეთანხმება განმარტებულია, როგორც „ეკონომიკურ აგენტთა ნების თანხვედრა გარკვეული პოლიტიკის განხორციელების, გარკვეული მიზნისაკენ სწრაფვის ან ბაზარზე ქცევის მოცემული კურსის არჩევის შესახებ.“[3] გადამწყვეტია რაიმე ფორმით, პირდაპირი ან არაპირდაპირი მტკიცებულებით დგინდებოდეს

---

[1] შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/166, 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018 და სხვა გადაწყვეტილებები ასევე, იხ. Case C-41/90, Höfner and Elser, [1991] ECR I-1979, ECLI:EU:C:1991:161, აბზ. 21.

[2] შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე - სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/166, 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018 და სხვა გადაწყვეტილებები ასევე, იხ. - Case 118/85, Commission v Italy [1987] ECR 2599, ECLI:EU:C:1987:283, აბზ. 7.

[3] შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31. თარიღი: 09.03.2021. საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018.
ასევე იხ. Case T-41/96, Bayer AG v Commission, [2000] ECR II-3383.

ეკონომიკური აგენტების ნებათა თანხვედრა, რაც შეიძლება დოკუმენტურად იყოს დაფიქსირებული, ან გამომდინარეობდეს მხარეთა შემდგომი ქცევიდან.[4]

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში შეთანხმებულ ქმედებას განმარტავს, როგორც „კოორდინირებულ ქცევას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, გაცნობიერებულად ახდენს კონკურენტული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლებას.“[5] ამასთან, აუცილებელია, გაიმიჯნოს გარკვეული ქმედება პრაქტიკული თანამშრომლობის გამოხატულებაა, თუ დამოუკიდებელ ქმედებას წარმოადგენს.[6]

„შეთანხმებული ქმედების“ კონცეფციასთან დაკავშირებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ იგი არ მოიცავს „რეალური გეგმის შემუშავებას“.[7] ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ „კონცეფცია ეკონომიკურ აგენტებს არ ართმევს შესაძლებლობას, გონივრულად ადაპტირდნენ კონკურენტის არსებულ თუ მოსალოდნელ ქცევასთან“,[8] იგი კრძალავს ნებისმიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ კონტაქტს, რომლის მიზანია ან რომლის შედეგია ბაზარზე არსებული ან პოტენციური კონკურენტის ქცევის ცვლილება ან ასეთი კონკურენტისთვის იმ ქმედებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლის ბაზარზე განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება თავად მიიღეს ან განზრახული აქვთ ამ ქმედებების განხორციელება.[9]

გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეში *Hüls v Commision* დაადგინა, რომ „შეთანხმებული ქმედების“ კონცეფცია, გარდა ეკონომიკური აგენტების შეთანხმებისა, გულისხმობს/მოიცავს ბაზარზე თანმდევ ქცევასა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.[10]

ასოციაციის გადაწყვეტილების კონცეფცია საკმაოდ ფართოდ განიმარტება და შეიძლება გამოიხატოს როგორც ფორმალურ (მაგ. ბრძანების სახით გამოცემულ, წესდებაში დაფიქსირებულ, რეგულაციის სახით მიღებულ), ისე არაფორმალურ ან სარეკომენდაციო

---

[4] შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022 Case T-41/96, Bayer AG v Commission, Case T-41/96, [2000] ECR II-3383.

[5] Joined Cases 48, 49, 51-7/69, ICI v Commission (Dyestuffs) [1972] ECR 619, ECLI:EU:C:1972:70. აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31, თარიღი: 09.03.2021; შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/166, თარიღი: 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018.

[6] ჯონსი, სუფრინი, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: ტექსტი, გადაწყვეტილებები და მასალები, გვ. 710

[7] Joined cases 40 to 48, 50, 54 to 56, 111, 113 and 114-73, Coöperatieve Vereniging "Suiker Unie" UA and others v Commission of the European Communities [1975], ECR 1663, ECLI:EU:C:1975:174.

[8] Case C-89/85, Ahlström Osakeyhtiö and Others v Commission [1993], ECR I-01307, ECLI:EU:C:1993:120, აბზაცი 71.

[9] Joined Cases 48, 49, 51-7/69, ICI v Commission (Dyestuffs) [1972] ECR 619, ECLI:EU:C:1972:70. აბზაცი 174.

[10] Case C-199/92 P, Hüls AG v Commission of the European Communities [1999] ECR 1999 I-04287, ECLI:EU:C:1999:358, აბზაცი 161.

ხასიათის მითითებებში. რეკომენდაცია ჩაითვლება გადაწყვეტილებად, თუ ის მიზნად ისახავს ან სავარაუდოა, რომ გავლენას მოახდენს ეკონომიკურ აგენტთა ქმედებებზე.[11]

**კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი** - სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით და ასევე შემუშავებული მე-7 მუხლის გზამკვლევის თანახმად, აღნიშნული წინაპირობა ეკონომიკური აგენტის მიერ ჩადენილ ქმედებასა და კონკურენციის შეზღუდვას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად გამოიყენება.[12] კონკრეტული შეთანხმებები მხოლოდ მაშინ ხვდება შესაბამისი ნორმის მოქმედების სფეროში, თუ მათ აქვთ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი.[13]

ევროკავშირის სამართლის მიხედვით, კონკურენციის შეზღუდვის დასადგენად აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს, რომ ქმედება ჩადენილი იყოს კონკურენციის შეზღუდვის განზრახვით თუ ცოდნით.[14] გადამწყვეტია გაუფრთხილებლობითი ბრალის - *„არ შეეძლოთ, რომ არ სცოდნოდათ“* - სტანდარტის დაკმაყოფილება.[15] მაგალითად, „საავტომობილო საწვავის" (II) საქმეში, სააგენტო მე-7 მუხლით გათვალისწინებული მიზნის და შედეგის მქონე დარღვევის კატეგორიების დიფერენციაციას ბრალეულობასთან კავშირში განიხილავს და დარღვევის შედეგის „გაუფრთხილებლობით“ დადგომის შესაძლებლობაზე უთითებს.[16]

**შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა** - კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამოვლენისას, შესაძლებელია განისაზღვროს ის ბაზარი, სადაც შესაბამისი შეთანხმების შედეგად ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვას, დაუშვებლობას ან/და აკრძალვას.[17] თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, შეზღუდვის ეფექტი ცალკე მტკიცებას არ საჭიროებს.[18]

---

[11] Case C-309/99, Wouters v Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten [2002] ECR I-1577, ECLI:EU:C:2002:98; Case C-136/12, Consiglio nazionale dei geologi v Autorità garante della concorrenza e del mercato, [2013] Digital Reports of the Court, ECLI:EU:C:2013:489;. აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31. თარიღი: 09.03.2021.

[12] გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, 2017, გვ. 7-8.

[13] „საქართველოს კონკურენციის სამართალი“, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 201.

[14] Case 19/77, Miller International Schallplatten GmbH v Commission [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19.

[15] Case 246/86, BELASCO v Commission [1989] ECR 2117, ECLI:EU:C:1989:301.

[16] საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 51.

[17] შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით იხ., სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 37 ბრძანება „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“.

[18] Joined Cases C-501/06 P, GlaxoSmithKline para 55, Beef Industry Development Society amd Barry Brothers (Carrigmore) Meats), para 16, case C-8/08 T-Mobile Netherland and others {2009} ECR I-4529, paras 29 ff. and others; აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31, თარიღი: 09.03.2021.

## 1.5. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სპეციალური ნორმატიული შემადგენლობა - ფასების ფიქსაცია

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დარღვევა - ფასის ფიქსაცია, სააგენტოს მიერ, მსგავსად ევროკავშირის სამართლისა, განიხილება კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებად. კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებაში სააგენტო მოიაზრებს ისეთი სახის შეთანხმებას, რომელსაც დამატებით არ ესაჭიროება კონკურენციის შემზღუდველი შედეგის შეფასება. ხსენებული ასევე მითითებულია საავტომობილო საწვავის საქმეებზე, რომლის მიხედვით *„ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი შეთანხმების არსებობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აწესებს შესყიდვის ან გაყიდვის ფასს, ავტომატურად წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას, იმგვარად, რომ აღარ ხდება მისი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის შეფასება.“*[19] ევროკომისიას საკუთარ პრაქტიკაში სტაბილურად აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია, რომლის თანახმად ფასების ფიქსაცია ნებისმიერ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კონკურენციის მთავარ იდეას და მისი შედეგების კვლევა არ მიიჩნევა რეკომენდირებულად.[20]

საერთაშორისო პრაქტიკასთან და მიდგომებთან დაკავშირებით, სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ აშშ-ში ეკონომიკური აგენტების შეთანხმება ფასების ფიქსაციასთან დაკავშირებით, ავტომატურ რეჟიმში უკანონოდ მიიჩნევა *(Per Se).* შესაბამისად, აღნიშნული შეთანხმებები არ ექვემდებარებიან შემდგომ გამოკვლევას მიზეზობრიობის კონტექსტში, რაც გულისხმობს როგორც მოცემულ შეთანხმებასა და შესაბამისი ბაზრის კონკურენტული გარემოსთვის ზიანის მიყენებას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის საჭიროების გამორიცხვას, აგრეთვე შეთანხმების კონკურენტული გარემოსათვის თეორიულად სავარაუდო ეკონომიკურად სასარგებლო ეფექტის გამოკვლევის საჭიროების გამორიცხვასაც. ევროკავშირის სამართლის მიხედვით, ფასების ფიქსაცია გაუმართლებელია, როგორც კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მქონე შეთანხმება, რის გამოც ევროკავშირის ფარგლებშიც მსგავსად ამერიკული მიდგომისა, მოცემულ შეთანხმებას გააჩნია წმინდა ნეგატიური ეფექტი შესაბამისი ბაზრის კონკურენტულ გარემოზე და აღნიშნულის გათვალისწინებით, შეთანხმებული ქმედებით რეალურად გამოწვეული/პოტენციური შედეგი შეფასებას არ საჭიროებს.

აშშ-ში კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები ეწინააღმდეგება შერმანის აქტის პირველ ნაწილს, რომელიც კრძალავს „ვაჭრობის შეზღუდვას.“[21] აშშ-ს სასამართლოს გადაწყვეტილებით, Standard Oil Co-ის საქმეში, დაწესდა Per Se პრინციპი. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, შესაძლებელია კონკრეტული ქცევის კლასიფიკაცია, რომელიც

---

[19] საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018; საავტომობილო საწვავის (III) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/536, თარიღი: 16.08.2023.

[20] *ცერცვაძე გ.,* კონკურენციის სამართალი - ევროპული მოდელი საქართველოსთვის ტომი I, თბილისი, 2020, 109.

[21] Sherman Act [Enacted July 2, 1890; 26 Stat. 209] ხელმისაწვდომია: https://www.govinfo.gov/content/pkg/COMPS-3055/uslm/COMPS-3055.xml

არსებითად ანტიკონკურენტულია მისი „ბუნებისა და ხასიათის“ გათვალისწინებით. ფასების ფიქსაციასთან დაკავშირებული შეთანხმებები, რომლებიც ასევე ცნობილია როგორც „აშკარად შემზღუდველი („შიშველი“) შეთანხმებები“, მიჩნეულია, რომ იმსახურებს დაუყოვნებლივ აღკვეთას, რადგან მათი შედეგები საზიანოა. აშშ-ში შეთანხმებები, რომლებიც არღვევენ შერმანის აქტის პირველ ნაწილს, უდავოდ ითვლებიან კონკურენციის საწინააღმდეგოდ და გამორიცხულია ასეთი შეთანხმების ანტიკონკურენტული ეფექტის დაბალანსება მისი შესაძლო სარგებლიანობის ფაქტორებით. ამ ტიპის ხელშეკრულება ვერ ქმნის ობიექტურ ეკონომიკურ უპირატესობებს და არ მოაქვს მომხმარებლებისთვის სარგებელი.

## 2. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

### 2.1. პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

ევროკომისიის გამოცდილებით,[22] მედიკამენტების ბაზარზე ურთიერთჩანაცვლებადობის ზღვარი გადის ATC (ანატომიურ-თერაპიულ-ქიმიური) კლასიფიკაციის[23] მე-3 ან მე-4 დონეზე. ჩანაცვლებადობის საწყის წერტილს წარმოადგენს ATC3 დონე, ხოლო უმრავლეს შემთხვევებში ბაზრის განსაზღვრა ხორციელდება ATC4 დონეზე. ATC4 დონეზე მოცემულია მოლეკულების ჯგუფი, რომელთა დანიშნულებაც მსგავსია/იდენტურია გამოყენების მიზნობრიობის გათვალისწინებით და შესაბამისად, ამ დონეზე არსებულ მოლეკულებს შორის შესაძლოა/უნდა არსებობდეს ჩანაცვლებადობიდან მომდინარე კონკურენტული წნეხი.

[22] https://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m8889_375_3.pdf

[23] https://www.who.int/tools/atc-ddd-toolkit/atc-classification

ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრის ნაწილში, სააგენტო ასევე ითვალისწინებს განსახილველი - ონკოლოგიური ბაზრის სპეციფიკას, კერძოდ იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში ონკოლოგიური მედიკამენტების რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება სახელმწიფოს მიერ მართვადი პროგრამის და დადგენილი ყოველწლიური თანხობრივი ლიმიტის მიხედვით. პროგრამის ფარგლებში, ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის გადამისამართება სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ხდება კონკრეტულ საფთიაქო ქსელში და შესაბამისად, მომხმარებლის მიერ ხორციელდება კონკრეტული სავაჭრო დასახელების მედიკამენტის შეძენა (დაფინანსების ფარგლებში) კონკრეტულ საფთიაქო ქსელში. ამასთან, ჩანაცვლებადობაზე მსჯელობის ნაწილში, მნიშვნელოვანია ხაზგასმა მიზანზე, კერძოდ იდენტიფიცირებულ იქნას იმ პროდუქტების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთის მიმართ განიცდიან კონკურენტულ წნეხს. თუმცა განსახილველ ბაზარზე კონკურენტული წნეხის როლი შემცირებულია, კერძოდ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში მედიკამენტებზე ყოველთვიური წინადადებების მიღება, ისევე როგორც ექიმის მიერ რეცეპტის გამოწერა ხდება მედიკამენტების სავაჭრო დასახელების დონეზე. შესაბამისად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ონკოლოგიური მედიკამენტების უმრავლესობის რეალიზაცია (გარდა ერთეული შემთხვევებისა) ხორციელდება პროგრამის ფარგლებში და ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, კონკურენტული წნეხი ATC4 კლასიფიკაციის დონეზე მცირეა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოკვლევის ფარგლებში და მისი მიზნებისთვის, ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, სააგენტო მომხმარებლის თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნევს შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრას მედიკამენტების სავაჭრო დასახელების დონეზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მოკვლევა ეხება ონკოლოგიური მედიკამენტების ჯგუფს, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა გამოყენების/მიზნობრიობის მქონე ფარმაცევტული პროდუქცია, პროდუქციული საზღვრის განხილვა შესაძლებელია აქტიური ნივთიერების - გენერიკის დონეზეც (ATC5). ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხე კომპანიები ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, დამატებით ონკოლოგიური მედიკამენტების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკის გათვალისწინებით და შესაბამისად, ბაზარზე არსებული მოთხოვნა/მიწოდების სპეციფიკის მხედველობაში მიღებით, მოკვლევის მიზნებისთვის, შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების განხილვა შესაძლებელია სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული პროგრამის დონეზეც.

რაც შეეხება ბაზრის პროდუქციულ საზღვრებს მიმწოდებლის თვალსაზრისით, სააგენტოს დაკვირვებით რიგ აქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით, ბაზარზე ხელმისაწვდომია ერთზე მეტი სავაჭრო დასახელების მედიკამენტი. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში მარტივად შესაძლებელია იდენტური აქტიური ნივთიერების გამოყენებით დამზადებული კონკრეტული დასახელების მედიკამენტის ნაცვლად, სხვა სავაჭრო

დასახელების მედიკამენტის ჩართვა ან/და ერთზე მეტი სავაჭრო დასახელების მედიკამენტის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმწოდებლის თვალსაზრისით, სააგენტო შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებს განსაზღვრავს აქტიური ნივთიერების დონეზე, რაც ნიშნავს იმას, რომ იდენტური აქტიური ნივთიერების გამოყენებით დამზადებული სხვადასხვა სავაჭრო დასახელების მედიკამენტები წარმოადგენს ერთ პროდუქციულ ბაზარს (ATC5).

აქვე აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევებში ცალკე პროდუქციული ბაზრის ფორმირება შესაძლებელია მოხდეს მედიკამენტებისთვის დამახასიათებელი სხვა თავისებურებების გათვალისწინებით, კერძოდ: დოზა, კონცენტრაცია, მიღების წესი/ფორმა და ა.შ.

დამატებით, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე წარმოებული მოკვლევის ფარგლებში, შესაბამისი ბაზრის საზღვრების დეტალური და ზუსტი დადგენა არ არის აუცილებელი, რადგან ზემოთხსენებულ საკანონმდებლო შემადგენლობებს გააჩნია კონკურენციის შემზღუდველი მიზანი, რაც საკმარისი საფუძველია განსახილველი სავარაუდო ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამოსავლენად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის პრაქტიკაში, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ნაკლებად მნიშვნელოვან როლს თამაშობს TFEU-ს 101-ე მუხლის საფუძველზე წარმოებული მოკვლევის მიზნებისათვის. ასეთ შემთხვევებში, რადგანაც სადავო ქცევის მიზანია კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა - ევროკავშირის სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, კომისიის მიერ შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენა არ არის აუცილებელი.[24]

## 2.2. გეოგრაფიული საზღვრები

პროგრამის ფუნქციონირება, ისევე როგორც მედიკამენტების ფიზიკური ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს - ქვეყნის მთელ ტეროტორიას.

[24] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT EVALUATION of the Commission Notice on the definition of relevant market for the purposes of Community competition law of 9 December 1997, Brussels, 12.7.2021, ხელმისაწვდომია: https://competition-policy.ec.europa.eu/system/files/2021-07/evaluation_market-definition-notice_en.pdf, ასევე იხ. Judgment of 28 June 2016, Telefónica, SA v Commission, T-216/13, EU:T:2016:369, პარაგრაფი 214, ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:62013TJ0216. ასევე იხ., საავტომობილო საწვავის (III) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/536, თარიღი: 16.08.2023.

### 2.3. დროითი ჩარჩო

მედიკამენტების მოთხოვნა/მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით. შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

## 3. მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ქმედების ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე მოკვლევის დაწყების საფუძველს წარმოადგენდა სამინისტროს მიერ, 2023 წლის 23 მარტს ონკოლოგიური მედიკამენტების იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანიების მიერ ფასების ზრდის და ამავე მედიკამენტებზე იდენტური ფასწარმოქმნის დაწესების შესახებ გასაჯაროვებული ინფორმაცია და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წერილობითი მომართვა (თარიღი: 23.03.2023; რეგ: N 01/953).

ონკოლოგიური მედიკამენტების რეალიზაცია, წლიური ლიმიტის (25 000 ლარი) გათვალისწინებით, ხორციელდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს შესაბამისი ელექტრონული პორტალის (შემდგომში - „პორტალი“, „პროგრამა“) მართვას. ონკოლოგიური მედიკამენტების სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას „პორტალის“ ფუნქციონირების რამდენიმე პრინციპს, კერძოდ:

1. კონკრეტული კომპანიის მიერ კონკრეტული მედიკამენტების პროგრამის ფარგლებში მიწოდების მიზნით, საჭიროა პორტალზე მედიკამენტის პირველადი რეგისტრაცია, ფასთან ერთად;
2. მისაწოდებელი ფასის ცვლილება შესაძლებელია ყოველი კალენდარული თვის 15-დან 21 რიცხვის ჩათვლით პერიოდში;
3. ყოველი კალენდარული თვის 15 რიცხვამდე, სამინისტროს მიერ პროგრამაში მონაწილე ყველა კომპანიას ეგზავნება ინფორმაცია შესასყიდი მედიკამენტების შესახებ, რაც ასევე მოიცავს წინა თვეში კომპანიების მიერ დაფიქსირებული/ყველაზე დაბალი ფასის/ფასების შესახებ ინფორმაციას, ამავე პროგრამაში ჩართული კომპანიების იდენტიფიცირების გარეშე;
4. 15-დან 21 რიცხვის ჩათვლით დაფიქსირებული ფასი მოქმედებს 22 რიცხვიდან;
5. გამარჯვებულ კომპანიას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტი, რომელიც კონკურენტებთან შედარებით დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს;
6. იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე დაბალი ფასი დაფიქსირებული აქვს ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტს, მომხმარებლის გადანაწილება ხდება ყველაზე დაბალი იდენტური ფასის მქონე ყველა კომპანიაზე;
7. პროგრამაში, კონკრეტულ მედიკამენტთან დაკავშირებით კომპანიის სტატუსი შესაძლებელია იყოს აქტიური ან პასიური. სტატუსი „აქტიური“ ნიშნავს, რომ კომპანია პროგრამის ფარგლებში ახორციელებს/განახორციელებს მედიკამენტის მიწოდებას.

კომპანიას შეუძლია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, სტატუსი „აქტიური“ შეცვალოს „პასიურით“, რა დროსაც კომპანია აღარ ახორციელებს პროგრამის ფარგლებში მედიკამენტის მიწოდებას, შესაბამის კონკრეტულ თვეში. სტატუსის ცვლილება შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

განხორციელებული მოკვლევის ფარგლებში, დადგინდა რომ 2021-2023 წლებში პროგრამის ფარგლებში ეკონომიკური აგენტების მიერ ხორციელდებოდა სავაჭრო დასახელებით, შეფუთვით, კონცენტრაციით და რეგისტრაციის ნომრით განსხვავებული 355 მედიკამენტის რეალიზაცია, რაც ერთიანდება 85 გენერიკულ ჯგუფში.

პორტალის ფუნქციონირების ანალიზის და მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ქმედების შეფასების მიზნებისთვის, უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ყოველი კალენდარული თვის 15-21 რიცხვებში კომპანიების მიერ პორტალზე დაფიქსირებული ფასები სრულად კონფიდენციალურია, რაც ნიშნავს იმას, რომ პორტალზე ფასების წარდგენის პროცესში კომპანიებს ხელი არ მიუწვდებათ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მიერ წარდგენილ/წარსადგენ ფასებზე. შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, პორტალის ფუნქციონირების პრინციპების გათვალისწინებით, წინადადებების წარდგენის პროცესს არ ახასიათებს გამჭვირვალობა. ეს უკანაკნელი გარემოება მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც, ბაზარზე გამჭვირვალობის არსებობის პირობებში, ეკონომიკური აგენტების პარალელური ქცევა, როგორც წესი, შესაძლოა წარმოადგენდეს გონივრულ საბაზრო ქცევას, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მსგავსი სახის გამჭვირვალობას განსახილველ ბაზარზე ადგილი არ აქვს.

შესასწავლ პერიოდში, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების პორტალზე ყოველთვიურად წარდგენილი ფასების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

1. 2021-2023 წლებში პროგრამის ფარგლებში ეკონომიკური აგენტების მიერ ხორციელდებოდა სავაჭრო დასახელებით, შეფუთვით, კონცენტრაციით და რეგისტრაციის ნომრით განსხვავებული **355** მედიკამენტის რეალიზაცია;
2. სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში, **42** მედიკამენტზე (სავაჭრო დასახელება და გენერიკი) ფიქსირდება იდენტური ფასწარმოქმნა - კომპანიების მიერ პორტალზე წარდგენილი ფასები **„1 თეთრის“** სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს;
3. იდენტური ფასწარმოქმნა, როგორც ქმედება, მოკვლევის მიზნებისთვის სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულია 2 ტიპად:

   - **ისტორიულად იდენტური ფასწარმოქმნა** - კომპანიები იმეორებენ წინა თვის ფასს, რა ფასიც ყოველი კალენდარული თვის 15 რიცხვამდე სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ეგზავნება კომპანიებს;
   - **ახალი იდენტური ფასი** - კომპანიების მიერ ფიქსირდება ახალი/უნიკალური იდენტური ფასი, რაც არ ყოფილა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ წინა თვის/თვეების განმავლობაში მათთვის გადაგზავნილი.

**ისტორიულად იდენტური ფასწარმოქმნა** - განსახილველ შემთხვევაში, პორტალის ფუნქციონირების პრინციპიდან გამომდინარე იქმნება გამჭვირვალობა, კერძოდ იმ შემთხვევაში თუ კომპანია/კომპანიები იმეორებენ წინა თვის თავისივე ან/და კონკურენტი კომპანიის ფასს, იდენტურ ფასწარმოქმნას, კერძოდ ფასის დამთხვევის ფაქტს გააჩნია კონკრეტული ახსნა - სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ფასების სახით.

**ახალი იდენტური ფასი** - მოცემულ შემთხვევაში, კომპანიების მიერ პორტალზე დაფიქსირებული ახალი უნიკალური ფასი არ ყოფილა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ წინა თვის/თვეების განმავლობაში ამავე კომპანიებისთვის მიწოდებული/გაზიარებული. შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, პორტალის ფუნქციონირების პრინციპების და აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ბაზარი არ არის გამჭვირვალე.

2021-2023 წლებში, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების იდენტური ფასწარმოქმნა - ახალი იდენტური ფასწარმოქმნა **42** მედიკამენტზე/მედიკამენტების ჯგუფზე - საერთო ჯამში **88** შემთხვევა. უფრო კონკრეტულად, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა:

- **2 კომპანიის იდენტური - 23**
- **3 კომპანიის იდენტური - 47**
- **4 კომპანიის იდენტური - 18**

მოპასუხე ეკონომიკური აგენტების დონეზე იდენტიფიცირებული მონაცემების მიხედვით, **შპს „ავერსი ფარმას“** მიერ ფიქსირდება იდენტური ფასწარმოქმნის **74** შემთხვევა; **სს „გეფას“** მიერ ფიქსირდება იდენტური ფასწარმოქმნის **74** შემთხვევა; **შპს „მერმისის“** მიერ ფიქსირდება იდენტური ფასწარმოქმნის **29** შემთხვევა; **შპს „პსპ ფარმას“** მიერ ფიქსირდება იდენტური ფასწარმოქმნის **81** შემთხვევა.

რაც შეეხება კონკრეტული კომპანიების, მედიკამენტების, ფასის და პერიოდის მიხედვით იდენტიფიცირებულ მონაცემებს, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს 42 მედიკამენტის 88 შემთხვევაზე:[25]

1. **ზიტიგა 250 მგ. – 16.50 ლარი**,[26] 2023 წლის ივნისი:[27] [redacted] (რეგ. N P-0109), [redacted] (რეგ. N P-0109);
   **ზიტიგა 250 მგ. – 17.70 ლარი**, 2023 წლის თებერვალი: [redacted] (რეგ. N P-0109), [redacted] (რეგ. N P-0109), [redacted] (რეგ. N P-0109).
2. **ალეცენზა 150 მგ. – 30.0 ლარი**, 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 025392); [redacted] (რეგ. N 025392); [redacted] (რეგ. N 025392);

[25] რეგისტრაციის ნომერის საწყისი სიმბოლო P - მიუთითებს, რომ იმპორტი განხორციელებულია თურქეთის რესპუბლიკიდან, პარალელური იმპორტის მეშვეობით.
[26] დაფიქსირებული იდენტური ფასი.
[27] იდენტური ფასის მოქმედების თვე, „პროგრამის“ პრინციპის გათვალისწინებით, ფასის სისტემაში პირველად დაფიქსირება ხდება განსახილველი თვის წინა კალენდარული თვის 15-დან 21 რიცხვის ჩათვლით პერიოდში.

ალეცენზა 150 მგ. – 30.09 ლარი, 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 025392); [redacted] (რეგ. N 025392); [redacted] (რეგ. N 025392).

3. ტეცენტრიკი 840 მგ. – 4700 ლარი, 2023 წლის თებერვალი: [redacted] (რეგ. N 028396); [redacted] (რეგ. N 028396); [redacted] (რეგ. N 028396);
   ტეცენტრიკი 840 მგ. – 4701.49 ლარი, 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 028396); [redacted] (რეგ. N 028396); [redacted] (რეგ. N 028396).
4. ტეცენტრიკი 1200 მგ. - 6590 ლარი, 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 029476); [redacted] (რეგ. N 029476); [redacted] (რეგ. N 029476);
   ტეცენტრიკი 1200 მგ. – 6780.60 ლარი, 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 029476); [redacted] (რეგ. N 029476); [redacted] (რეგ. N 029476).
5. ინლაიტა 5 მგ. – 84.40 ლარი, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 027365); [redacted] (რეგ. N 027365); [redacted] (რეგ. N 027365, P-0024); [redacted] (რეგ. N 027365).
6. ვიდაზა 100 მგ. – 455 ლარი, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N P-0252); [redacted] (რეგ. N P-0252); [redacted] (რეგ. N P-0252).
7. ალტუზან როშე 100 მგ. - 226 ლარი, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N P-0081); [redacted] (რეგ. N P-0081).
8. ავასტინი 100 მგ. – 616 ლარი, 2023 წლის თებერვალი: [redacted] (რეგ. N 024861); [redacted] (რეგ. N 024861); [redacted] (რეგ. N 024861);
   ავასტინი 100 მგ. – 616.42 ლარი, 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 024861); [redacted] (რეგ. N 024861); [redacted] (რეგ. N 024861).
9. ალტუზან როშე 400 მგ. - 894 ლარი, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N P-0082); [redacted] (რეგ. N P-0082).
10. ავასტინი 400 მგ. – 2183 ლარი, 2023 წლის თებერვალი: [redacted] (რეგ. N 024862); [redacted] (რეგ. N 024862); [redacted] (რეგ. N 024862).
    ავასტინი 400 მგ. – 2183.58 ლარი, 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 024862); [redacted] (რეგ. N 024862); [redacted] (რეგ. N 024862).
11. ველკადი 3.5 მგ. – 770 ლარი, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N P-0218); [redacted] (რეგ. N P-0218); [redacted] (რეგ. N P-0218); [redacted] (რეგ. N P-0218).
12. ჯევტანა 60 მგ. – 2860 ლარი, 2023 წლის იანვარი: [redacted] (რეგ. N P-0282); [redacted] (რეგ. N P-0282).
13. ამოღებულია - Capecitabine 500მგ.[28]
14. ამოღებულია - კარბოპლანი 150 მგ.
15. ამოღებულია - კარბოპლატინი 450 მგ.
16. ერბიტუქსი 100 მგ. – 450 ლარი, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 026866); [redacted] (რეგ. N 007255).

[28] სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით, კომპანიების მიერ წარმოდგენილ იქნა პოზიციები - კონკრეტულ მედიკამენტებთან დაკავშირებით რეფერენტული ფასების, როგორც იდენტური ფასების განმაპირობებელი ფაქტორის შესახებ. სააგენტომ ამ ნაწილში სრულად გაიზიარა კომპანიების პოზიცია და მსგავსი მედიკამენტები, სადაც დადასტურდა რეფერენტული ფასის გავლენა იდენტურ ფასწარმოქმნაზე, ამოღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილებიდან.

17. **ერბიტუქსი 500 მგ. – 1750 ლარი,** 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 007256); [redacted] (რეგ. N 007256).
18. **ამოღებულია - Cisplatin 50 მგ.**
19. **ამოღებულია - ციპინტუ 100 მგ.**
20. **ამოღებულია - ცისპლატინი 100 მგ.**
21. **ლონსურფი 20 მგ. – 109 ლარი**, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 024187), [redacted] (რეგ. N 024187);
    **ლონსურფი 20 მგ. – 103.50 ლარი,** 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 024187), [redacted] (რეგ. N 024187);
    **ლონსურფი 20 მგ. – 120 ლარი,** 2022 წლის ივნისი: [redacted] (რეგ. N 024187), [redacted] (რეგ. N 024187).
22. **ლონსურფი 15 მგ. – 84 ლარი,** 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 024186), [redacted] (რეგ. N 024186);
    **ლონსურფი 20 მგ. – 80 ლარი**, 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 024186), [redacted] (რეგ. N 024186);
    **ლონსურფი 20 მგ. – 93 ლარი,** 2022 წლის ივნისი: [redacted] (რეგ. N 024186), [redacted] (რეგ. N 024186).
23. **ამოღებულია - Cyclophosphamide 200 მგ.**
24. **ამოღებულია - ენდოქსანი 1000 მგ.**
25. **ამოღებულია - Cytarabine 100 მგ.**
26. **ამოღებულია - ციტოზარი 500 მგ.**
27. **ტაფინლარი 75 მგ. – 33 ლარი,** 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 024070); [redacted] (რეგ. N 024070); [redacted] (რეგ. N 024070); [redacted] (რეგ. N 024070);
    **ტაფინლარი 75 მგ. – 33 ლარი,** 2022 წლის აგვისტო: [redacted] (რეგ. N 024070); [redacted] (რეგ. N 024070); [redacted] (რეგ. N 024070); [redacted] (რეგ. N 024070).
    **ტაფინლარი 75 მგ. – 33 ლარი,** 2022 წლის ივლისი: [redacted] (რეგ. N 024070); [redacted] (რეგ. N 024070); [redacted] (რეგ. N 024070).
28. **პროლია 60 მგ - 290 ლარი**, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 020901); [redacted] (რეგ. N 020901); [redacted] (რეგ. N 020901); [redacted] (რეგ. N P-0209).
29. **ამოღებულია - ტაქსოტერი 20 მგ.**
30. **ამოღებულია - Docetaxel 20 მგ.**
31. **კაილექსი 20 მგ. – 635 ლარი**, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N P-0119), [redacted] (რეგ. N P-0472).
32. **ტარცევა 150 მგ. – 85 ლარი**, 2023 წლის თებერვალი: [redacted] (რეგ. N 030046); [redacted] (რეგ. N 030046); [redacted] (რეგ. N 030046).
    **ტარცევა 150 მგ. – 91.37 ლარი,** 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 030046); [redacted] (რეგ. N 030046); [redacted] (რეგ. N 030046).
33. **აფინიტორი 10 მგ. – 99 ლარი,** 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 031267); [redacted] (რეგ. N 031267); [redacted] (რეგ. N 031267), [redacted] (რეგ. N 031267);
    **აფინიტორი 10 მგ. – 108 ლარი,** 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 031267); [redacted] (რეგ. N 031267); [redacted] (რეგ. N 031267).

34. **ფასლოდექსი 250 მგ. – 270 ლარი**, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 034893).
**ფასლოდექსი 250 მგ. – 275 ლარი**, 2022 წლის აგვისტო: [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222);
**ფასლოდექსი 250 მგ. – 300 ლარი,** 2022 წლის ივნისი: [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222);
**ფასლოდექსი 250 მგ. – 395 ლარი,** 2021 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222);
**ფასლოდექსი 250 მგ. – 400 ლარი,** 20221 წლის ივლისი: [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222);
**ფასლოდექსი 250 მგ. – 425 ლარი,** 2021 წლის ივნისი: [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222), [redacted] (რეგ. N 022222).
35. **ამოღებულია - Gemcitabine 200 მგ.**
36. **ზოლადექსი 3.6 მგ. – 134 ლარი**, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 018642); [redacted] (რეგ. N 025152); [redacted] (რეგ. N 025152); [redacted] (რეგ. N 018642).
**ზოლადექსი 3.6 მგ. – 120 ლარი,** 2022 წლის აგვისტო: [redacted] (რეგ. N 018642); [redacted] (რეგ. N 025152); [redacted] (რეგ. N 025152); [redacted] (რეგ. N 018642).
**ზოლადექსი 3.6 მგ. – 140 ლარი,** 2022 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 018642); [redacted] (რეგ. N 025152); [redacted] (რეგ. N 025152).
37. **ზოლადექსი 10.8 მგ. – 360 ლარი,** 2022 წლის აგვისტო: [redacted] (რეგ. N 018643); [redacted] (რეგ. N 018643); [redacted] (რეგ. N 025153); [redacted] (რეგ. N 025153);
**ზოლადექსი 10.8 მგ. – 381 ლარი,** 2022 წლის ივნისი: [redacted] (რეგ. N 018643); [redacted] (რეგ. N 018643); [redacted] (რეგ. N 025153); [redacted] (რეგ. N 025153);
**ზოლადექსი 10.8 მგ. – 435 ლარი**, 2022 წლის თებერვალი: [redacted] (რეგ. N 018643); [redacted] (რეგ. N 018643); [redacted] (რეგ. N 025153).
38. **გაზივა 1000 მგ. – 3879 ლარი,** 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 029441); [redacted] (რეგ. N 029441); [redacted] (რეგ. N 029441);
**გაზივა 1000 მგ. – 3897.01 ლარი,** 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 029441); [redacted] (რეგ. N 029441); [redacted] (რეგ. N 029441);
39. **ლინპარზა 150 მგ. – 106.80 ლარი,** 2022 წლის აგვისტო: [redacted] (რეგ. N 029415); [redacted] (რეგ. N 029415);
**ლინპარზა 150 მგ. – 114.20 ლარი,** 2022 წლის ივნისი: [redacted] (რეგ. N 029415); [redacted] (რეგ. N 029415);
**ლინპარზა 150 მგ. – 130.78 ლარი,** 2022 წლის თებერვალი: [redacted] (რეგ. N 029415); [redacted] (რეგ. N 029415); [redacted] (რეგ. N 029415);
**ლინპარზა 150 მგ. – 132.62 ლარი,** 2021 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 029415); [redacted] (რეგ. N 029415); [redacted] (რეგ. N 029415).
40. **ტაგრისო 80 მგ. – 355.50 ლარი,** 2022 წლის აგვისტო: [redacted] (რეგ. N 024062); [redacted] (რეგ. N 024062).
**ტაგრისო 80 მგ. – 453 ლარი,** 2021 წლის აგვისტო: [redacted] (რეგ. N 024062); [redacted] (რეგ. N 024062).

**ტაგრისო 80 მგ. – 380 ლარი,** 2022 წლის ივნისი: [redacted] (რეგ. N 024062); [redacted] (რეგ. N 024062); [redacted] (რეგ. N 024062);

**ტაგრისო 80 მგ. – 416.80 ლარი,** 2022 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 024062); [redacted] (რეგ. N 024062); [redacted] (რეგ. N 024062).

**ტაგრისო 80 მგ. – 465.80 ლარი,** 2021 წლის ივლისი: [redacted] (რეგ. N 024062); [redacted] (რეგ. N 024062); [redacted] (რეგ. N 024062).

41. **რეამპლა 125 მგ. – 180 ლარი,** 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N P-0416), [redacted] (რეგ. N P-0416).
42. **ვოტრიენტი 400 მგ. – 51 ლარი,** 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 027514); [redacted] (რეგ. N 027514); [redacted] (რეგ. N 027514); [redacted] (რეგ. N 027514).

    **ვოტრიენტი 400 მგ. – 61 ლარი,** 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 027514); [redacted] (რეგ. N 027514); [redacted] (რეგ. N 027514).
43. **კისქალი 200 მგ. – 79.80 ლარი,** 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 027606); [redacted] (რეგ. N 027606); [redacted] (რეგ. N 027606);

    **კისქალი 200 მგ. – 94.90 ლარი,** 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 027606); [redacted] (რეგ. N 027606); [redacted] (რეგ. N 027606).
44. **მაბტერა 100 მგ. – 390 ლარი,** 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 024755); [redacted] (რეგ. N 024755); [redacted] (რეგ. N 024755);

    **მაბტერა 100 მგ. – 415.30 ლარი**, 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 024755); [redacted] (რეგ. N 024755); [redacted] (რეგ. N 024755).
45. **მაბტერა 500 მგ. – 1971.63 ლარი,** 2023 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 024756); [redacted] (რეგ. N 024756); [redacted] (რეგ. N 024756);

    **მაბტერა 500 მგ. – 1890 ლარი,** 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 024756); [redacted] (რეგ. N 024756); [redacted] (რეგ. N 024756);

    **მაბტერა 500 მგ. – 1974.63 ლარი,** 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 024756); [redacted] (რეგ. N 024756); [redacted] (რეგ. N 024756).
46. **მაბტერა 1400 მგ. – 3200 ლარი,** 2023 წლის თებერვალი: [redacted] (რეგ. N 023628); [redacted] (რეგ. N 014594).

    **მაბტერა 1400 მგ. – 3437.31 ლარი,** 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 023628); [redacted] (რეგ. N 023628); [redacted] (რეგ. N 014594).
47. **ჯაკავი 5 მგ. – 21.65 ლარი,** 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N P-0206 ), [redacted] (რეგ. N 029859).

    **ჯაკავი 5 მგ. – 54.90 ლარი,** 2022 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 029859); [redacted] (რეგ. N 029859), [redacted] (რეგ. N 029859), [redacted] (რეგ. N P-0206).

    **ჯაკავი 5 მგ. – 55.75 ლარი,** 2021 წლის ოქტომბერი: [redacted] (რეგ. N 029859), [redacted] (რეგ. N 029859).
48. **ჯაკავი 15 მგ. – 44.20 ლარი,** 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N P-0207, 029860), [redacted] (რეგ. N 029860);

    **ჯაკავი 15 მგ. – 69.40 ლარი,** 2022 წლის მაისი: მაისი: [redacted] (რეგ. N 029860); [redacted] (რეგ. N 029860), [redacted] (რეგ. N 029860), [redacted] (რეგ. N P-0207).

49. **თემოდალი 100 მგ. კაფსულა** - 35.58 ლარი, 2023 წლის აპრილი: [redacted] (რეგ. N P-0110, 031170); [redacted] (რეგ. N P-0110).
50. **ამოღებულია - თემოდალი 250 მგ.**
51. **მეკინისტი 2 მგ.** – 80 ლარი, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N 023771); [redacted] (რეგ. N 023771); [redacted] (რეგ. N P-0008); [redacted] (რეგ. N 032738).
52. **კადსილა 100 მგ.** – 2370 ლარი, 2023 წლის თებერვალი: [redacted] (რეგ. N 025572); [redacted] (რეგ. N 025572); [redacted] (რეგ. N 025572), [redacted] (რეგ. N 025572);
    **კადსილა 100 მგ.** – 2376 ლარი, 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 025572); [redacted] (რეგ. N 025572); [redacted] (რეგ. N 025572);
    **კადსილა 100 მგ.** – 2392.54 ლარი, 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 025572); [redacted] (რეგ. N 025572); [redacted] (რეგ. N 025572).
53. **კადსილა 160 მგ.** – 3730 ლარი, 2022 წლის თებერვალი: [redacted] (რეგ. N 025573); [redacted] (რეგ. N 025573); [redacted] (რეგ. N 025573), [redacted] (რეგ. N 025573);
    **კადსილა 160 მგ.** – 3734 ლარი, 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 025573); [redacted] (რეგ. N 025573); [redacted] (რეგ. N 025573);
    **კადსილა 160 მგ.** – 3750.75, 2021 წლის მაისი: [redacted] (რეგ. N 025573); [redacted] (რეგ. N 025573); [redacted] (რეგ. N 025573).
54. **ზელბორაფი 240 მგ.** – 35 ლარი, 2023 წლის თებერვალი: [redacted] (რეგ. N 031722); [redacted] (რეგ. N 036351, 031722); [redacted] (რეგ. N P-0005);
    **ზელბორაფი 240 მგ.** – 37 ლარი, 2022 წლის დეკემბერი: [redacted] (რეგ. N 031722); [redacted] (რეგ. N 031722); [redacted] (რეგ. N 031722);
    **ზელბორაფი 240 მგ.** – 38.24, 2021 წლის აგვისტო: [redacted] (რეგ. N 031722); [redacted] (რეგ. N 031722).
55. **ნაველბინი 30 მგ.** – 85.50 ლარი, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N P-0131); [redacted] (რეგ. N P-0131); [redacted] (რეგ. N P-0131).
56. **ნაველბინი 50 მგ.** – 73 ლარი, 2023 წლის მარტი: [redacted] (რეგ. N P-0132); [redacted] (რეგ. N P-0132); [redacted] (რეგ. N P-0132), [redacted] (რეგ. N P-0132).

შესასწავლ პერიოდში (2021-2023 წლები) იდენტური ფასები პირველად და მნიშვნელოვანი ოდენობით ფიქსირდება 2021 წლის მაისის თვეში, ხოლო 2023 წლის თებერვალი-მარტის პერიოდში ფიქსირდება იდენტური ფასების ყველაზე მეტი შემთხვევა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2021 წლის მაისის თვეში დაფიქსირებული იდენტური ფასების დიდი ნაწილი, უცვლელად იყო შენარჩუნებული ასევე იდენტურ ნიშნულზე 2023 წლამდე (ისტორიულად იდენტური ფასები), რა დროსაც, როგორც უკვე აღინიშნა დაფიქსირდა ახალი იდენტური ფასების ყველაზე მეტი შემთხვევა.

ახალი იდენტური ფასის წარმოდგენილ ფაქტებთან დაკავშირებით, სააგენტო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ განსახილველ მედიკამენტებზე, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ პორტალზე დაფიქსირებული ფასის წინაპირობის საბაზრო ფაქტორები არ არსებობდა, კერძოდ: ადგილი არ ჰქონდა ბაზრის გამჭვირვალობას იმ ფორმით, რასაც შესაძლოა გამოეწვია აღნიშნული. სააგენტოს პოზიციით, შეუძლებელია აღნიშნული ყოფილიყო შემთხვევითობის

შედეგი და შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით კომპანიების ზემოაღნიშნული ქმედება წარმოადგენს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების კოორდინირებული ქმედების შედეგს - ფასების ფიქსაციას. უფრო კონკრეტულად, შეუძლებელია აღწერილი ქმედება განხორციელებულიყო მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინირებული ქცევის გარეშე. რაც შეეხება იდენტიფიცირებულ მედიკამენტებზე 2021 წლის მაისის შემდეგ პერიოდში არსებულ ისტორიულად იდენტურ ფასებს, 2 ან მეტი კომპანიის იდენტური ფასის შემთხვევაში, პროგრამის მიერ მომხმარებლის გადანაწილება ხდება ორივე კომპანიაზე - იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული იდენტური ფასი ამავდროულად წარმოადგენს ყველაზე დაბალ ფასს. თუმცა, ისტორიულად იდენტური ფასწარმოქმნისგან გადახვევის შემთხვევაში, მაგალითად - ფასის თუნდაც მცირე ოდენობით შემცირების შემთხვევაში, ამგვარი ფასის წარმდგენი კომპანია სრულად განახორციელებდა კონკრეტული კალენდარული თვის განმავლობაში მედიკამენტების მიწოდებას (სტატუსი „აქტიური"-ს პირობებში). ისტორიულად იდენტური ფასი ფიქსირდება არა მხოლოდ იმ მედიკამენტებზე, რასთან დაკავშირებითაც სააგენტოს იდენტიფიცირებული აქვს ახალი იდენტური ფასი, არამედ გვხვდება სხვა მედიკამენტებზეც.

ალბათობა იმისა, რომ მაგ. პრეპარატ აფინიტორზე პროგრამაში მონაწილე 4 ეკონომიკური აგენტის მიერ 2023 წლის თებერვალში წარდგენილი იდენტური ფასი ყოფილიყო შემთხვევითობის შედეგი, პრაქტიკულად არ არსებობს. სააგენტო აღნიშნულის საილუსტრაციოდ იყენებს ალბათობის თეორიას მედიკამენტ აფინიტორთან დაკავშირებით.

ახალი იდენტური ფასის ალბათობის გამოსათვლელად, მხედველობაში მიიღება, რომ თითოეული კომპანიის მიერ წარდგენილი ფასი *„დამოუკიდებელია"* სხვა კომპანიის საფასო პოლიტიკისგან, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი ცდის შედეგს არანაირი გავლენა არ აქვს სხვებზე, ან პირველის შედეგი არ მართავს მეორე ცდის ალბათობის შედეგს. აღნიშნული მიდგომა ცნობილია, როგორც ალბათობის გამრავლების კანონი,[29] შესაბამისად:

$$\boldsymbol{P(A\ and\ B\ and\ C\ and\ D) = P(A) * P(B) * P(C) * P(D)}$$

მედიკამენტ აფინიტორზე 4 მოპასუხე კომპანიის მიერ 99 ლარის პორტალზე დაფიქსირების ალბათობის განსაზღვრისას, სააგენტო საფასო ზღვრის შეფასებისას ხელმძღვანელობს კომპანიების მიერ პორტალზე წინა თვეებში დაფიქსირებული ფასების მინიმალური და მაქსიმალური საფასო დიაპაზონით, რაც შეადგენს 25.10 ლარიდან 108.00 ლარამდე შუალედს. სააგენტო დიაპაზონის განსაზღვრისას ითვალისწინებს მონაცემებს თეთრების დონეზე, პროგრამაში ფასის წარდგენის პრაქტიკიდან გამომდინარე. ამგვარად:

1. პირველი კომპანიის შემთხვევაში 99.00 ლარის დაფიქსირების ალბათობა არის - $P(A) = 0.000129$;
2. პირველი კომპანიის შემთხვევაში 99.00 ლარის დაფიქსირების ალბათობა არის - $P(B) = 0.000121$;

[29] Richard D. De Veaux., Paul F. Velleman., daviD E. Bock. (2012) *Stats: Data and Models.* Third Edition. Pearson Addison-Wesley. Page: 355-380.

3. პირველი კომპანიის შემთხვევაში 99.00 ლარის დაფიქსირების ალბათობა არის - $P(C) = 0.000447$;
4. პირველი კომპანიის შემთხვევაში 99.00 ლარის დაფიქსირების ალბათობა არის - $P(D) = 0.000447$.

რაც შეეხება ალბათობას, რომ ოთხივე კომპანიის მიერ **ერთმანეთისგან დამოუკიდებლად** მედიკამენტ აფინიტორთან დაკავშირებით პორტალზე დაფიქსირდებოდა იდენტური ფასი 99.00 ლარის ოდენობით:

$$\boldsymbol{P(A) * P(B) * P(C) * P(D)} = \mathbf{3.1*10^{-15}}$$

შესაბამისად, ალბათობა, რომ ოთხმა კომპანიამ განახორციელა იდენტური - 99.00 ლარის პორტალზე წარდგენა შეთანხმებული ქმედების არარსებობის პირობებში, შეადგენს - $P = 3.1 * 10^{-15}$. ამასთან, მედიკამენტი აფინიტორი წარმოადგენს მხოლოდ 1 მედიკამენტს სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული 42 მედიკამენტიდან და 88 შემთხვევიდან. შესაბამისად, აღნიშნულის ალბათობა იმდენად მიზერულია, რომ მისი რეალიზება რეალურ სამყაროში პრაქტიკულად შეუძლებელია.

## 4. მოპასუხე ეკონომიკური აგენტების პოზიცია სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ ქმედებასთან დაკავშირებით

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებებით შეთანხმებული ქმედების მტკიცების ნაწილში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამგვარი ქმედების შეთანხმებული ქმედებისგან განსხვავებულ/ალტერნატიულ ახსნას და მხოლოდ მისი არარსებობის პირობებში არის შესაძლებელი ამგვარი ფაქტები გამოყენებულ იქნას შეთანხმებული ქმედების მტკიცებულებად. მოკვლევის პროცესში სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ ქმედებასთან - ახალ იდენტურ ფასებთან დაკავშირებით, მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს მიეცათ შესაძლებლობა წარმოედგინათ პოზიციები, როგორც წერილობითი ფორმით, ასევე, სააგენტოში გამართულ ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით შეხვედრებზე.

### 4.1. უცხოური მიმწოდებლების მიერ სარეკომენდაციო ფასების დადგენის საკითხი

პროცედურის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით კანონის მე-6 და მე-7 მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით სააგენტომ ყველა მოპასუხე

ეკონომიკურ აგენტთან გამართა ინდივიდუალური შეხვედრები ახსნა-განმარტებების მისაღებად.

მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ, იდენტურ ფასებთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილ იქნა რიგი არგუმენტაციები/მოსაზრებები, რომელთაგან ცენტრალური ადგილი უჭირავს ხაზგასმას იმ გარემოებაზე, რომლის მიხედვითაც განსახილველ პერიოდში ადგილი ჰქონდა უცხოური მიმწოდებელი/მწარმოებელი კომპანიების მხრიდან მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიმართ ონკოლოგიურ მედიკამენტებზე სარეკომენდაციო ფასების დადგენას. კერძოდ:

**შპს „პსპ ფარმა“** - კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როგორც წესი ძირითადი იმპორტიორები და სამინისტრო გარკვეულ ბიუჯეტზე თანხმდებიან, ამის შემდგომ ხდება მისაწოდებელი ფასის სარეკომენდაციო სახით განსაზღვრა.[30] სარეკომენდაციო ფასის განსაზღვრა უცხოურ მომწოდებლებს და კომპანიის წარმომადგენლებს შორის ძირითადად შემდეგი ფორმებით ხდება - ელ-ფოსტის მეშვეობით, სატელეფონო კომუნიკაციის ან პირადი შეხვედრების გზით.[31] მას შემდეგ, რაც შეიქმნა სპეციალური ელექტრონული პროგრამა, უცხოური მომწოდებლების წარმომადგენლების მხრიდან შპს „პსპ ფარმასთან“ პერიოდულად ხორციელდება კომუნიკაცია იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სარეკომენდაციო ფასი შეადგენს **X** თანხას და ამ ფასით უნდა მოხდეს მიწოდება სახელმწიფოსთვის, საბოლოო ჯამში მომხმარებლისთვის.[32] ონკოლოგიური მედიკამენტების ბაზარი ავტომატურად ჩამოყალიბებულია 2013 წლიდან. შესაბამისად, ისტორიულად, სამინისტროს და უცხოური მომწოდებლების წარმომადგენლების მხრიდან, სარეკომენდაციო ფასების კომპანიისთვის გაზიარება რა თქმა უნდა ხდება.[33]

სააგენტოს წარმომადგენლის შეკითხვაზე, სპეციალური ელექტრონული პროგრამის ფარგლებში სარეკომენდაციო ფასისგან განსხვავებული ფასის დადგენის შემთხვევაში, რა სამართლებრივი შედეგი დადგება იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს ხელშეკრულებების ნაწილს, კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შედეგთან დაკავშირებით მხოლოდ ვარაუდის გამოთქმაა შესაძლებელი და ონკოლოგიური მედიკამენტების მიმართულებით კომპანიას არ უცდია სარეკომენდაციო ფასებისგან გადახვევა.[34] ასევე კომპანიის წარმომადგენლის პოზიციით, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული და დარეგულირებული სარეკომენდაციო ფასის საცალო რეალიზატორის მიერ გამოყენების საკითხი, შესაბამისად მისგან გადახვევას რაიმე სამართლებრივი შედეგი არ უნდა მოჰყვეს, თუმცა კომპანიას მაინც არ აქვს სურვილი

[30] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა“.
[31] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა“.
[32] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა“.
[33] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა“ .
[34] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა“.

გამოსცადოს თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს სარეკომენდაციო ფასისგან გადახვევის შემთხვევაში.[35] კომპანიის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ შპს „პსპ ფარმა“ ონკოლოგიური მედიკამენტების კუთხით თანამშრომლობს ოთხ უცხოურ მომწოდებელ კომპანიასთან და 4-ივე მათგანი კომპანიასთან სარეკომენდაციო ფასებით თანამშრომლობს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.[36]

**შპს „ავერსი ფარმა“** - კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მედიკამენტების საერთაშორისო მომწოდებლების მხრიდან ადგილი აქვს სარეკომენდაციო ფასების განსაზღვრას, რაც გულისხმობს ისეთი ოპტიმალური ფასის დადგენას, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს ბიზნესის ფუნქციონირებას, ხოლო მეორე მხრივ - მედიკამენტებზე მომხმარებლების ხელმისაწვდომობას და ეს არის კომპანიის ფასწარმოქმნაზე გავლენის მომხდენი პირველი ფაქტორი.[37] სარეკომენდაციო ფასი, როგორც წესი დადგენილია მომხმარებლებისათვის (პაციენტებისათვის) ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე და არა იმ მიზნით, რომ მეტი მოგება ნახოს ბიზნესმა, რის გამოც როგორც წესი სარეკომენდაციო ფასზე უფრო მაღალი ფასი კომპანიას დაფიქსირებული არ აქვს.[38] კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ძირითად შემთხვევებში კომპანია სარეკომენდაციო ფასს ითვალისწინებს.[39] სარეკომენდაციო ფასების დადგენის პრაქტიკასთან დაკავშირებით, კომპანიის წარმომადგენელმა მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ელექტრონულ მიმოწერაზე კომპანია ასტრაზენეკასთან, ხოლო სხვა დანარჩენ წარმომადგენლობებთან მიმართებით (მაგალითად, როშე, ნოვარტისი) აღნიშნა, რომ სარეკომენდაციო ფასების დადგენასთან დაკავშირებით მათთანაც მიმდინარეობს კომუნიკაცია ოღონდ არა წერილობითი, არამედ შეხვედრების სახით.[40] კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უცხოური მომწოდებლის თანხმობის გარეშე სარეკომენდაციო ფასებს არ ცვლის.[41] კომპანიის წარმომადგენლის პოზიციით, მედიკამენტების უცხოური მომწოდებლის მიერ სარეკომენდაციო ფასების განსაზღვრა ითვალისწინებს პაციენტის ინტერესებს და როგორც წესი, ადგილი აქვს ფასის ზედა ზღვრის დადგენას.[42] კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ კომპანია შეამცირებს პროდუქტის გასაყიდ ფასს და დადგენილ სარეკომენდაციო ფასზე უფრო იაფად გაყიდის, ასეთ დროს  მომწოდებლისგან მოსალოდნელია უარყოფითი რეაგირება.[43] ბაზარზე ფასი ძირითადად დგინდება მომწოდებლის მხრიდან, შესაბამისად, შესაძლებელია როგორც შპს „ავერსი ფარმას“, ასევე მის კონკურენტ კომპანიებსაც იგივე მომწოდებლები ჰყავდეთ და მათთვისაც ანალოგიური ფასები განისაზღვრებოდეს.[44]

---

[35] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა“.
[36] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა“.
[37] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[38] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[39] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[40] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[41] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[42] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[43] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[44] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.

კომპანიის წარმომადგენლების პოზიციით, განსახილველ მედიკამენტებზე იდენტური ფასწარმოქმნის გამომწვევი სავარაუდო მიზეზი უცხოური მომწოდებლების მხრიდან საცალო რეალიზატორებისათვის სარეკომენდაციო ფასების დადგენა უნდა იყოს, თუმცა კომპანიის მიერ კონკურენტების ფასების მონიტორინგიც პერიოდულად ხორციელდება.[45] მიუხედავად ამისა, კომპანიის წარმომადგენელმა განმეორებითაც დაადასტურა სააგენტოს თანამშრომლის განმარტების სისწორე, იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიის პოზიციით განსახილველ მედიკამენტებზე იდენტური ფასწარმოქმნის მიზეზი უცხოური მომწოდებლების მიერ საცალო რეალიზატორებისთვის სარეკომენდაციო ფასების დადგენაში გამოიხატება.[46]

სს „გეფა“ - კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოში არსებული წარმომადგენლობები მედიკამენტების ხარისხის ერთგვარი გარანტორები არიან და მათი მხრიდან პერიოდულად ხდება გარკვეული რეკომენდაციების გაცემა საცალო რეალიზატორებზე, მათ შორის ფასების ნაწილში, თუმცა ფასი მხოლოდ ერთ-ერთი დეტალია.[47] განსახილველი ფასი ერთმნიშვნელოვნად სარეკომენდაციო ხასიათისაა და ის არ არის ხელშეკრულების საგანი.[48] სარეკომენდაციო ფასების გაცემა მომწოდებლების მიერ ძირითადად ხდება პირისპირ შეხვედრების ან სატელეფონო კომუნიკაციის გზით.[49] კომპანია ძირითადად იმ შემთხვევებში მიმართავს მომწოდებელს გასაყიდ ფასთან რჩევის მიღების კუთხით, როდესაც არსებული ფასით პროდუქტი ვერ იყიდება და შესაბამისად, მომწოდებლისგან ცდილობენ გაარკვიონ, თუ რა შეიძლება იყოს კონკურენტული ფასი.[50] კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იმ შემთხვევაში თუ კომპანია არ გაითვალისწინებს მომწოდებლის მიერ შეთავაზებულ სარეკომენდაციო ფასს, მაშინ არავითარი ბერკეტი მომწოდებელს არ გააჩნია, მეტიც, კომპანიას უფრო ხშირად გადაუხვევია აღნიშნული ფასისთვის, ვიდრე გაუთვალისწინებია.[51]

რაც შეეხება დანარჩენ 2 მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს - შპს „მერმისი“ და შპს „ეს კა იმპექსი“, სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართალია აღნიშნული კომპანიების წარმომადგენლებთანაც გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრები,[52] თუმცა მათ შემთხვევაში ადგილი ვერ ექნებოდა უცხოური მომწოდებლების მიერ გასაყიდი სარეკომენდაციო ფასების დადგენას, რადგან:

შპს „მერმისი“ ახორციელებს ონკოლოგიური მედიკამენტების იმპორტს საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის რესპუბლიკიდან (პარალელური იმპორტი) და ის განსახილველი

[45] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[46] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[47] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 01.09.2023 - სს ,,გეფა“.
[48] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 01.09.2023 - სს ,,გეფა“.
[49] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 01.09.2023 - სს ,,გეფა“.
[50] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 01.09.2023 - სს ,,გეფა“.
[51] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 01.09.2023 - სს ,,გეფა“.
[52] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N1, თარიღი: 30.08.2023 - შპს ,,მერმისი“; ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 , თარიღი: 30.08.2023 - შპს ,,ეს კა იმპექსი“.

მიმართულებით არ იმყოფება რაიმე სახის ურთიერთობაში უცხოურ მომწოდებლებთან (კომპანიები: ასტრაზენეკა, როშე, ნოვარტისი, სერვიე, სანოფი). ამასთან, სარეკომენდაციო ფასების არარსებობა კომპანიის მიერ დადასტურებულია წერილობითი ფორმითაც.[53]

**შპს „ეს კა იმპექსი“** ახორციელებს ონკოლოგიური მედიკამენტების იმპორტს საქართველოს ტერიტორიაზე საბერძნეთის რესპუბლიკიდან და ის არ იმყოფება რაიმე სახის ურთიერთობაში უცხოურ მომწოდებლებთან (კომპანიები: ასტრაზენეკა, როშე, ნოვარტისი, სერვიე, სანოფი). ამასთან, სარეკომენდაციო ფასების არარსებობა კომპანიის მიერ დადასტურებულია წერილობითი ფორმითაც.[54]

## 4.2. ონკოლოგიური მედიკამენტების მომწოდებელი/მწარმოებელი კომპანიების პოზიცია სარეკომენდაციო საკითხებთან დაკავშირებით

სარეკომენდაციო ფასებთან დაკავშირებით, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების - სს „გეფას“, შპს „პსპ ფარმას“ და შპს „ავერსი ფარმას“ პოზიციების/ინფორმაციის გათვალისწინებით, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებით გამოეკვლია უცხოური მომწოდებლების/მწარმოებლების მხრიდან სარეკომენდაციო ფასების სავარაუდო განსაზღვრის/დაწესების საკითხი, კერძოდ: ჰქონდა თუ არა ადგილი ამგვარი ფასების დაწესებას და ასეთი ფასების არსებობის შემთხვევაში გააჩნდა თუ არა მათ გავლენა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მოკვლევით შესაფასებელ ქცევაზე/ქმედებაზე. სააგენტომ პროცედურის მე-20 მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსულტაციო შეხვედრები გამართა შესაბამის კომპანიებთან - უცხოური მომწოდებლების წარმომადგენლობებთან:

**„სანოფი“** - კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ონკოლოგიური მედიკამენტების იმპორტთან წარმომადგენლობას არავითარი კავშირი არ ჰქონია.[55] შესაბამისად, სააგენტოში მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში დადგენილი შესაბამისი ბაზრის საზღვრების გათვალისწინებით, აღნიშნული კომპანია მოკლებული იყო შესაძლებლობას სააგენტოსთვის მიეწოდებინა რელევანტური ინფორმაცია. თუმცა, ზოგადად აღინიშნა, რომ უცხოური მომწოდებლის ე.წ. სათავო ოფისის მიერ სარეკომენდაციო ფასების დადგენა არავითარი სახით არ ხდება სხვა სახის (ონკოლოგიური პრეპარატების გარდა) მედიკამენტებზე.[56]

---

[53] შპს ,,მერმისი“ შემოსული წერილი, თარიღი: 27.06.2023 ; რეგ: N 01/2134.

[54] შპს ,,ეს კა იმპექსი“ შემოსული წერილი, თარიღი: 26.06.2023; რეგ: N 01/2103.

[55] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N4, თარიღი: 27.09.2023 - უცხოური საწარმოს ფილიალი ,,სანოფი“.

[56] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N4, თარიღი: 27.09.2023 - უცხოური საწარმოს ფილიალი ,,სანოფი“.

**„სერვიე“** - კომპანიის წარმომადგენელმა სააგენტოს მიაწოდა ინფორმაცია, რომლის მიხედვით უცხოური მომწოდებელი ონკოლოგიური მედიკამენტების მიმართულებით სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება მხოლოდ შპს „პსპ ფარმასთან“ და სს „გეფასთან“.[57] კონკურენციის კანონმდებლობიდან გამომდინარე, საცალო რეალიზატორის მიერ სათავო ოფისთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე რეგულირდება პირობები - შესაბამისად ევროპაშიც და კონკრეტულად საფრანგეთშიც, აღნიშნული ხელშეკრულება მხოლოდ მიწოდების ფასს არეგულირებს და სახელშეკრულებო პირობები არ მოიცავს სხვა იმგვარ კომპონენტს/კომპონენტებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს საცალო ფასწარმოქმნაზე. შესაბამისად, უცხოური მომწოდებლის მხრიდან საცალო რეალიზატორის ფასწარმოქმნაზე რაიმე ჩარევას ადგილი არ აქვს.[58] სააგენტომ კომპანიის წარმომადგენელს გააცნო 2022 წლის ოქტომბრის ელექტრონული მიმოწერა [redacted], რომლის ფარგლებშიც ერთ-ერთ ონკოლოგიურ მედიკამენტთან დაკავშირებით სარეკომენდაციო ფასის დადგენის საკითხი განიხილებოდა. კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნული გარემოება ახსნა იმ მიზეზით, რომ სავარაუდოდ ერთ-ერთი პაციენტი დაუკავშირდა წარმომადგენლობას და პრეტენზია განაცხადა მედიკამენტის მაღალ ფასთან დაკავშირებით, შესაბამისად მხოლოდ ამ გარემოების გათვალისწინებით იმოქმედა წარმომადგენლობამ და რჩევის სახით, მხოლოდ ერთჯერადად მიმართა [redacted][59] სათავო ოფისის მხრიდან საცალო რეალიზატორისთვის მისაწოდებელი ფასის ნაწილში, საფასო პოლიტიკა ხშირად არ იცვლება, აღნიშნული ფასის ცვლილების განმსაზღვრელი ძირითადად არის სავალუტო კურსი, ხოლო საცალო რეალიზატორების მიერ პროდუქტის გაყიდვებისას ფასწარმოქმნაზე მოქმედი სხვა ფაქტორები დამოკიდებულია დისტრიბუტორებზე და აფთიაქებზე.[60]

**„როშე“** - კომპანიის წარმომადგენელმა სააგენტოს მიაწოდა ინფორმაცია, რომლის მიხედვით უცხოური მომწოდებელი ონკოლოგიური მედიკამენტების მიმართულებით სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება მხოლოდ შპს „პსპ ფარმასთან“, შპს „ავერსი ფარმასთან“ და სს „გეფასთან“.[61] კომპანიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არც ერთი საცალო რეალიზატორის მხრიდან ადგილი არ ჰქონია მიმართვას, გარკვეული თხოვნის ფორმით, რომ უცხოურ მომწოდებელს მათთვის სარეკომენდაციო ფასი დაედგინა.[62] კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ფარმაცევტულ პროდუქტებთან - მათ შორის ონკოლოგიური პროდუქტების ფასწარმოქმნასთან მიმართულებით, ადგილი არ აქვს მომწოდებლის მხრიდან საცალო რეალიზატორების მიმართ რაიმე ზღვრის დადგენას (ზედა

---

[57] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N3, თარიღი: 26.09.2023 - უცხოური საწარმოს ფილიალი ,,ლე ლაბორატუა სერვიეს წარმომადგენლობა“.

[58] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N3, თარიღი: 26.09.2023 - უცხოური საწარმოს ფილიალი ,,ლე ლაბორატუა სერვიეს წარმომადგენლობა“.

[59] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N3, თარიღი: 26.09.2023 - უცხოური საწარმოს ფილიალი ,,ლე ლაბორატუა სერვიეს წარმომადგენლობა“.

[60] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N3, თარიღი: 26.09.2023 - უცხოური საწარმოს ფილიალი ,,ლე ლაბორატუა სერვიეს წარმომადგენლობა“.

[61] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N2, თარიღი: 25.09.2023 - შპს ,,როშ ჯორჯია“.

[62] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N2, თარიღი: 25.09.2023 - შპს ,,როშ ჯორჯია“.

ან ქვედა ზღვრის სახით), ასევე ადგილი არ აქვს უბრალოდ, მხოლოდ რჩევის სახით გასაყიდი ფასის შეთავაზებას.[63]

**„ასტრაზენეკა“** - კომპანიის წარმომადგენელმა სააგენტოს მიაწოდა ინფორმაცია, რომლის მიხედვით უცხოური მომწოდებელი ონკოლოგიური მედიკამენტების მიმართულებით სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება მხოლოდ შპს „პსპ ფარმასთან“, შპს „ავერსი ფარმასთან“ და სს „გეფასთან“.[64] კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ უცხოური მომწოდებლის მიერ ადგილი აქვს საცალო რეალიზატორებისათვის სარეკომენდაციო ფასების დადგენას მხოლოდ ზედა ზღვრის სახით, თუმცა აღნიშნული ზღვრული ბარიერიც რჩევის ხასიათს ატარებს და შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დისტრიბუტორი დაარღვევს აღნიშნულ ზღვარს, მომწოდებელი მოკლებულია შესაძლებლობას რაიმე ზომა მიიღოს.[65] აგრეთვე კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მომწოდებელი, პროდუქტის გასაყიდი საცალო ფასის ზედა ზღვარს, რეკომენდაციის (რჩევის) სახით ადგენს და აღნიშნულის პარალელურად, საცალო დისტრიბუტორებს შორის ჩვეულებრივ არსებობს მარჟის ფარგლებში კონკურენციის გაწევისა და ამ გზით სარგებლის მიღების შესაძლებლობა.[66] შესაბამისად, კომპანიის წარმომადგენლის ვარაუდით, დისტრიბუტორების მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მედიკამენტებზე იდენტური ფასების განსაზღვრა შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ ერთმანეთის მიმართ გარკვეული ინფორმაციის გაცვლას შესაძლოა ჰქონდეს ადგილი.[67] აგრეთვე, კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მომწოდებლის მიერ სარეკომენდაციო ფასების ზედა ზღვრის დადგენა (რჩევის სახით) ემსახურება ონკოლოგიური მედიკამენტების პაციენტებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ხოლო მარჟების განსაზღვრის მიმართულებით, ყველა კომპანიას შეუძლია თავისუფლად აირჩიოს მისთვის სასურველი ოდენობა, საკუთარი მოგების მიღების მიზნით.[68]

**„ნოვარტისი“** - სააგენტო აღნიშნავს, რომ საკონსულტაციო შეხვედრა ასევე უნდა გამართულიყო უცხოური საწარმოს ფილიალთან - სს ,,ნოვარტის ფარმა სერვისიზ წარმომადგენლობასთან“(კომპანიის წარმომადგენელი დაბარებული იყო სააგენტოს წერილის საფუძველზე - თარიღი: 13/09/2023; რეგ: N02/2427). კომპანიის წარმომადგენელმა უარი განაცხადა საკონსულტაციო შეხვედრაში მონაწილეობის მიღებაზე, თუმცა დაადასტურა

[63] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N2, თარიღი: 25.09.2023 - შპს ,,როშ ჯორჯია“.

[64] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N1, თარიღი: 20.09.2023 - უცხოური საწარმოს ფილიალი ,,ასტრაზენეკა იუქეი ლიმიტედის წარმომადგენლობა საქართველოში“.

[65] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N1, თარიღი: 20.09.2023 უცხოური საწარმოს ფილიალი ,,ასტრაზენეკა იუქეი ლიმიტედის წარმომადგენლობა საქართველოში“.

[66] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N1, თარიღი: 20.09.2023 უცხოური საწარმოს ფილიალი ,,ასტრაზენეკა იუქეი ლიმიტედის წარმომადგენლობა საქართველოში“.

[67] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N1, თარიღი: 20.09.2023 უცხოური საწარმოს ფილიალი ,,ასტრაზენეკა იუქეი ლიმიტედის წარმომადგენლობა საქართველოში“.

[68] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N1, თარიღი: 20.09.2023 უცხოური საწარმოს ფილიალი ,,ასტრაზენეკა იუქეი ლიმიტედის წარმომადგენლობა საქართველოში“.

მზაობა, რომ სააგენტოს მიერ წერილობითი ფორმით მიმართვის შემთხვევაში პასუხს გასცემდა ყველა დასმულ შეკითხვას. შესაბამისად, სააგენტომ წერილობით მიმართა კომპანიას (თარიღი: 28.09.2023; რეგ: N 02/2580), საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით. მიღებული ინფორმაციის მიხედვით, განსახილველ კომპანიას სადისტრიბუციო ხელშეკრულებები დადებული აქვს სამ ადგილობრივ საცალო რეალიზატორთან - შპს „ავერსი ფარმა", შპს „პსპ ფარმა" და სს „გეფა". ხელშეკრულებების მიხედვით, საქართველოს წარმომადგენლობის სათავო ოფისი არ ადგენს გასაყიდ სარეკომენდაციო ფასებს საცალო რეალიზატორებისთვის. სააგენტოში წარმოდგენილ წერილში აღნიშნულია, რომ მხოლოდ დისტრიბუტორია პასუხისმგებელი საკუთარი კომერციული სტრატეგიის განსაზღვრაზე და ფასის დაწესებაზე საქართველოში.[69] საცალო რეალიზატორების ანგარიშგებას სათავო ოფისის წინაშე ადგილი აქვს მხოლოდ მათ მიერ გაყიდული პროდუქციის მოცულობის და დარჩენილი მარაგების შესახებ ინფორმაციის მიწოდების კუთხით.[70]

### 4.3. სააგენტოს შეფასება სარეკომენდაციო ფასების მიმართულებით

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და რელევანტური საერთაშორისო სამართლებრივი წყაროების ანალიზის საფუძველზე, სააგენტო ფაქტობრივ გარემოებებს შეაფასებს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად.

წინამდებარე გადაწყვეტილების თავში წარმოდგენილია გარემოება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტებმა - შპს „პსპ ფარმამ", შპს „ავერსი ფარმამ" და სს „გეფამ", მათთან გამართულ ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით შეხვედრებზე აღნიშნეს, რომ უცხოური მომწოდებლების მიერ, საქართველოში არსებული წარმომადგენლობის მეშვეობით პერიოდულად ადგილი აქვს ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის ონკოლოგიური მედიკამენტების საცალო სარეალიზაციო ფასებთან დაკავშირებით სარეკომენდაციო ფასების განსაზღვრას. აღნიშნული გარემოება საცალო რეალიზატორების მიერ მიჩნეულია ონკოლოგიურ პროდუქტზე ახალი იდენტური და ისტორიულად იდენტური ფასწარმოქმნის განმაპირობებელ ერთ-ერთ გარემოებად, რაც თავის მხრივ კომპანიათა წარმომადგენლების პოზიციით გავლენას ახდენს თავისუფალ ფასწარმოქმნაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტომ დამატებით გამართა საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოში არსებულ ყველა იმ წარმომადგენლობასთან, რომლებიც დასახელებულნი

[69] შემოსული წერილი - უცხოური საწარმოს ფილიალი ,,სს ნოვარტის ფარმა სერვისიზ წარმომადგენლობა" (თარიღი: 11.10.2023; რეგ: N 01/3420).
[70] შემოსული წერილი - უცხოური საწარმოს ფილიალი ,,სს ნოვარტის ფარმა სერვისიზ წარმომადგენლობა" (თარიღი: 11.10.2023; რეგ: N 01/3420).

იყვნენ მოპასუხეების მიერ მათთან გამართულ ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით სხდომებზე და შესაბამისად, რომელთა მიერაც (უფრო ზუსტად, მათი სათავო ოფისების გადაწყვეტილების მიხედვით) შესაძლოა ადგილი ჰქონოდა სარეკომენდაციო ფასების დადგენას ონკოლოგიური მედიკამენტების მიმართ. სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს კომპანიების მიხედვით ინდივიდუალურად გამოყოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც განსახილველი კუთხით დადგინდა:

1. **სანოფი** - კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა დაახლოებით ბოლო 4-5 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ონკოლოგიური მედიკამენტების იმპორტთან წარმომადგენლობას არავითარი კავშირი არ ჰქონია და შესაბამისად, გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში ადგილი ვერ ექნებოდა აღნიშნული კომპანიის (სათავო ოფისის) მიერ ონკოლოგიურ მედიკამენტებზე სარეკომენდაციო ფასების დადგენას.

2. **სერვიე** - კომპანია სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება შპს „პსპ ფარმასთან“ და სს „გეფასთან“, თუმცა სარეკომენდაციო ფასების დადგენას ადგილი არ აქვს არც მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე და არც აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობის მიღმა. აღნიშნული გარემოება დასტურდება საქმეში არსებული წერილობითი ხელშეკრულებების შინაარსის ანალიზისა და კომპანიის წარმომადგენლის მიერ საკონსულტაციო შეხვედრაზე სააგენტოსთვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. [redacted]

3. **როშე** - კომპანია სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება შპს „პსპ ფარმასთან“, შპს „ავერსი ფარმასთან“ და სს „გეფასთან“, თუმცა სარეკომენდაციო ფასების დადგენას ადგილი არ აქვს არც მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე და არც აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობის მიღმა. აღნიშნული გარემოება, დასტურდება საქმეში არსებული წერილობითი ხელშეკრულებების შინაარსის ანალიზისა და კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან საკონსულტაციო შეხვედრაზე სააგენტოსთვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. შესაბამისად, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ სააგენტოში წარმოდგენილ წერილებში, ასევე მათთან გამართულ ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით შეხვედრებზე დაფიქსირებული მითითებები იმასთან დაკავშირებით, რომ როშესგან სარეკომენდაციო ფასების დადგენას ადგილი აქვს სატელეფონო კომუნიკაციის ან მის წარმომადგენლებთან პირისპირ შეხვედრების გზით, არ დასტურდება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე (გარდა ერთეული შემთხვევისა). [redacted]

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო არ იზიარებს [redacted] პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი ჰქონდა როშეს მხრიდან რეგულარულად, მით უფრო მოკვლევის პერიოდის განმავლობაში, ონკოლოგიურ მედიკამენტებზე სარეალიზაციო სარეკომენდაციო ფასების განსაზღვრას. ასევე, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება როშეს მხრიდან სარეკომენდაციო ფასების გაზიარების პრაქტიკის არსებობა [redacted] და [redacted] დაკავშირებითაც, რადგან როშეს წარმომადგენლებმა კატეგორიულად უარყვეს სააგენტოს მიერ მათთან გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე, მსგავსი პრაქტიკის არსებობა, ხოლო კომპანიები მხოლოდ უთითებენ სატელეფონო, ზეპირ კომუნიკაციაზე საქართველოს წარმომადგენლობებთან, რაც სააგენტოს მხრიდან ვერ მიიჩნევა შესაბამისი გარემოების დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებად.

4. „ასტრაზენეკა“ - საქმეში არსებული ელექტრონული მიმოწერის საფუძველზე და ასევე კომპანიის წარმომადგენლის მხრიდან საკონსულტაციო შეხვედრაზე სააგენტოსთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, უდავო ფაქტობრივ გარემოებად დადგინდა, რომ ასტრაზენეკას მიერ ადგილი აქვს საცალო რეალიზატორების მიმართ სარეკომენდაციო ფასების განსაზღვრას. კერძოდ, აღნიშნული კომპანია იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში შპს „ავერსი ფარმასთან“, შპს „პსპ ფარმასთან“ და სს „გეფასთან“. შპს „ავერსი ფარმასთან“ ურთიერთობის მიმართულებით, ამავე კომპანიას სააგენტოსთვის წარმოდგენილი აქვს ელექტრონული მიმოწერა ასტრაზენეკას საქართველოს წარმომადგენლობასთან, რომლის საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ადგილი აქვს უცხოური მომწოდებლის მხრიდან საცალო რეალიზატორისთვის სარეკომენდაციო ფასების დადგენას იმ ონკოლოგიურ მედიკამენტებზე, რომელიც მონაწილეობას იღებენ ჯანდაცვის სახელმწიფო ელექტრონულ პროგრამაში.[71] ანალოგიურად შპს „პსპ ფარმასთან“ ურთიერთობის კუთხით, ამავე კომპანიას სააგენტოსთვის წარმოდგენილი აქვს ელექტრონული მიმოწერა, რომლის საფუძველზეც ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ადგილი აქვს უცხოური მომწოდებლის მხრიდან საცალო რეალიზატორისთვის სარეკომენდაციო ფასების დადგენას იმ ონკოლოგიურ

[71] შემოსული წერილი - შპს ,,ავერსი ფარმა“ (თარიღი: 15.06.2023; რეგ: N 01/2011).

მედიკამენტებზე, რომელიც მონაწილეობას იღებენ ჯანდაცვის სახელმწიფო ელექტრონულ პროგრამაში. რაც შეეხება სს „გეფას“ - აღნიშნულმა კომპანიამ ჯერ წერილობით, ხოლო შემდგომ მასთან გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე მხოლოდ მიუთითა მომწოდებლების მხრიდან პერიოდულად სარეკომენდაციო ფასების განსაზღვრის შემთხვევებზე, თუმცა აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი რაიმე სახის დამატებითი მტკიცებულება სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად აქვს ადგილი ასტრაზენეკას მხრიდან სს „გეფასთვის“ სარეკომენდაციო ფასების დადგენას, მაშინ ამავე კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული პრაქტიკა მოიაზრებს მხოლოდ მაქსიმალური ზღვრის განსაზღვრას ისიც რეკომენდაციის (რჩევის) სახით და აღნიშნული ზღვრის ფარგლებში ჩვეულებრივ გააჩნია სს ,,გეფას“ შესაძლებლობა თავისუფლად განსაზღვროს სასურველი მარჟის ოდენობა, საკუთარი მოგების მისაღებად. სააგენტომ გამოიკვლია აღნიშნული გარემოებები და დადგინდა, რომ ასტრაზენეკა საცალო რეალიზატორებთან ურთიერთობაში ელ-მიმოწერის მეშვეობით განსაზღვრავს მხოლოდ საცალო სარეალიზაციო ფასის ზედა - მაქსიმალურ ზღვარს. გარდა ამისა, მაქსიმალური ზღვრის განსაზღვრა მხოლოდ რჩევის ხასიათს ატარებს. საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება ისეთი გარემოების/გარემოებების არსებობა, რომლის საფუძველზეც ასტრაზენეკასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ ეკონომიკურ აგენტებს შეეზღუდებოდათ ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების თავისუფალი მიღების შესაძლებლობა.

5. ნოვარტისი - კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი წერილობითი პასუხის საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად დგინდება ის გარემოება, რომ ადგილი არ აქვს საცალო რეალიზატორებისათვის გასაყიდი სარეკომენდაციო ფასების დადგენას. [redacted]

### 4.4. მოპასუხე ეკონომიკური აგენტების დამატებითი არგუმენტაციები

როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ სააგენტოში როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარმოდგენილ იქნა არგუმენტაციები სავარაუდო ჰორიზონტალური შეთანხმებული ქმედების ალტერნატიულ ახსნასთან დაკავშირებით, სადაც ცენტრალური ადგილი უკავია ონკოლოგიური მედიკამენტების მომწოდებლების მხრიდან საცალო სარეალიზაციო გაყიდვების მიმართულებით სარეკომენდაციო ფასების

დადგენას. თუმცა აღნიშნული გარემოების გარდა, მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტებმა მიუთითეს სხვა დამატებით ფაქტორებზეც, რომელიც სააგენტოს მიერ ასევე გაანალიზებული და შეფასებული იქნა წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში.

### 4.4.1. შპს ,,ავერსი ფარმა“

შპს ,,ავერსი ფარმას“ მიერ სააგენტოსთვის მოწოდებული პოზიციები, სარეკომენდაციო ფასების გარდა, ეხება რამდენიმე საკითხს, კერძოდ:

1. **სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია** - კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს ,,ავერსი ფარმას“ მიერ პროგრამის ფარგლებში დაფიქსირებული/წარდგენილი არც ერთი ფასი არ ეყრდნობოდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ პროგრამაში მონაწილე ეკონომიკური აგენტებისთვის ყოველთვიურად მიწოდებული ინფორმაციის შესაბამის ფასებს.[72] კომპანიის დირექტორის განმარტებით, სააგენტოს ყოველთვიური მონაცემები კომპანიის მენეჯმენტისთვის ცნობილი არ იყო, რადგან ის ეგზავნებოდა არა მენეჯერული რგოლის, არამედ სამედიცინო მარკეტინგის მიმართულების ფარგლებში მომუშავე თანამშრომელს. მენეჯერული რგოლი მხოლოდ მას შემდეგ დაინტერესდა აღნიშნული ინფორმაციით, როდესაც სააგენტომ შესაბამისი შეკითხვებით წერილობით მიმართა შპს „ავერსი ფარმას“.[73] უფრო მეტიც, აღნიშნული ინფორმაციიდან კომპანიის პოზიციით არ იკითხებოდა რიგი მნიშვნელოვანი გარემოებები, რომელიც მას საშუალებას მისცემდა გადაწყვეტილებები მიეღო საკუთარი ონკოლოგიური მედიკამენტების ფასწარმოქმნის პროცესში.[74] [redacted][75]

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო ხაზგასმით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „ავერსი ფარმას“ პოზიცია ამ კონკრეტულ შემთხვევაში კიდევ უფრო ამცირებს ბაზრის გამჭვირვალობის დონეს განსახილველი კომპანიის შემთხვევაში. შესაბამისად, სააგენტოსთვის მით უფრო გაურკვეველია, თუ რა განაპირობებდა ფასების იდენტურობას. განსახილველი გარემოებით, შპს ,,ავერსი ფარმას“ შემთხვევაში, არ დგინდება გარემოება, რომლის არსებობის პირობებშიც ბუნებრივად შესაძლოა მიღწეული ყოფილიყო იდენტური ფასწარმოქმნა შეთანხმებული ქმედების გამორიცხვის პირობებში.

---

[72] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“

[73] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.

[74] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.

[75] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.

2. **მინიმალური მარჟის შენარჩუნება** - კომპანიის არგუმენტაციით, საშუალო მარჟა პროგრამის მეშვეობით რეალიზებულ ონკოლოგიურ მედიკამენტებზე საშუალოდ არ აღემატება [redacted]%-იან ნიშნულს, თუმცა ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი [redacted]%-ის ფარგლებში მერყეობდა. შესაბამისად, მისთვის წარმოუდგენელია უფრო დაბალი მარჟით ოპერირება, რადგან ასეთ შემთხვევაში მოუწევს ბიზნესის დატოვება, ვეღარ დაასაქმებს თანამშრომლებს და ვეღარ განავითარებს სამედიცინო ქსელს.[76] კომპანიის წარმომადგენლის პოზიციით, მარჟის სიმცირის გამო, გაურკვეველია, თუ რა მოტივი შეიძლება ჰქონდეთ კონკურენტებს ერთმანეთთან კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მისაღწევად.[77]

სააგენტო აღნიშნავს, რომ კომპანია იგნორირებას უკეთებს პროგრამის ფუნქციონირების პრინციპებს, კერძოდ ფასის მინიმალურ შემცირებას შესაძლოა ჰქონდეს გავლენა კონკრეტული თვის განმავლობაში მედიკამენტის/მედიკამენტების მიწოდებაზე. შესაბამისად, მიუხედავად იმისა თუ რამდენად მცირე ან დიდი შეიძლება იყოს კომპანიის მარჟა, მოტივაცია ჩვეულებრივ პირობებში, რომ სწორედ მან გაიმარჯვოს აღნიშნულ პროგრამაში და სრულად მოიპოვოს შესაბამისი დაფინანსება, ერთმნიშვნელოვნად ცხადია. შპს ,,ავერსი ფარმას“ პოზიციით, დაბალი მარჟით ოპერირების პირობებშიც, სააგენტოს აღნიშნავს, რომ შესაძლებელია მისი თუნდაც 1-2 თეთრით/შემცირება, რაც კომპანიას მისცემს შესაძლებლობას კონკრეტული თვის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში სრულად უზრუნველყოს მედიკამენტების მიწოდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოსთვის გაუგებარია, კომპანიის მიერ ფასის მინიმალური შემცირების შემთხვევაში, ფასთა საერთო იდენტურობისგან გადახვევისას და პროგრამის მეშვეობით მეტი მედიკამენტის მიწოდების შედეგად, რატომ მოუწევს კომპანიას ბიზნესის დატოვება, რატომ ვეღარ დაასაქმებს თანამშრომლებს და ასევე, რატომ ვეღარ განავითარებს ქსელს. მიუხედავად ამისა, კომპანია მიჰყვება ფასთა იდენტურობის დონეს იმ ხარისხით, რომელიც მის კონკურენტ კომპანიებს გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში გააჩნდათ, ხოლო აღნიშნული გარემოება თავის მხრივ მიუთითებს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობაზე.

3. **რეფერენტული ფასები** - კომპანია ნაწილობრივ უთითებს იმ გარემოებაზე, რომ გარკვეულ მედიკამენტებზე სახელმწიფო ადგენს რეფერენტულ ფასებს, რომელიც მკაცრად კონტროლდება და მისი დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ჯარიმა.[78]

მოპასუხე კომპანიების მიერ პროგრამაში ახალი იდენტური ფასის წარდგენა სააგენტოსთვის შესაძლოა ყოფილიყო ალტერნატიული დამაჯერებელი ახსნა იმ შემთხვევაში, თუ რეფერენტული ფასის დაწესება და პროგრამაში ფასის წარდგენა დროითი შუალედით

[76] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[77] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[78] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.

იქნებოდა თანხვედრაში და ამავდროულად, სამინისტროს მიერ დაწესებული რეფერენტული ფასის ზედა ჭერი იქნებოდა პროგრამაში წარდგენილი ფასის იდენტური.

4. **ჯანდაცვის სამინისტროს უფლებამოსილება** - კომპანიის პოზიციით, იმ შემთხვევაში თუ პროგრამაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს ჰქონდათ იდენტური ფასები, სამინისტროს უნდა გასჩენოდა შესაბამისი შეკითხვა და მიემართა კომპანიებისთვის.[79]

სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამინისტრო არ არის ის უფლებამოსილი ორგანო, რომელმაც მოცემული საკითხი რაიმე ფორმით შეიძლება გამოიკვლიოს. შესაბამისად, ის გარემოება, რომ სამინისტროს მხრიდან ადგილი არ ჰქონია ფასების იდენტურობის მიმართულებით რეაგირებას, ვერ ჩაითვლება კომპანიებისათვის რაიმე სახის გამამართლებელ გარემოებად, მით უფრო, აღნიშნული გარემოება ვერ ჩაითვლება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობის საპირწონე ალტერნატიულ დამაჯერებელ ახსნად.

5. **კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების შედეგის არსებობის საჭიროება** - კომპანიის წარმომადგენელმა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ კანონსაწინააღმდეგო შეთანხმების დადასტურებისათვის მნიშვნელოვანია დგინდებოდეს - მაგალითად, გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში კონკურენტი კომპანიების მხრიდან განხორციელებული გაყიდვების მოცულობა იყო თუ არა მეტ-ნაკლებად თანაბარი, ან იყო თუ არა ასევე მეტ-ნაკლებად თანაბარი მათი საბაზრო წილები.[80]

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, სააგენტო განიხილავს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით დადგენილ სპეციალურ შემადგენლობას, რომელიც ითვალისწინებს სავაჭრო პირობების, მათ შორის ფასების ფიქსაციის შემთხვევას, რომლის გამოკვლევის ფარგლებშიც, კონკურენციის შემზღუდავი შედეგის არსებობა ცალკე გამოკვლევას არ საჭიროებს. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების პროდუქციის გაყიდვების მოცულობა ან/და საბაზრო წილები იყო თუ არა მეტ-ნაკლებად თანაბარი მოკვლევის პერიოდის განმავლობაში, არ ატარებს მაკვალიფიცირებელ და გადამწყვეტ მნიშვნელობას კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობის დასადგენად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის წარმომადგენლის მოცემული არგუმენტი სააგენტოს მიერ არარელევანტურად არის მიჩნეული.

აღსანიშნავია ისიც, პროგრამის ფარგლებში იდენტური და ამავდროულად ყველაზე დაბალი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, შესაბამისი მომხმარებელი ნაწილდება ყველა კომპანიაზე. შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით უზრუნველყოფილია

[79] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა".
[80] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა".

პროგრამის ფარგლებში დაფინანსების თანაბარი განაწილება (1) და აქედან გამომდინარე, ერთმანეთისთვის კონკურენციის გაუწევლობის პირობა (2). ცხადია, ასეთ შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში ხელოვნურად გარანტირებულია თითოეული მონაწილე სუბიექტის მიერ სარგებლის ნახვა და ამასთან ერთად, თითოეული მათგანი დაზღვეულია კონკურენციის რისკისგან. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის წარმომადგენლის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენტებთან გარკვეულ სავაჭრო პირობებზე შეთანხმების შემთხვევაში, გაურკვეველია თუ რა უნდა იქნეს განაწილებული, სააგენტოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული.[81]

### 4.4.2. შპს „პსპ ფარმა“

შპს „პსპ ფარმას“ მიერ ახსნა-განმარტებით სხდომაზე გაჟღერდა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ დღეის მდგომარეობით ნორმატიულ დონეზე არ არსებობს კონკრეტული წესი, რომელიც დაარეგულირებს პროგრამის ადმინისტრირებას და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის დადგენილი არ არის გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის პრინციპიც.[82] საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ დაისვა შეკითხვა - შპს „პსპ ფარმას“ დაკვირვებით, ჰქონდა თუ არა ადგილი პრაქტიკაში შემთხვევას, როდესაც კომპანიის მიერ დაფიქსირდა კონკურენტებზე დაბალი ფასი (აღნიშნული კომპანიისთვის ცნობილი გახდებოდა მომდევნო კალენდარულ თვეში სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ გაგზავნილი ინფორმაციის ფარგლებში), თუმცა მიუხედავად დაბალი ფასისა, მან მედიკამენტის რეალიზაცია ვერ განახორციელა მომხმარებელზე. ამგვარი შემთხვევის არსებობის შემთხვევაში, კომპანიას ეთხოვა ინფორმაციის წარმოდგენა, თუნდაც მხოლოდ ერთ კონკრეტულ მედიკამენტზე. კომპანიის პოზიციით, იყო შემთხვევები, როდესაც გააჩნდათ კონკურენტებთან შედარებით მცირედით დაბალი ფასი, თუმცა ვერ მოახერხეს მედიკამენტის რეალიზაცია, რაც მათივე მოსაზრებით კავშირშია პროგრამის მუშაობასთან, რომლის ადმინისტრირებისთვისაც ერთიანი წესები კანონმდებლობის დონეზე არ არის დადგენილი.[83] შედეგად, კომპანიის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ მათი მოსაზრებით ელექტრონულ პროგრამაში ყველაზე დაბალი ფასის დაფიქსირების შემთხვევაშიც კი, არ არსებობს იმის გარანტია, რომ გაიმარჯვო, რადგან უმცირესი ფასის პრინციპი არ მოქმედებს.[84]

ამასთან, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს“ 2023 წლის 12 სექტემბრის №NHA 52300957471 (სააგენტოში რეგ. №01/3056) წერილთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ელექტრონულ

[81] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 06.09.2023 - შპს ,,ავერსი ფარმა“.
[82] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა“.
[83] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა“.
[84] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა“.

პორტალზე რამდენიმე კომპანიის მიერ იდენტური დაბალი ფასის დაფიქსირების შემთხვევაშიც კი, ყველა მედიკამენტს გააჩნია იდენტური სტატუსი, რის შემდგომაც სააგენტოს მიერ რეცეპტი გამოიწერება რიგითობის მიხედვით.

შპს ,,პსპ ფარმას" მიერ სააგენტოსთვის წარმოდგენილი მოსაზრებები, სარეკომენდაციო ფასების გარდა, ეხება რამდენიმე საკითხს:

1. **მომწოდებლების მიერ სარეკომენდაციო ფასების დადგენა** - ახსნა-განმარტებითი შეხვედრის დროს, სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილდა მედიკამენტებზე ტეცენტრიკი (1200 მგ.) და აფინიტორიზე[85] (ახალი იდენტური ფასის ფარგლებში ორივე მედიკამენტი წარმოადგენს სააგენტოს მიერ აღწერილი 88 შემთხვევის ნაწილს). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომპანიის პოზიციით ახალი იდენტური ფასი განპირობებული უნდა ყოფილიყო კონკურენტი ეკონომიკური აგენტების საერთო მომწოდებლების და მათი სარეკომენდაციო ფასების ფაქტორით.[86]

მიუხედავად კომპანიის პოზიციისა სარეკომენდაციო ფასებთან დაკავშირებით, სააგენტო ვერ გაიზიარებს მოცემულ ვარაუდს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მომწოდებელი კომპანიების წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციით ადგილი არ აქვს სარეკომენდაციო ფასების დადგენას, ან ადგილი აქვს მხოლოდ ზედა ზღვარზე მითითებას, ისიც მხოლოდ რჩევის სახით.

2. **ლარის გაცვლითი კურსი** - კომპანიის მიერ აღინიშნა, რომ იდენტური ფასწარმოქმნა ასევე შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო ლარის გაცვლითი კურსით, რადგან კონკრეტული მედიკამენტის შესყიდვის ღირებულება უცხოურ ვალუტაშია დადგენილი და მასზე გავლენა გააჩნია ლარის გაცვლით კურსს.[87]

სააგენტოს პოზიციით აღნიშნული გარემოება ვერ ჩაითვლება კომპანიისათვის იდენტური ფასწარმოქმნის გამამართლებელ/გამომწვევ ფაქტორად, რადგან ვალუტის კურსს იდენტურ ფასწარმოქმნაზე გავლენა ვერ ექნებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ერთი მხრივ პროდუქციის შესყიდვა ხორციელდება სხვადასხვა პერიოდში, რა დროსაც ვალუტის კურსი არის სხვადასხვა, ხოლო მეორე მხრივ ყველა კომპანიას გააჩნია განსხვავებული დანახარჯები, მოგების საკუთარი განსხვავებული მარჟა, რაც უსაფუძვლოს და არარეალისტურს ხდის იმის მტკიცებას, რომ იდენტური ფასწარმოქმნის ფაქტი დამდგარიყო ლარის გაცვლითი კურსის გამო. საკითხთან დაკავშირებით, დამატებით, მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ყოველი თვის 15 რიცხვში ონკოლოგიური მედიკამენტების ყოველთვიური მარაგების რაოდენობისა და მათი თვითღირებულების შესახებ. მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მაგალითად მედიკამენტ

[85] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა".
[86] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა".
[87] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა".

აფინიტორთან დაკავშირებით - შპს „პსპ ფარმას“ არსებული მარაგის თვითღირებულება 1 ტაბლეტის დონეზე შეადგენდა [redacted] ლარს;[88] შპს „ავერსი ფარმას“ ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა [redacted] ლარს;[89] სს „გეფას“ – [redacted] ლარი[90] და შპს „მერმისის“ შემთხვევაში - [redacted] ლარი.[91] შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ კომპანიებს გააჩნდათ მარაგების იდენტური თვითღირებულება, უფრო მეტიც - თებერვლის თვეში (15-21 თებერვალი), 4 კომპანიის მიერ დაფიქსირდა ახალი იდენტური ფასი - 99.0 ლარი, ხოლო ამავე პერიოდში მათი მარაგების თვითღირებულება მნიშვნელოვნად იყო განსხვავებული, კერძოდ, 2 კომპანიის შემთხვევაში მარაგების თვითღირებულება საშუალოდ 150%-ით დაბალი იყო სხვა 2 კომპანიის მარაგების თვითღირებულებისგან, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამაში ოთხივე კომპანიის მიერ დაფიქსირდა ახალი იდენტური ფასი - 99 ლარი.

3. **ელექტრონული სისტემის ხარვეზი** - კომპანიის წარმომადგენლების მიერ, სამინისტროს ელექტრონულ პროგრამაში იდენტური ფასწარმოქმნის ალტერნატიულ ახსნად ასევე დასახელდა ელექტრონული სისტემის შესაძლო ხარვეზი, კერძოდ კომპანიის განმარტებით - შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მათ მიერ ატვირთული/წარდგენილი ფასების შესახებ ინფორმაციის გაჟონვას, რამაც შესაძლოა განაპირობოს ფასთა იდენტურობა. აქედან გამომდინარე, ფასის დაფიქსირებას ახორციელებენ [redacted] კომპანიის წარმომადგენლები დამატებით მიუთითებენ, რომ მათი მოსაზრებით ელექტრონულ პროგრამაში ჩარევა შესაძლოა მოხდეს გარე ფაქტორებით, რადგან პროგრამის, როგორც იურიდიული, ისე ტექნიკური დაცვის მექანიზმები არ არსებობს.[92]

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ელექტრონული პროგრამის ხარვეზებით მუშაობასთან დაკავშირებით სააგენტოში არც მხარის და არც სამინისტროს მხრიდან რაიმე სახის მტკიცებულება არ წარმოდგენილა. საკითხთან დაკავშირებით, ჰიპოთეტური დაშვებით, რომ ინფორმაციის გაჟონვას მართლაც აქვს ადგილი და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ როგორც შპს „პსპ ფარმა“ აღნიშნავს წინადადების ატვირთვას ახორციელებს [redacted], პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, თუ როგორ დაემთხვა შპს „პსპ ფარმას“ მიერ [redacted] ატვირთული ფასი უკვე ატვირთული 3 კომპანიის ფასს 1 თეთრის სიზუსტით. გარდა აღნიშნულისა, ამავე ჰიპოთეტური დაშვებით, თუ კომპანიის ფასი, რომელმაც პირველად ატვირთა წინადადება პროგრამაში, „გაჟონავს“, ის ცნობილი ხდება პროგრამაში მონაწილე 1 ან მეტი კომპანიისთვის. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც თუნდაც 1 თეთრით დაბალი ფასი იმარჯვებს, გაუგებარია რა მიზნით უნდა ატვირთოს მესამე ან თუნდაც რიგით მეოთხე კომპანიამ წინა კომპანიების იდენტური ფასი, როდესაც

[88] შპს „პსპ ფარმას“ 2023 წლის 20 სექტემბრის N02/1-01.4906 წერილი (რეგ. N01/3169, 20 სექტემბერი.
[89] შპს „ავერსი ფარმას“ 2023 წლის 2023 წლის 21 სექტემბრის N160/1 წერილი (რეგ. N01/3173), 21 სექტემბერი).
[90] სს „გეფას“ 2023 წლის 2023 წლის 2 ოქტომბრის წერილი (რეგ. N01/3293), 2 ოქტომბერი).
[91] შპს „მერმისის“ 2023 წლის 22 სექტემბრის წერილი N1848 წერილი (რეგ. 3193, 22 სექტემბერი
[92] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3, თარიღი: 01.09.2023 - შპს ,,პსპ ფარმა“.

მინიმალურად დაბალი ფასის ატვირთვით შესაძლებელი იქნება ბაზრის 100%-ის დაკავება, ხოლო იდენტური ფასის შემთხვევაში რიგითობის პრინციპის გათვალისწინებით მხოლოდ საშუალოდ 25%-ის. შესაბამისად, ამგვარი ჰიპოთეტური დაშვებით და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს იდენტიფიცირებული აქვს ახალი იდენტური ფასის არაერთი შემთხვევა, „გაჟონვის“ განხილვა შესაძლებელია არა როგორც შეთანხმებული ქმედების ალტერნატიულ/დამაჯერებელ ახსნად, არამედ როგორც შეთანხმებული ქმედების ფარგლებში ინფორმაციის გაცვლის საშუალებად.

### 4.4.3. სს „გეფა“

სს „გეფა“ სარეკომენდაციო ფასების გარდა ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე, რაც კომპანიის პოზიციით წარმოადგენს იდენტური ფასწარმოქმნის განმაპირობებელ ფაქტორს, კერძოდ:

**სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული პროგრამის ფარგლებში მოკვლევის წარმოება** - კომპანია მიუთითებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ხდება სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით, ფასების გათანაბრება სხვა კომპანიების მიერ დაფიქსირებულ დაბალ ფასებთან.[93]

როგორც უკვე აღინიშნა, საქმის მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს მიერ გაანალიზებული ინფორმაციის შედეგად გამოიკვეთა 88 შემთხვევა 42 მედიკამენტზე, როდესაც ადგილი აქვს ახალ იდენტურ ფასს - აღნიშნული ფასი წინა თვის/თვეების განმავლობაში არ ყოფილა მიწოდებული სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ კომპანიებისთვის, შესაბამისად სააგენტო არ იზიარებს სს „გეფას“ განსახილველ არგუმენტს.

**მედიკამენტის შესყიდვის ღირებულება (საინვოისო ღირებულება)** და **ლარის გაცვლითი კურსი, დანახარჯები** - ერთ-ერთი ფაქტორი, რომელსაც კომპანია მიიჩნევს, როგორც ფასწარმოქმნის განმსაზღვრელ გარემოებას, არის მიმწოდებლის მიერ კომპანიისთვის დადგენილი ფასი, რა ფასადაც ხდება მედიკამენტის შეძენა,[94] ლარის გაცვლით კურსთან ერთად.[95] კომპანია ასევე მიუთითებს, რომ დანახარჯების ოდენობა ასევე ახდენს გავლენას ფასწარმოქმნაზე:[96]

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს პოზიციით მოცემული გარემოება ვერ ჩაითვლება კომპანიისათვის იდენტური ფასწარმოქმნის გამამართლებელ/გამომწვევ ფაქტორად, რადგან ვალუტის კურსს იდენტურ ფასწარმოქმნაზე გავლენა ვერ ექნებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ერთი მხრივ პროდუქციის შესყიდვა ხორციელდება სხვადასხვა პერიოდში, რა

[93] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 01.09.2023 - სს ,,გეფა“.
[94] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 01.09.2023 - სს ,,გეფა“.
[95] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 01.09.2023 - სს ,,გეფა“.
[96] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 01.09.2023 - სს ,,გეფა“.

დროსაც ვალუტის კურსი არის სხვადასხვა, ხოლო მეორე მხრივ ყველა კომპანიას გააჩნია განსხვავებული დანახარჯები, მოგების საკუთარი განსხვავებული მარჟა, რაც უსაფუძვლოს და არარეალისტურს ხდის იმის მტკიცებას, რომ იდენტური ფასწარმოქმნის ფაქტი დამდგარიყო ლარის გაცვლითი კურსის გამო. საკითხთან დაკავშირებით, დამატებით, მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ყოველი თვის 15 რიცხვში ონკოლოგიური მედიკამენტების ყოველთვიური მარაგების რაოდენობისა და მათი თვითღირებულების შესახებ. თვითღირებულების ფაქტორთან დაკავშირებით, როგორც უკვე მაგალითისთვის აღინიშნა, მედიკამენტ აფინიტორზე კომპანიებს გააჩნდათ მნიშვნელოვნად განსხვავებული თვითღირებულების მქონე მარაგები, კერძოდ 2023 წლის 15 თებერვლის მონაცემებით - შპს „პსპ ფარმას“ არსებული მარაგის თვითღირებულება 1 ტაბლეტის დონეზე შეადგენდა [redacted] ლარს;[97] შპს „ავერსი ფარმას“ ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა [redacted] ლარს;[98] სს „გეფას“ – [redacted] ლარი[99] და შპს „მერმისის“ შემთხვევაში - [redacted] ლარი.[100] მიუხედავად კომპანიების მარაგების თვითღირებულებებს შორის ამგვარი განსხვავებისა, თებერვლის თვეში (15-21 თებერვალი), 4 კომპანიის მიერ დაფიქსირდა ახალი იდენტური ფასი - 99.0 ლარი.

### 4.4.4. შპს „მერმისი“

შპს „მერმისთან“ გამართულ ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე კომპანიის მიერ ყურადღება გამახვილდა ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ონკოლოგიური მედიკამენტების ფასწარმოქმნაზე - კერძოდ: 1. კონკურენტების ფასები; 2. მომწოდებლის ფასები; 3. მეზობელ ქვეყნებში მსგავს პრეპარატებზე არსებული ფასები. კომპანიის პოზიციით, ყველაზე დაბალი თვითღირებულების მქონე მედიკამენტების იმპორტი შესაძლებელია თურქეთის რესპუბლიკიდან. კომპანიის წარმომადგენელმა მიუთითა რეფერენტულ ფასებზე და აღნიშნა, რომ აღნიშნულ ფასებთან შედარებით უფრო მაღალ ფასად კომპანია ვერ მოახდენს იმპორტირებული პროდუქტის რეალიზაციას. კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაში შპს „მერმისის“ მიერ წარდგენილი ფასები, კონკურენტი კომპანიების ფასებს ემთხვევა თეთრების სიზუსტით. შპს ,,მერმისისთვის“ გაურკვეველია, თუ როგორ ემთხვევა მისი და კონკურენტი კომპანიების ფასები თეთრების სიზუსტით ერთმანეთს, რაც მისთვის წარმოშობს გონივრულ ეჭვს, შპს „ავერსი ფარმას“, შპს „პსპ ფარმას“ და სს „გეფას“ კარტელურ გარიგებაში ყოფნასთან დაკავშირებით.

[97] შპს „პსპ ფარმას“ 2023 წლის 20 სექტემბრის N02/1-01.4906 წერილი (რეგ. N01/3169, 20 სექტემბერი).
[98] შპს „ავერსი ფარმას“ 2023 წლის 2023 წლის 21 სექტემბრის N160/1 წერილი (რეგ. N01/3173), 21 სექტემბერი).
[99] სს „გეფას“ 2023 წლის 2023 წლის 2 ოქტომბრის წერილი (რეგ. N01/3293), 2 ოქტომბერი).
[100] შპს „მერმისის“ 2023 წლის 22 სექტემბრის წერილი N1848 წერილი (რეგ. 3193, 22 სექტემბერი).

სააგენტოს პოზიციით, როგორც უკვე აღინიშნა - მაგალითისთვის მედიკამენტ აფინიტორთან დაკავშირებით, კომპანიების თვითღირებულება იყო ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული, მათ შორის 2023 წლის 15-21 თებერვალს კომპანიების მიერ პროგრამაში წარდგენილი იდენტური ფასის - 99 ლარის შემთხვევაში. განსახილველ შემთხვევაში, შპს „მერმისის“ თვითღირებულება სხვა 2 კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთან შედარებით იყო მნიშვნელოვნად დაბალი, ხოლო 1 ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით წარმოდგენილი იყო მსგავს ნიშნულზე. დამატებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დაბალ თვითღირებულებასთან ერთად, კომპანიას გააჩნდა მედიკამენტის მნიშვნელოვნად მაღალი მარაგი - კერძოდ, 2023 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით კომპანიის გააჩნდა [redacted] ტაბლეტის მარაგი, მარტის თვის მდგომარეობით [redacted] ტაბლეტი (15-21 თებერვლის შუალედში ატვირთული ფასი მოქმედებდა მარტის თვეში). მარაგის მოცემულ რაოდენობას სააგენტო მიიჩნევს მნიშვნელოვნად მაღალ რაოდენობად იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2023 წლის მარტის თვეში პროგრამის ფარგლებში საერთო ჯამში განხორციელდა მხოლოდ 373 ტაბლეტი აფინიტორის რეალიზაცია. შესაბამისად, ერთი მხრივ კომპანიის მარაგის, ხოლო მეორე მხრივ კომპანიის მიერ პროგრამაში წარდგენილ ფასს და მარაგის თვითღირებულებას შორის არსებული [redacted]%-იანი სხვაობის/ფასნამატის (წარდგენილი ფასი - 99 ლარი, მარაგის თვითღირებულება - [redacted] ლარი) შედეგი ახალი იდენტური ფასის - 99 ლარის ოდენობით, აბათილებს კომპანიის წარმოდგენილ არგუმენტებს ფასწარმოქმნასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

იდენტური ფასწარმოქმნის ერთ-ერთ შესაძლო გამომწვევ მიზეზად კომპანია ასახელებს პროგრამის შესაძლო ელექტრონულ ხარვეზს, რის შედეგადაც სავარაუდოდ ხდება პროგრამიდან ინფორმაციის „გაჟონვა“, რაც შედეგობრივი თვალსაზრისით იწვევს ახალ იდენტურ ფასწარმოქმნას.

კომპანიის წარმომადგენლის პოზიციასთან დაკავშირებით, სააგენტოს დამაზუსტებელ კითხვაზე - იმ შემთხვევაში თუ იდენტური ფასები განპირობებული იყო პორტალიდან ინფორმაციის „შესაძლო“ გაჟონვით, მაშინ შპს „მერმისის“ მიერ სისტემაში ფასის ატვირთვას ადგილი უნდა ჰქონოდა კონკურენტი კომპანიების მიერ ფასის ატვირთვამდე, რიგით პირველი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომპანიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს სააგენტოს მოსაზრება და აღინიშნა, რომ მათი ფასი უნდა ყოფილიყო რიგით პირველი. სააგენტოს მიერ მოხდა განსახილველი ინფორმაციის - კერძოდ, ატვირთული ფასების რიგითობის გადამოწმება. მაგალითისთვის, პრეპარატ აფინიტორთან დაკავშირებით პროგრამაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ 2023 წლის 15-21 თებერვალს ატვირთული ფასებიდან, შპს „მერმისის“ მიერ ატვირთული - კონკურენტების იდენტური ფასი - 99 ლარი, იყო რიგით მე-4. შესაბამისად, კომპანიის პოზიციით ინფორმაციის შესაძლო „გაჟონვის“ პირობებშიც კი, რიგით მე-4 ფასი, მისი „გაჟონვის“ შემთხვევაში ვერ იქონიებდა გავლენას პროგრამაში უკვე ატვირთულ ფასებზე. ამასთან, ინფორმაციის „გაჟონვის“ ჰიპოთეტური დაშვების ფაქტზე, სააგენტომ უკვე იმსჯელა და შესაბამისად, აღნიშნული დაშვების ამავე პირობით და მოკვლევის ფარგლებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების

გათვალისწინებით, შესაძლოა იყოს შეთანხმებული ქმედების პირობებში ინფორმაციის გაცვლის გზა და არა მისი ალტერნატიული/დამაჯერებელი ახსნა.

### 4.4.5. შპს „ეს კა იმპექსი“

შპს „ეს კა იმპექსთან“ გამართული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ფარგლებში, კომპანიის მიერ აღინიშნა, რომ პორტალის გახსნისას, კომპანიებს ექსელის ფაილით ეგზავნებათ სხვა კომპანიების მიერ დაფიქსირებული ფასებიც (კონკურენტის დასახელებების მითითების გარეშე). აღნიშნულ ფაილში მითითებულია პროდუქცია და მისი ფასები, რომელსაც ითვალისწინებს შპს ,,ეს კა იმპექსი“ ფასის განსაზღვრისას. ასევე, არის შემთხვევები, როცა სახელმწიფოს აქვს დაწესებული რეფერენტული ფასები, რომლის გათვალისწინებაც ხდება.[101]

სარეკომენდაციო ფასების მიღებასთან დაკავშირებით, კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მომწოდებლებისგან არ აქვს ადგილი სარეკომენდაციო ფასების მოწოდებას/დაწესებას.[102]

სააგენტოს პოზიციით, შპს ,,ეს კა იმპექსის“ დირექტორის მიერ სააგენტოსთვის წარმოდგენილი არგუმენტაცია ორი მიმართულებით უნდა იქნეს შეფასებული:

**სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული პროგრამის ფარგლებში გაგზავნილი ფასების ცხრილი** - როგორც უკვე აღინიშნა, საქმის მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს მიერ გაანალიზებული ინფორმაციის შედეგად გამოიკვეთა ახალი იდენტური ფასის 88 შემთხვევა, მათ შორის შპს „ეს კა იმპექსი“ ფიგურირებდა 7 შემთხვევაში. თავის მხრივ ამგვარი ფასი არ ყოფილა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ კომპანიებისთვის წინა თვის/თვეების განმავლობაში მიწოდებული, შესაბამისად, სააგენტო არ იზიარებს შპს ,,ეს კა იმპექსის“ განსახილველ არგუმენტს.

**რეფერენტული ფასები** - მოპასუხე კომპანიების მიერ პროგრამაში ახალი იდენტური ფასის წარდგენა სააგენტოსთვის შესაძლოა ყოფილიყო ალტერნატიული დამაჯერებელი ახსნა იმ შემთხვევაში, თუ რეფერენტული ფასის დაწესება და პროგრამაში ფასის წარდგენა დროითი შუალედით იქნებოდა თანხვედრაში და ამავდროულად, სამინისტროს მიერ დაწესებული რეფერენტული ფასის ზედა ჭერი იქნებოდა პროგრამაში წარდგენილი ფასის იდენტური. თუმცა, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული 88 შემთხვევიდან, ორივე კომპონენტის თანხვედრა არ ხდება. შესაბამისად, ახალი იდენტური ფასის ალტერნატიულ/დამაჯერებელ ახსნად რეფერენტულ ფასებს, როგორც ფაქტორს სააგენტო არ იზიარებს.

[101] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2, თარიღი: 30.08.2023 - შპს ,,ეს კა იმპექსი“.
[102] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2, თარიღი: 30.08.2023 - შპს ,,ეს კა იმპექსი“.

## 5. მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებული და შემაჯამებელ სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციები

გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით, მოსაზრებები და პოზიციები წარმოადგინა ხუთივე მოპასუხე მხარემ.[103] წარმოდგენილი პოზიციები, უმრავლეს შემთხვევაში მოიცავდა მსგავს საკითხებს, შესაბამისად სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია მათი ერთობლივ კონტექსტში განხილვა, თუმცა ადგილი ჰქონდა კომპანიების დონეზე განსხვავებული პოზიციების წარმოდგენასაც, რასაც სააგენტო განიხილავს ინდივიდუალურ კონტექსტში.

შემაჯამებელ სხდომაზე კომპანიების მიერ წარმოდგენილი პოზიციები ძირითად შემთხვევებში იმეორებდა გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ წერილობით პოზიციებს, თუმცა ერთეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა დამატებითი პოზიციების წარმოდგენასაც.[104]

### 5.1. გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი მსგავსი პოზიციები

<u>გარემოება N1 - რეფერენტული ფასი:</u>

<u>კომპანიების პოზიცია</u> - კომპანიები მიუთითებენ, რომ მოკვლევის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული ქმედების დონეზე აღწერილი მედიკამენტების ნაწილზე იდენტური ფასწარმოქმნა განპირობებულია რეფერენტული ფასწარმოქმნით. ამასთან, ადგილი ჰქონდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ, იმ მედიკამენტებზე, რომლებზეც მოქმედებდა რეფერენტული ფასი, ფასის დაკორექტირებას და შესაბამისად, მათი პოზიციით, ამგვარი მედიკამენტები არ უნდა ყოფილიყო ქმედების ნაწილი.

[103] შპს „ჰსპ ფარმას“ წერილობითი პოზიცია 20.12.2023, N 01/4385; შპს „მერმისის“ წერილობითი პოზიცია 20.12.2023, N 01/4361; შპს „ეს კა იმპექსის“ წერილობითი პოზიცია 15.12.2023, N 01/4300; სს „გეფას“ წერილობითი პოზიცია 21.12.2023, N 01/4388; შპს „ავერსი-ფარმას“ წერილობითი პოზიცია - თარიღი: 20.12.2023, რეგ: N 01/4382.

[104] შემაჯამებელი სხდომის ოქმი, თარიღი: 25.12.2023.

**სააგენტოს პოზიცია** - საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოდან.[105] მიღებული ინფორმაციის მიხედვით,[106] დადასტურდა კომპანიების პოზიცია ორივე ნაწილში, კერძოდ რეფერენტული ფასების გავლენა იდენტურ ფასწარმოქმნაზე და სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ რეფერენტული მედიკამენტების ნაწილზე ფასის დაკორექტირება. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, *მას შემდეგ რაც რეფერენტული ფასები ძალაში შევიდა, რიგ მედიკამენტებზე ფიქსირდებოდა პორტალზე მაღალი ფასი, ამავდროულად კომპანიებს თავად არ შეეძლოთ ფასის დაკორექტირება, რადგან პორტალზე წინადადების წარდგენის პროცესი იყო დახურული. შესაბამისად, კომპანიების მიერ ფასების მომდევნო განახლებამდე, დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, რომ არ მომხდარიყო მომხმარებელზე ონკოლოგიური მედიკამენტების რეფერენტულზე მაღალ ფასად რეალიზაცია, საინფორმაციო პორტალის გახსნამდე, ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ მოახდინა შესაბამისი მედიკამენტების ფასების დაკორექტირება რეფერენტული ფასებით.*

სააგენტომ სრულად გაიზიარა კომპანიების პოზიცია განსახილველ ნაწილში და შესაბამისად, იდენტიფიცირებული ქმედებით აღწერილ მედიკამენტებში და პოზიციებში მოახდინა ცვლილება, რამაც გამოიწვია 56 პოზიციის შემცირება 42-მდე, ხოლო იდენტური ფასის შემთხვევები 103 ერთეულიდან შემცირდა 88 ერთეულამდე. ამასთან, აღნიშნული ცვლილებებით სრულად მოხდა შპს „ეს კა იმპექსის“ იდენტური ფასების დაფარვა (7 შემთხვევა) და შესაბამისად, განსახილველი კომპანია აღარ ფიგურირებს როგორც სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული ქმედების - კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მონაწილე.

**გარემოება N2 - გამჭვირვალობა:**

**კომპანიების პოზიცია** - წერილობით წარმოდგენილი პოზიციების დონეზე, კომპანიების მხრიდან აღინიშნა, რომ სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული შესაბამისი ბაზარი გამოირჩევა მაღალი გამჭვირვალობით, მათ შორის ისტორიულად მაღალი გამჭვირვალობით, რაც თავის მხრივ წარმოდგენილ იქნა, როგორც სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული ქმედების ალტერნატიული/დამაჯერებელი ახსნა.

გამჭვირვალობის ფაქტორებად ერთ-ერთი კომპანიის მიერ მითითებულია:

ა) კონკურენტების საცალო ფასები საცალო ქსელში - დაბალი ფასის აღმოჩენის შემთხვევაში სულ მცირე ხდებოდა ჩამოსვლა დაბალი ფასის ნიშნულამდე ან კიდევ უფრო დაბლა;
ბ) პაციენტებისგან მიღებული ინფორმაცია.

ფასწარმოქმნის განმაპირობებელ ფაქტორებს კომპანიის პოზიციით წარმოადგენს:

[105] სააგენტოს 2023 წლის 21 დეკემბრის N02/3716 წერილი.
[106] სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 22 დეკემბრის N NHA 3 23 01377535 წერილი (რეგ. N 01/4435).

ა) მომწოდებლის მიერ მოწოდებული სარეკომენდაციო ფასი;
ბ) ფასების მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია (მათ შორის საიტზე განთავსებული ინფორმაცია);
გ) პაციენტებისგან მიღებული ინფორმაცია;
დ) კომპანიის მოგებისთვის აუცილებელი მარჟა.

ერთ-ერთი კომპანია აღნიშნავს, რომ არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ნებისმიერ დროს დადგინდეს კონკურენტების ფასები, რაც შეიძლება მოხდეს მომხმარებლის გამოკითხვით, საიტზე გადამოწმებით, აფთიაქში მისვლით, კონკურენტებთან დარეკვით. კომპანია დამატებით მიუთითებს, რომ სააგენტოს შეფასება ბაზრის გაუმჭვირვალობაზე არ არის სწორი და ბაზარი ხასიათდება გამჭვირვალობით, არსებობდა ფასებთან დაკავშირებული ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მიღების შესაძლებლობა.

ერთ-ერთი კომპანია მიუთითებს, რომ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია, კონკრეტულად კი კომპანიებისთვის ყოველთვიურად გადაგზავნილი ცხრილი იძლეოდა მონაცემებს მხოლოდ ფასებზე (იგულისხმება წინა თვის განმავლობაში კომპანიების მიერ სისტემაში წარდგენილი ფასები), მასში არ იყო წარდგენილი კომპანიების მიერ მიწოდებული რაოდენობები, არც გაპასიურების და გააქტიურების სტატისტიკა, არც კომპანიების დასახელებები - რაც აბსოლუტურად შეუძლებელს ხდის ბიზნესის წარმოებისთვის საჭირო დასკვნების გაკეთებას. ამის მიუხედავად მას ფასებზე მაინც ჰქონდა ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან.

<u>სააგენტოს პოზიცია</u> - სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების პროექტში მოცემული იყო მსჯელობა ბაზრის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, კერძოდ ის ფაქტი, რომ ყოველი კალენდარული თვის 15-21 რიცხვებში კომპანიების მიერ პორტალზე დაფიქსირებული ფასები სრულად კონფიდენციალურია, რაც ნიშნავს იმას, რომ პორტალზე ფასების წარდგენის პროცესში კომპანიებს ხელი არ მიუწვდებათ/არ უნდა მიუწვდებოდეთ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მიერ წარდგენილ/წარსადგენ ფასებზე. შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, პორტალის ფუნქციონირების პრინციპების გათვალისწინებით, **წინადადებების წარდგენის პროცესს არ ახასიათებს გამჭვირვალობა**.

მნიშვნელოვანია ხაზგასმა სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ ქმედებაზე, კერძოდ - სააგენტოს მიერ სამართლებრივი შეფასება ხორციელდება მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ახალ იდენტურ ფასზე და არა ისტორიულად იდენტურ ფასზე. უშუალოდ ისტორიულად იდენტური ფასის შემთხვევაში, ბაზარზე არსებობდა გამჭვირვალობა სულ მცირე ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ყოველთვიურად კომპანიებისთვის გაგზავნილი ინფორმაციის ნაწილში. ასევე, სააგენტო იზიარებს კომპანიის პოზიციას, რომ გამჭვირვალობას ადგილი შეიძლება ჰქონოდა მაგ. პაციენტებისგან მიღებული ინფორმაციის მეშვეობით, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ რაც მოხდებოდა პორტალის დახურვა (21 რიცხვი) და ახალი იდენტური ფასი შევიდოდა ძალაში (22 რიცხვი). რაც შეეხება, ფასების მონიტორინგს - მათ შორის კომპანიების ვებ-გვერდების მეშვეობით, საკითხი არ არის რელევანტური, რადგან ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს პორტალის მეშვეობით მედიკამენტის რეალიზაციას, ხოლო მეორე

შემთხვევაში საცალო ფასებს. ამასთან, რამდენიმე კომპანია განმარტავს, რომ მედიკამენტების ფასი პორტალზე და საცალო ბაზარზე იყო განსხვავებული, რაც არარელევანტურს ხდის ფასების მონიტორინგის შესაძლებლობას სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული ქმედების თვალსაზრისით.

დამატებით, ერთ-ერთი კომპანიის მიერ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ გზად დასახელებულია „კონკურენტებთან დარეკვა“ - თუ აღნიშნული ხორციელდებოდა დახურულ რეჟიმში წარდგენილ ფასებთან დაკავშირებით, ის წარმოადგენს დამატებით მტკიცებულებას და არა იდენტიფიცირებული ქმედების ალტერნატიულ/დამაჯერებელ ახსნას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თუ კომპანიას მაინც მიუწვდებოდა ხელი კონკურენტის ფასებზე, აღნიშნული ცალსახად წარმოადგენს კომპანიებს შორის სტრატეგიული ინფორმაციის გაცვლას, რაც შეთანხმებულ ქმედებაზე მიუთითებს.

შეჯამების სახით, სააგენტო ადასტურებს ბაზრის შესაძლო გამჭვირვალობას 22 რიცხვიდან, თუმცა 15-21 რიცხვებში, როდესაც ხორციელდება წინადადების მიღება - პროცესი სრულად კონფიდენციალურია, შესაბამისად ამ ნაწილში ბაზარზე არ არსებობს გამჭვირვალობა და სააგენტო არ იზიარებს კომპანიების პოზიციას - იდენტიფიცირებული ქმედების ბაზრის გამჭვირვალობით ახსნის შესახებ.

დამატებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთ-ერთი კომპანია ბაზრის აუცილებელ გამჭვირვალობად მიიჩნევს ისეთ გარემოებას, როგორიცაა კომპანიების დონეზე იდენტიფიცირებული მონაცემები წარდგენილი ფასების შესახებ, გაპასიურების და გააქტიურების სტატისტიკა, კომპანიების მიერ მიწოდებული რაოდენობები - აღნიშნულს კომპანია განიხილავს, როგორც ბიზნესის წარმოებისთვის აუცილებელ ინფორმაციას. სააგენტოს შეფასებით, ამგვარი ინფორმაცია არ წარმოადგენს ბიზნესის წარმოებისთვის აუცილებელ ინფორმაციას, უფრო მეტიც, ის კონფიდენციალურია და მის გაცვლას შესაძლებელია მოყვეს სამართლებრივი შედეგები, რადგან სხვა ჩვეულებრივ პირობებში ეკონომიკურ აგენტებს ამგვარ ინფორმაციაზე წვდომა არ აქვთ/არ უნდა ჰქონდეთ.

**<u>გარემოება N3 - პარალელური ქცევა და მტკიცების სტანდარტი:</u>**

<u>**კომპანიების პოზიცია**</u> - ერთ-ერთი კომპანია მიუთითებს, რომ სააგენტოს მიერ საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს რაიმე ტიპის შეთანხმებულ ქმედებას. ასევე, კომპანიის პოზიციით, საავტომობილო საწვავის საქმეზე შპს „ლუკოილ-ჯორჯიასთან“ დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტება: *„პარალელური ქმედების არსებობა იმთავითვე არ ადასტურებს ეკონომიკურ აგენტებს შორის მართლსაწინააღმდეგო შეთანხმებას. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების დადასტურებისთვის მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ აგენტებს შორის კომუნიკაციის ფაქტის დადგენას, პირდაპირი მტკიცებულებების არ არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია სახეზე იყოს არაპირდაპირ მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც სარწმუნოდ დაადასტურებს შეთანხმებული ქმედების არსებობას. სანამ არსებობს ეკონომიკური აგენტების*

*ქმედებების ალტერნატიული დამაჯერებელი ახსნა-განმარტებები, ანტიკონკურენტული შეთანხმებები დადგენილად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან ბაზარზე, სადაც კონკურენტების ფასების მონიტორინგი მარტივად არის შესაძლებელი, ეკონომიკურ აგენტს ვერ აეკრძალება თავის განვითარების სტრატეგია კონკურენტი აგენტების ქცევას შეუსაბამოს.“*

დამატებით, კომპანია მიუთითებს საკითხთან დაკავშირებით უცხოურ გამოცდილებაზე, მათ შორის მოყვანილია ფასების პარალელიზმთან და ბაზრის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხები და კონკრეტული ქეისები. კომპანია აღნიშნავს, რომ კონკურენტებს შორის მძაფრი კონკურენციაა საცალო და საბითუმო ბაზარზე, ელექტრონული კომერციით შექმნილი რეალიზაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე. შესაბამისად, კომპანიის პოზიციით, რომ შეუძლებელია ეკონომიკურ აგენტებს ჰქონდეთ ასეთი მძაფრი კონკურენცია ნებისმიერ ასპარეზზე და გადაწყვიტონ, რომ სარეალიზაციო არხებიდან ერთ-ერთი უმცირესი სეგმენტის კონკრეტულ, კიდევ უფრო მკაცრ ნაწილზე შეთანხმდნენ.

ერთ-ერთი კომპანია დამატებით მიუთითებს, რომ კომუნიკაციის ფაქტის დადგენის პირდაპირი მტკიცებულებების არ არსებობის პირობებში, „აუცილებელია სახეზე იყოს არაპირდაპირი მტკიცებულებების ისეთი ერთობლიობა, რომელიც სარწმუნოდ დაადასტურებს შეთანხმებული ქმედების არსებობას“. კომპანია აღნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ გამოკვლეული არ ყოფილა, თუ რითი მტკიცდება ფასების პარალელიზმი, მიღებულია თუ არა ჭარბი მოგება კომპანიების მიერ და არის თუ არა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

<u>სააგენტოს პოზიცია</u> - იდენტიფიცირებული ქმედება - ახალი იდენტური ფასი არ წარმოადგენს პარალელურ ქცევას. ამ ქმედების მიზნებისთვის, პარალელურ ქცევად განიმარტება ქმედება, რომელიც გამოიხატება საბაზრო გამჭვირვალობის პირობებში კონკურენტ(ებ)ის მიბაძვაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებობდეს გამჭვირვალობა იმ დონით, რომ იძლეოდეს ამგვარი მიბაძვის შესაძლებლობას. როგორც საკასაციო სასამართლო განმარტავს, *„პირდაპირი მტკიცებულებების არ არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია სახეზე იყოს არაპირდაპირ მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც სარწმუნოდ დაადასტურებს შეთანხმებული ქმედების არსებობას“.* შესაბამისად, სააგენტო ამგვარ ქმედებად აკვალიფიცირებს ახალ იდენტურ ფასს, რომელიც სარწმუნოდ ადასტურებს შეთანხმებული ქმედების არსებობას იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს მისი ალტერნატიული/დამაჯერებელი ახსნა. ამასთან, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული ქმედება მოიცავს არა მხოლოდ პირდაპირი იმპორტით შემოტანილ მედიკამენტებს, არამედ პარალელური იმპორტის მეშვეობით შემოტანილ მედიკამენტებსაც, სადაც კომპანიების ინფორმაციითაც კი, არ არსებობდა სარეკომენდაციო ფასები, თუმცა მიუხედავად ამისა ფიქსირდება ახალი იდენტური ფასები.

რაც შეეხება ერთ-ერთი კომპანიის პოზიციას ონკოლოგიურ მედიკამენტებზე შეთანხმების შეუძლებლობასთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ ბაზრის სხვა სეგმენტებს, ისევე როგორც რეალიზაციის სხვადასხვა არხებს და როგორც კომპანია

განმარტავს - „გამძაფრებულ კონკურენციას“, გავლენა არ აქვს სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ ქმედებაზე კონკურენტული წნეხის გათვალისწინებით.

**<u>გარემოება N4 - სარეკომენდაციო ფასები:</u>**

**კომპანიების პოზიცია** - კომპანიების პოზიციით, სააგენტოს სათანადოდ არ გამოუკვლევია უცხოელი მომწოდებლების მიერ სარეკომენდაციო ფასების დადგენის პრაქტიკა, როგორც ფასის განსაზღვრის დამოუკიდებელი ფაქტორი და არ შეუფასებია ასეთი პრაქტიკის მასშტაბი სადავო შემთხვევებთან მიმართებით. კერძოდ, ის გარემოება, რომ უცხოელ მომწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული სარეკომენდაციო ფასების რეგულირების საკითხი, არ ნიშნავს იმას, რომ უცხოელი მომწოდებლები არ ახორციელებდნენ სარეკომენდაციო ფასების მიწოდებას, რასაც ადასტურებს 3 მოპასუხე ეკონომიკური აგენტის ახსნა-განმარტება და უცხოელი მომწოდებლების მიერ გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინებები. ერთ-ერთი კომპანიის მოსაზრებით, სარეკომენდაციო ფასის თუნდაც რამდენჯერმე განსაზღვრა მიუთითებს იმაზე, რომ ასეთ პრაქტიკას ადგილი ექნებოდა შემდგომშიც. ამასთან, სარეკომენდაციო ფასი რიგ შემთხვევებში განსაზღვრულია ზეპირი ფორმით. კომპანიების მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მედიკამენტებზე ფასების ცვლასა და დამთხვევას ლოგიკური კანონზომიერება ახასიათებს და ზუსტად ემთხვევა მომწოდებლების მიერ თითოეული თვის მითითებას სარეკომენდაციო ფასებთან დაკავშირებით.

**<u>სააგენტოს პოზიცია</u>** - ასტრაზენეკასგან სარეკომენდაციო ფასების მიღების შესახებ წერილობითი ინფორმაცია წარმოდგენილია ორი კომპანიისგან, ხოლო მესამე კომპანია აღნიშნავს, რომ ინფორმაციას სარეკომენდაციო ხასიათის მითითებებზე წერილობითი ფორმა არ ჰქონდა, მათ შორის არც ასტრაზენეკასგან. ორი კომპანია მიუთითებენ, რომ ზეპირი ფორმით სარეკომენდაციო ფასებს იღებენ ნოვარტისის, სერვიესა და როშესგან. ამასთან, ერთ-ერთი კომპანიის მიერ სერვიესთან და როშესთან დაკავშირებით დამატებით წარმოდგენილ იქნა წერილობითი ხასიათის ერთეული ინფორმაცია სარეკომენდაციო ფასების შესახებ.

სარეკომენდაციო ფასების გაცემა საკონსულტაციო შეხვედრაზე დადასტურდა მხოლოდ ასტრაზენეკას წარმომადგენლის მიერ, ხოლო სხვა კომპანიების მხრიდან აღნიშნული ფაქტი კატეგორიულად იქნა უარყოფილი, გარდა ზემოაღნიშნული ერთეული შემთხვევებისა.

სააგენტოს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი მოპასუხე კომპანიების მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია მომწოდებლებისგან გარკვეულ მედიკამენტებზე სარეკომენდაციო ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ასტრაზენეკას სარეკომენდაციო ფასები, რომელთა ადრესატსაც წარმოადგენდა ორი კომპანია, იდენტურია. ასევე ფიქსირდება სარეკომენდაციო ფასის გათვალისწინება და შესაბამისად თანხვედრა პროგრამაში

წარდგენილ ფასებთან. ასტრაზენეკას სარეკომენდაციო ფასი ეხება 7 მედიკამენტს, რომელთაგან 2 მედიკამენტი არ წარმოადგენს სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული ქმედების ნაწილს, კერძოდ: არიმიდექსი და კასოდექსი.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ნოემბრის შემდგომ პერიოდზე, ინფორმაცია სარეკომენდაციო ფასებზე არ არის წარმოდგენილი - იგულისხმება წერილობითი ფორმა (გარდა ერთეული შემთხვევისა). მიუხედავად იმისა, რომ კომპანიების განმარტებით ყოველთვის ხდებოდა სარეკომენდაციო ფასის გათვალისწინება და ამავდროულად ყოველი ახალი იდენტური ფასის გამომწვევ მიზეზად კომპანიები მიიჩნევენ სარეკომენდაციო ფასს, შემდგომ პერიოდშიც, მათივე განმარტებით - მიუხედავად იმისა, რომ არ მომხდარა წერილობითი სარეკომენდაციო ფასების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსთვის მოწოდება, ახალი იდენტური ფასი განპირობებული უნდა ყოფილიყო სარეკომენდაციო ფასით (ზეპირი ფორმა). თუმცა, წინა პერიოდის საერთო ახალი იდენტური ფასისგან გადახვევის შემთხვევები ფიქსირდება ყველა კომპანიის შემთხვევაში. მაგალითად, [redacted] მიერ მედიკამენტ **ფასლოდექსთან** დაკავშირებით ფიქსირდება 2023 წლის იანვრის თვეში - 138 ლარი (კონკურენტების იდენტური ფასი - 257 ლარი); 2023 წლის თებერვლის თვეში - 245 ლარი (კონკურენტების იდენტური ფასი - 257 ლარი); 2023 წლის აგვისტოს თვეში - 259 ლარი (კონკურენტების იდენტური ფასი - 270 ლარი). მედიკამენტ **ზოლადექსთან** 3.6მგ. დაკავშირებით, მსგავსი განსხვავებული ფასი [redacted] მიერ ფიქსირდება 2023 წლის იანვრის თვეში - 79 ლარი (კონკურენტების იდენტური ფასი - 120 ლარი). [redacted] შემთხვევაში, მსგავსი განსხვავებული ფასი ფიქსირდება მედიკამენტ **ლინპარზას** შემთხვევაში, კერძოდ: 2022 წლის ივნისში - 125.25 (კონკურენტების იდენტური ფასი - 114.20 ლარი); 2022 წლის ივლისი - 133 (კონკურენტების იდენტური ფასი - 114.20 ლარი); 2022 წლის აგვისტო - 133 ლარი (კონკურენტების იდენტური ფასი - 106.80 ლარი); 2022 წლის სექტემბერი - 133 ლარი (კონკურენტების იდენტური ფასი - 106.80 ლარი); 2022 წლის ოქტომბერი - 106.70 ლარი (კონკურენტების იდენტური ფასი - 106.80 ლარი); 2022 წლის ნოემბერი - 106.70 ლარი (კონკურენტების იდენტური ფასი - 106.80 ლარი). [redacted] შემთხვევაში, მედიკამენტ **ტეცენტრიკზე** 840მგ. განსახვავებული ფასი ფიქსირდება 2023 წლის ივნისის თვეში - 4685 ლარი (კონკურენტების იდენტური ფასი - 4700 ლარი); ტეცენტრიკი 1200მგ. 2023 წლის მაისი - 6580 ლარი (კონკურენტების იდენტური ფასი - 6585 ლარი).[107]

ასევე, საილუსტრაციოდ შესაძლებელია მედიკამენტ ავასტინის შემთხვევის განხილვაც. მოცემულ შემთხვევაში 616.42 ლარი წარმოადგენდა ახალ იდენტურ ფასს, ისევე როგორც 616 ლარი, თუმცა 2023 წლის მაისიდან სახეზეა იდენტური ფასწარმოქმნიდან გადახვევის ფაქტები პრაქტიკულად სამივე კომპანიის შემთხვევაში და შესაბამისად, კონკურენცია:

[107] ჩამონათვალი მოყვანილია კონკრეტული ერთი მაგალითის სახით და ამომწურავი არ არის.

*ცხრილი 1*

| კომპანია | მედიკამენტის სარეგისტრაციო ნომერი | სავაჭრო დასახელება | დოზა | აგვისტო 2023 | ივლისი 2023 | ივნისი 2023 | მაისი 2023 | აპრილი 2023 | მარტი 2023 | თებერვალი 2023 | იანვარი 2023 | დეკემბერი 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 024861 | ავასტინი | 100 მგ. | 586 | 586 | 596 | 612 | 616 | 616 | 616 | 616.42 | 616.42 |
| | 024861 | ავასტინი | 100 მგ. | 574 | 601 | 601 | 616 | 616 | 616 | 616 | 616.42 | 616.42 |
| | 024861 | ავასტინი | 100 მგ. | 567 | 575 | 616 | 616 | 616 | 616 | 616 | 616.42 | 616.42 |

აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ დავუშვებთ, რომ სულ მცირე 3 კომპანიის მიერ წარდგენილი იდენტური ფასი განსახილველ მედიკამენტებზე განპირობებული იყო სარეკომენდაციო ფასით, კონკურენტების ფასი ყოველთვის უნდა ყოფილიყო იდენტური - რაც განსახილველ, ისევე როგორც საილუსტრაციოდ მოყვანილ სხვა შემთხვევებში არ დასტურდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კომპანიების ქმედება წარმოადგენდა რეკომენდირებული ფასისგან გადახვევას, კომპანიებს მტკიცებულების სახით უნდა წარმოედგინათ გადახვევის შედეგები, სხვა შემთხვევაში დასტურდება ის გარემოება, რომ კომპანიებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ ამგვარი სარეკომენდაციო ფასის არ გათვალისწინება ან/და ის არ არსებობდა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ასტრაზენეკა ყოველთვის წერილობითი სახით აგზავნიდა სარეკომენდაციო ფასებს, მაშინ აღნიშნული მტკიცებულება სააგენტოში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სრულად. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2022 წლის ბოლო პერიოდსა და 2023 წლის დასაწყისისთვის, რა დროსაც ადგილი ჰქონდა ახალი იდენტური ფასების ყველაზე მეტ შემთხვევას, არ წარმოდგენილა სარეკომენდაციო ფასების ამსახველი არც ერთი წერილობითი მტკიცებულება.

სააგენტო განმარტავს, რომ რეკომენდაციების სავალდებულო ხასიათი არ დასტურდება არც კომპანიების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით, აგრეთვე არც მომწოდებლებთან ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრებით. კომპანიების აპელირება რეკომენდირებული ფასის დაცვაზე, წარმოადგენს სააგენტოს შეცდომაში შეყვანის მცდელობას. მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ რეკომენდაციებს ჰქონდათ სავალდებულოდ შესასრულებელი ხასიათი, კომპანიების მიერ ზემოთ აღნიშნულ ქმედებას უნდა მოჰყოლოდა შესაბამისი რეაგირება (სანქცია/გაფრთხილება და ა.შ.). მნიშვნელოვანია განიმარტოს ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ მხარეთა მიერ არაერთხელ იქნა აღნიშნული იმის თაობაზე, რომ მომწოდებლების მხრიდან დღეის მდგომარეობით არც სანქციას და არც გაფრთხილებას, მათ შორის შენიშვნასაც კი არ ჰქონია ადგილი. კომპანიების მიერ გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებულ პოზიციებში კვლავ ხაზგასმული იყო რეკომენდაციებისგან გადახვევის მოსალოდნელ მძიმე შედეგებზე. თუმცა, ისევე როგორც გადახვევის შედეგად მიღებული ზომების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ამ პოზიციებშიც არ გვხვდება რაიმე სახის დადასტურება მოსალოდნელი რისკების შესახებ. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ რეკომენდირებული ფასების ცხრილში განსაზღვრულია გაყიდვის მაქსიმალური სარეკომენდაციო ფასი და მომწოდებლის ინტერესი - მედიკამენტების ფინანსურ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, სააგენტო არ იზიარებს

მხარეთა მითითებას რეკომენდაციების გავლენაზე პროგრამაში მათ მიერ დაფიქსირებული იდენტური ფასების მიმართ.

დამატებით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ერთ-ერთი კომპანია თავად აღნიშნავს სარეკომენდაციო ფასის არა „მავალებელ“ ბუნებაზე. ასევე ერთ-ერთი კომპანიის მიერ წარმოდგენილია პოზიცია, რომლის მიხედვით ასტრაზენეკას შემთხვევაში სარეკომენდაციო ფასებისგან გადახვევა არ იყო მათ ინტერესში, ვინაიდან ითვალისწინებდნენ მომწოდებლის არგუმენტაციას, რომ უფრო ძვირად არ გაყიდულიყო ონკოლოგიური მედიკამენტები და ხელმისაწვდომი ყოფილიყო მოსახლეობისთვის. აღნიშნულ ღირებულებაზე უფრო ნაკლებ ფასად გაყიდვა წინასწარ არაპროგნოზირებად გარემოში, როცა არ იცოდნენ რა მოთხოვნა წარმოიშობოდა პორტალის გაყიდვებიდან, მათთვის არ იყო მომგებიანი. სარეკომენდაციო ფასის ზედა ზღვრის გათვალისწინება წარმოადგენს მედიკამენტის ფასის ხელმისაწვდომობის საშუალებას, ხოლო დაბალ ფასად გაყიდვა *,,კარგავდა კომერციულ ინტერესს“.*

სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, კომპანიების აპელირება რეკომენდირებულ ფასებზე ეხება იდენტიფიცირებულ ქმედებაში აღწერილი მედიკამენტების და შემთხვევების მხოლოდ ნაწილს. შპს „მერმისის“ 29 შემთხვევიდან, განსახილველი კომპანიის დონეზე, ადგილი არ ჰქონდა ფასის რეკომენდაციას მომწოდებლის მხრიდან. რეკომენდაციას ასევე ადგილი არ ჰქონდა 3 სხვა კომპანიის ინდივიდუალურად 10-მდე მედიკამენტზე.

<u>გარემოება N5 - დისტრიბუტორი კომპანიების შეზღუდული როლი ონკოლოგიურ ბაზარზე:</u>

<u>კომპანიების პოზიცია</u> - კომპანიების პოზიციით, სააგენტოს სათანადოდ არ გამოუკვლევია დისტრიბუტორი კომპანიების შეზღუდული როლი ონკოლოგიურ ბაზარზე და თავად ამ ბაზრის სპეციფიკა, მათ შორის არ გამოიკვლია სადავო ქმედებაში სახელმწიფოს ჩართულობის საკითხი და ის გარემოება, რომ უცხოელი მომწოდებლები განსაზღვრავენ ამ ბაზარზე მედიკამენტების მიწოდების პირობებს.

კერძოდ, ერთ-ერთი კომპანია აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ დისტრიბუტორების როლი ბაზარზე არსებითად შეზღუდულია ბაზრის კონიუქტურიდან გამომდინარე, რაშიც გულისხმობს იმას, რომ ონკოლოგიური დაავადების სამკურნალო მედიკამენტების სია, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს, ყალიბდება ჯანდაცვის სამინისტროს, ექიმების და უცხოელი მომწოდებლების წარმომადგენლების ერთობლივი მოლაპარაკება/შეთანხმების საფუძველზე. სახელმწიფო თავად განსაზღვრავს მედიკამენტების მწარმოებლებთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად შესაძენი მედიკამენტების სახეობასა და ფასს, რომლის საფუძველზეც ყალიბდება კონკრეტული პროგრამის შესასყიდი მედიკამენტების ბიუჯეტი. ამასთან, კომპანიის პოზიციით, ონკოლოგიური ბაზრის შესწავლას, მარკეტინგულ აქტივობებს, სარეკლამო კამპანიებს ახორციელებენ უცხოელი მომწოდებლების წარმომადგენლობები და ამ მხრივ, დისტრიბუტორის ჩართულობა შეზღუდულია. კომპანიის მოსაზრებით, დისტრიბუტორები ონკოლოგიურ მედიკამენტებთან მიმართებით ბაზარზე რეალურად მხოლოდ ე.წ. „გამტარის“ როლს ასრულებენ - უცხოელი მომწოდებლის მედიკამენტს სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით და სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული

სააგენტოს მიერ გაცემული მიმართვის საფუძველზე აწვდიან პაციენტს იმ ფასად, რასაც უთითებს უცხოელი მომწოდებელი, და რა ფასიც, თავის მხრივ, მომწოდებლების მიერ შეთანხმებულია სახელმწიფოსთან. შესაბამისად, კომპანიის პოზიციით, იმდენად, რამდენადაც კომპანია ბაზარზე ასრულებდა მხოლოდ შეზღუდულ ფუნქციას - „ატარებდა" პროდუქტს მომწოდებელსა და მიმღებს შორის, აღნიშნული როლიდან გამომდინარე, როგორც წესი, ითვალისწინებდა სარეკომენდაციო ფასებს. კომპანიის პოზიციით, დისტრიბუტორების როლი არის მხოლოდ ლოგისტიკური ნაწილი, მედიკამენტის ყიდვა, მიწოდება ქსელში და შემდეგ პაციენტების უზრუნველყოფა.

სააგენტოს პოზიცია - სააგენტო იზიარებს კომპანიის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ შესაბამის ბაზარზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო - პროგრამის დაფინანსების ფარგლებში, უცხოელი მომწოდებელი - მედიკამენტის მიწოდების დონეზე. თუმცა, აბსოლუტურად დაუსაბუთებელია კომპანიის პოზიცია, როდესაც ის ცდილობს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით გადაჭარბებულად წარმოაჩინოს ხსენებული ორი სუბიექტის როლი, ხოლო ფასწარმოქმნის ნაწილში საკუთარი პასუხისმგებლობის სრული ნიველირება მოახდინოს.

**მოკვლევის ფარგლებში ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ნებისმიერი მოპასუხე ეკონომიკური აგენტი თავისუფალია განსაზღვროს საკუთარი ფასი, მაშინაც კი როდესაც ადგილი აქვს სარეკომენდაციო ფასების გაზიარებას, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი გაზიარების ვალდებულების არარსებობაზე და იმგვარ მედიკამენტებზე, სადაც საერთოდ არ არსებობდა რეკომენდირებული ფასი.**

## გარემოება N6 - ფასების გაზიარების პრაქტიკა:

კომპანიების პოზიცია - კომპანიების პოზიციით, სააგენტომ არ შეისწავლა თუ რა მიზანს ემსახურებოდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ მოპასუხეთათვის ფასების გაზიარების პრაქტიკა. ერთ-ერთი კომპანიის მოსაზრებით, სააგენტომ მნიშვნელოვნად მიიჩნია იმ საკითხის გამოკვლევა, თუ რა მიზნით უგზავნიდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო მოპასუხეებს ყოველთვიურად მედიკამენტებზე წარდგენილი ფასების შესახებ ინფორმაციას. თუმცა, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ უპასუხოდ დატოვა შეკითხვა. ამდენად, ამავე კომპანიის პოზიციით, სააგენტომ საერთოდ არ შეისწავლა თუ რა მიზანს ემსახურებოდა ფასების გაზიარების პრაქტიკა. ასევე კომპანიის პოზიციით, რეალურად, ფასების გაზიარებით სახელმწიფო მოტივაციას აძლევდა პროგრამაში მონაწილე კომპანიებს, რომ გამოეყენებინათ უცხოელი მომწოდებლების მიერ დაფიქსირებული სარეკომენდაციო ფასები.

სააგენტოს პოზიცია - უპირველეს ყოვლისა, სააგენტო აღნიშნავს, რომ მოპასუხე კომპანიების პოზიცია წინააღმდეგობრივია როდესაც ხდება აპელირება, რომ ბიზნეს გადმოსახედიდან მომგებიანი იყო სარეკომენდაციო ფასების გაზიარება, ხოლო შემდგომ სარეკომენდაციო ფასების გაზიარების მოტივატორად სახელმწიფო სახელდება და თითქოს მისი დადანაშაულებაც ხდება. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ფასების

გაზიარების პრაქტიკის მიზანი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნებოდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისათვის ხელშეწყობა, რადგან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ერთმნიშვნელოვნად უნდა ემოქმედა საჯარო ინტერესების საზიანოდ, რაც გამოიწვევდა პაციენტებისათვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის არსებით შეზღუდვასა და ნაკლებობას. **აღნიშნული გარემოება სამწუხაროდ ისედაც მიღწეულია მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების გზით, ხოლო სახელმწიფო ზარალდება ამგვარი კანონსაწინააღმდეგო ქმედებით.**

მოპასუხე ეკონომიკური აგენტების პოზიცია სრულიად დაუსაბუთებელია, ვინაიდან მაშინ როდესაც ადგილი აქვს ახალი იდენტური ფასის დაწესებას, ასეთ შემთხვევაში თეორიულადაც კი გამორიცხულია რაიმე ეფექტი გააჩნდეს სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მხრიდან გასული თვის შესახებ ფასთა გაზიარების პრაქტიკას, რადგან სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული ფაქტების 100% სრულად განეკუთვნება ახალი იდენტური ფასის შემთხვევებს.

<u>გარემოება N7 - პორტალზე გამარჯვებულის გამოვლენის პრინციპი:</u>

<u>კომპანიების პოზიცია</u> - კომპანიების პოზიციით, სააგენტოს არ აქვს დადგენილი, რომ გამარჯვებულს წარმოადგენს ის ეკონომიკური აგენტი, რომელიც კონკურენტებთან შედარებით დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს. ერთ-ერთი კომპანიის ინფორმაციით, თუ მედიკამენტების ფასებს შორის „დიდი სხვაობა“ არ არის, მაშინ კონკრეტულ თვეში კონკრეტულ მედიკამენტზე მიმწოდებლად რამდენიმე მათგანი ერთობლივად ჩანს ელექტრონულ პროგრამაში. ასეთ დროს ოპერატორი თავისი შეხედულებისამებრ ამისამართებს პაციენტს რომელიმე აფთიაქში. იმ ფაქტზე დაფუძნებული სააგენტოს დასკვნა, რომ „1“ თეთრის დაკლების შემთხვევაშიც კი რომელიმე კომპანია კონკურენტულ უპირატესობაში აღმოჩნდებოდა, კომპანიის პოზიციით არასწორია. დამატებით, კომპანიის პოზიციით, მომხმარებლის გადანაწილება თანაბრად არ ხდება ყველაზე დაბალი იდენტური ფასის მქონე ყველა კომპანიაზე. შესაბამისად, კომპანია მიიჩნევს, რომ მომხმარებელი რიგითობის მიხედვით კონკურენტებს შორის არ ნაწილდება.

<u>სააგენტოს პოზიცია</u> - სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი მოკვლევის განმავლობაში კომპანიას არ წარმოუდგენია თუნდაც 1 შემთხვევა, როდესაც პროგრამაში მონაწილე რომელიმე სუბიექტის მიერ დაფიქსირებული იყო ყველაზე დაბალი ფასი და მიუხედავად ამისა, ვერ მოახდინა მედიკამენტის რეალიზაცია (სტატუსის „აქტიური“ პოზიცია). პაციენტთა არათანაბარი განაწილების პირობებშიც კი, მხოლოდ ეს ფაქტი არ არის საკმარისი მის შესაფასებლად, რადგან მნიშვნელოვანია სტატუსი „აქტიური“ იყო თუ „პასიური“.

დამატებით, სააგენტოსთვის გამარჯვებულის გამოვლენის განსხვავებული პრინციპი ცნობილი არ არის. სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს გარემოება დავის საგანზე გავლენას არ ახდენს, ვინაიდან ახალი იდენტური ფასის შემთხვევაში, განსახილველი კანონსაწინააღმდეგო **ქმედება დასრულებულია ამავე ფასის წარდგენით**.

**გარემოება N8 - პროგრამის ხარვეზი და ნორმატიული რეგულირება:**

**კომპანიების პოზიცია** - ერთ-ერთი კომპანიის პოზიციით, მიუხედავად სააგენტოსთვის მიწოდებული ინფორმაციისა, მან (სააგენტომ) უგულებელყო ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირების ხარვეზები, იმ პირობებში, როდესაც ელექტრონული პროგრამა სრულ ნორმატიულ ვაკუუმშია. კომპანიის პოზიციით, სააგენტომ არ ჩათვალა საჭიროდ გადაემოწმებინა პროგრამის ფაქტობრივი ფუნქციონირება და ამ მხრივ დაკმაყოფილდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიცემული განმარტება ყოველგვარი ფაქტობრივი გადამოწმების გარეშე. ასევე ერთ-ერთი კომპანიის წერილობით პოზიციაში, აღნიშნულია, რომ სააგენტოს ბოლომდე არ შეუსწავლია ელექტრონული სისტემის მოქმედების მოდელი და ის თუ რა გავლენას ახდენს ფასწარმოქმნაზე უშუალოდ ელექტრონული სისტემა. შესაბამისად, ამავე კომპანიის პოზიციით, ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს ელექტრონული სისტემის გამოსაყენებელი მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო, კიდევ უფრო აქტუალურია იმის დეტალურად შესწავლა თუ რა გავლენას ახდენს ის მედიკამენტთა ფასწარმოქმნაზე. აქედან გამომდინარე, კომპანიის პოზიციით, ცხადია, რომ საკანონმდებლო დონეზე დაურეგულირებელი ელექტრონული სისტემის ფარგლებში არსებული ურთიერთობების მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა ქმედებების სათანადო შეფასება, სააგენტოს მხრიდან ვერ მოხდებოდა ამავე სისტემის გაუმართაობისა და რეგულირების არარსებობის პირობებში.

**სააგენტოს პოზიცია** - უპირველეს ყოვლისა სააგენტო ეთანხმება იმ გარემოების არსებობას, რომ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი „პორტალის“ ფუნქციონირების პრაქტიკაში დანერგილი წესები სასურველი იყო მოქცეულიყო ნორმატიული რეგულირების ქვეშ და ამ მიზნის მისაღწევად, სააგენტომ შეიმუშავა განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იდენტიფიცირებული ქმედება სრულდება ყოველი კალენდარული თვის 15-21 რიცხვებში წინადადებების წარდგენით და მისი შეფასების მიზნებისთვის მნიშვნელობა არ აქვს პორტალის შემდგომი ფუნქციონირების წესებს, მათ შორის ნორმატიული მოწესრიგების საკითხს. ამასთან, კომპანიების მიერ არ წარმოდგენილა იმგვარი ინფორმაცია/მტკიცებულება, როდესაც უმცირესი ფასის წარმდგენმა კომპანიამ პროგრამის ფუნქციონირების წესებიდან გამომდინარე ვერ მოახდინა მედიკამენტის რეალიზაცია (სტატუსის „აქტიური“ პირობებში). დამატებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ არცერთი კომპანიის მიერ სადავო არ გამხდარა მათი მხრიდან სისტემაში წარდგენილი ფასებისა და სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად „პორტალში“ საბოლოოდ დაფიქსირებულ ფასებს შორის შესაბამისობის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიაჩნია, რომ კომპანიების აპელირება იმის თაობაზე, რომ მათი იდენტური ფასწარმოქმნა მათ შორის განპირობებულია პროგრამის ხარვეზიანობით, არ წარმოადგენს ქმედების გამართლებას, ალტერნატიულ ახსნას და ის ემსახურება მხოლოდ მოკვლევისა ფარგლებში მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან

თავიდან არიდების მიზანს, რაც ერთმნიშვნელოვნად ვერ იქნება გაზიარებული სააგენტოს მიერ.

**გარემოება N9 - სანქციის ოდენობა:**

**კომპანიების პოზიცია** - ერთ-ერთმა კომპანიამ (ავერსი) სანქციის ოდენობა სადავო გახადა იმ დასაბუთებაზე დაყრდნობით, მოცემულ შემთხვევაში სააგენტოს მიერ განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა არის უპრეცედენტოდ მაღალი. ასევე, სადავო გახდა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ხანგრძლივობის საკითხს (პსპ).

კომპანიებს ჯარიმის ოდენობის ნაწილში მოყვანილი აქვთ ევროკავშირის პრაქტიკა, რასაც სააგენტო ვერ გაიზიარებს, გამომდინარე იქედან, რომ ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობისგან განსხვავებით, ქართული კანონმდებლობა, ასევე, სააგენტოს ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპები, არ ითვალისწინებს ჯარიმის გამოთვლის იმ მეთოდოლოგიას, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული პრაქტიკით.

ერთ-ერთ კომპანია აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ სააგენტომ საწვავის (III) საქმეში გამოიყენა უფრო დაბალი სანქციები, ვიდრე მოცემული შემთხვევაში, რაც კომპანიას გაუმართლებლად მიაჩნია, რადგან მისი პოზიციით სააგენტომ განმეორებითი ქმედება (რეციდივი) დამამძიმებელ გარემოებად არ მიიჩნია. სააგენტო განმარტავს რომ:

1. საწვავის II საქმეზე დარღვევა დადგინდა კანონის მე-7 კანონის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქმედება - „ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება“;
2. საწვავის III საქმეზე სააგენტოს მიერ დადგინდა კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება - „შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება)“.

ერთ-ერთი კომპანია აპელირებს, რომ მისი როლი ფასწარმოქმნის პროცესში შეზღუდულია და სახელმწიფო მწარმოებლებთან შეთანხმებით განსაზღვრავს შესაძენი მედიკამენტის სახეობასა და ფასს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტოს სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად (წერილის N01/3056, თარიღი: 12.09.2023) ონკოლოგიური მედიკამენტების დაფინანსების პროცესში მწარმოებელი კომპანიები არ არიან ჩართულნი.

ორმა კომპანიამ განაცხადა, რომ სააგენტოს მხრიდან არ იქნა გამოკვლეული კომპანიების მხრიდან განზრახვის ან გაუფრთხილებლობის არსებობა, რაც ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისთვის. სააგენტო განმარტავს, რომ ვინაიდან დადგენილი დარღვევა წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე დარღვევას, თავისთავად, გაუფრთხილებლობას, როგორც შემამსუბუქებელ გარემოებას, ვერ ექნებოდა ადგილი.

**სააგენტოს პოზიცია:** სანქციის არსებული ოდენობის შედარება სააგენტოს მიერ სხვა გადაწყვეტილებებში გამოყენებულ სანქციებთან, არ არის მართებული, ვინაიდან თითოეულ შემთხვევას განსხვავებული და ინდივიდუალური გარემოებები ახასიათებს. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში სანქციის ოდენობაზე გავლენა მოახდინა დარღვევის ხანგრძლივობამ, რაც თავის მხრივ იწვევს ზიანის მოცულობის ზრდას. ასევე, მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა აღნიშნული შეთანხმების კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის არსებობა, რადგან ასეთ შემთხვევაში არ გამოიყენება „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციები.

სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედება პირველად ფიქსირდება 2021 წლის მაისის თვეში და გრძელდება 2023 წლის ივნისის თვის ჩათვლით პერიოდში. ცხადია, აღნიშნული არ გამორიცხავს 2023 წლის აგვისტოს შემდგომ პერიოდში[108] მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა მოკვლევის ფარგლებში დადგენილი აღნიშნული პერიოდი წარმოადგენს ხანგრძლივ დროს ამ ქმედებისთვის, რაც ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა. ასევე, ერთ-ერთი კომპანია აღნიშნავს, რომ სააგენტოს მხრიდან გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ მის მიერ ამგვარი ფასის დადგენა განპირობებული იყო მომწოდებლის მხრიდან დადგენილი ფასით, რაც მისი პოზიციით უზრუნველყოფდა პაციენტების მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობას. სააგენტო არ იზიარებს აღნიშნულ არგუმენტს, ვინაიდან მოპასუხე კომპანიების მიერ დღეის მდგომარეობით არ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ის გარემოება, რომ მათ არ შეეძლოთ რეკომენდირებული ფასის ცვლილება, მათ შორის, ფასის შემცირების კუთხით.

ქმედების იგივეობა ზემოთ მოცემულ ორ შემთხვევაში ვერ დგინდება. თუმცა, განსხვავებული განმარტების პირობებშიც კი ვერ დგინდება რეციდივის არსებობა, რადგან ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, სამართალდარღვევა ითვლება განმეორებით ჩადენილად, თუ იგი ხელახლა განხორციელდა მისი თავდაპირველი ჩადენიდან ერთი წლის განმავლობაში.

### 5.1.2. შპს პსპ ფარმა

კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა სარეკომენდაციო ფასების ერთეული შემთხვევები სერვიეს და როშეს შემთხვევაში.

**სერვიე** - კომპანია აღნიშნავს, რომ სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტიდან არ დგინდება იმ პაციენტის ვინაობა, რომელმაც ფასის შემცირების თხოვნით მიმართა სერვიეს.

[108] 2023 წლის აგვისტოს თვით სრულდება სააგენტოს მიერ შესწავლილი პერიოდი.

გარდა ამისა, კომპანია მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააგენტომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა შემდეგი გარემოებები: წერილობით შეტყობინებაში სერვიე უთითებს, რომ *„ონკოლოგია ჩაგვივარდა ბოლო დროს“* და სურთ ამ საკითხის გავლა და შეთანხმება. წერილობით შეტყობინებაში არ არის მითითება რომელიმე პაციენტის მიერ რაიმე მიმართვაზე, ცხადია, რომ საკითხი უფრო ზოგადად ფასების დარეგულირებას ეხება. წერილობითი შეტყობინება არ მიუთითებს რაიმე საგამონაკლისო შემთხვევაზე, რატომაც ხდება ფასის მიწოდება, არამედ ჩანს, რომ ასეთი ფასის მიწოდება მხარეთა შორის ჩვეულებრივი ურთიერთობის ნაწილი იყო. წერილობით შეტყობინებაში ჩანს, რომ კომპანიის წარმომადგენელი სერვიეს წარმომადგენელს ეთანხმება და ეუბნება „დრო თქვენ გვითხარით“. რაც ნიშნავს, რომ როგორც ყოველთვის, სერვიეს წარმომადგენელი გადაწყვეტდა, რომელი თვიდან უნდა შეცვლილიყო ფასი. მის მიერ აღნიშნული კომუნიკაცია დამატებით განხორციელდა სატელეფონო ზარით და ფასის შეცვლის თარიღად კომპანიას მიეთითა 2022 წლის დეკემბერი. სერვიეს წარმომადგენელი წერს - *„15 მგ 4800 ლარი დავსვათ და 20 მგ 6200 ლარი“.* ასევე ცხადია, რომ წერილობითი შეტყობინება ეხება ელექტრონული პორტალის ფასებს, რადგან კონკრეტულად უთითებს სერვიეს წარმომადგენელი - *„პორტალის გახსნისას გთხოვთ, გაითვალისწინოთ“.*

კომპანიის პოზიციით, სააგენტოს მიერ განსაზღვრული ახალი იდენტური ფასის შემთხვევებიდან 6 შემთხვევა ეხება სერვიეს მედიკამენტს და აქედან 2 შემთხვევის ანალიზი ადასტურებს არგუმენტს სარეკომენდაციო ფასის მიღებასთან დაკავშირებით. 2022 წლის დეკემბერში სერვიეს წარმომადგენლის მიერ გაგზავნილი ზემოაღნიშნული იმეილის საფუძველზე შეიცვალა 2 მედიკამენტის ფასი, კერძოდ: ლონსურფი 15მგ. და ლონსურფი 20მგ.

[redacted]

**სააგენტოს პოზიცია** - მართალია იმ პაციენტის ვინაობა, რომელმაც სერვიეს მიმართა, არ არის დადგენილი, თუმცა აღნიშნული გარემოება არ არის რელევანტური, რადგან წარმოდგენილი მტკიცებულებით დგინდება, რომ სარეკომენდაციო ფასის დადგენას სერვიეს მხრიდან მხოლოდ ერთჯერადად ჰქონდა ადგილი. მოცემულ შემთხვევაში სააგენტო ხაზს უსვამს იმაზე, რომ „წერილის შინაარსის მიხედვით“, სერვიე აღნიშნავს - *,,ონკოლოგია ჩაგვივარდა ბოლო დროს“,* ხოლო პორტალში განთავსებულ ფასთან დაკავშირებით ინფორმაცია (ლონსურფი 1 ტაბლეტი - 93 ლარი) მან მიიღო ექიმებისგან (*,,ექიმები მაღალ ფასს აღნიშნავენ მნიშვნელოვან მიზეზად“).* შესაბამისად, სერვიეს რაიმე სახის დამოუკიდებელი წვდომა პორტალზე არ გააჩნდა. შესაბამისად, აღნიშნული მიუთითებს სერვიეს ინფორმაციის წყაროზე - ექიმებზე და არა პორტალზე.

**როშე** - კომპანიამ წარმოადგინა 2022 წლის ნოემბრის ერთეული კომუნიკაცია როშეს წარმომადგენელთან, რომელიც კომპანიის წარმომადგენელს უგზავნის სამი მედიკამენტის ფასის ცვლილების თაობაზე მოთხოვნას და უთითებს დანარჩენი მედიკამენტების ფასების უცვლელად დატოვებაზე. კომპანიის პოზიციით, აღნიშნული კონკრეტული შეტყობინებით

მიღებული ახალი ფასები აისახა სამ მედიკამენტზე და სწორედ აღნიშნული სამი შემთხვევა არის 2022 წლის დეკემბრის თვეში სადავო ახალ იდენტურ ფასებს შორის. ამასთან, კომპანიის პოზიციით, აღნიშნული კომუნიკაციიდან კარგად ჩანს ასეთი კომუნიკაციის რეგულარული ბუნება.

[redacted]

**სააგენტოს პოზიცია** - როშეს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მისი ინტერესია, რაც შეიძლება იაფად გაიყიდოს მისი მედიკამენტები, მეტი მედიკამენტი ჩაჯდეს დაფინანსების ლიმიტში და შესაბამისად, ეფექტიანობა აჩვენოს მისმა მედიკამენტებმა. ამიტომ, როშე ასევე დიდ ფასდაკლებას აძლევდა კომპანიას (კრედიტ ნოტების სახით), რაც მას შესაძლებლობას აძლევდა, ელექტრონულ პროგრამაში მედიკამენტი მიეწოდებინა ხშირ შემთხვევაში [redacted]

სააგენტო კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ არც კომპანიის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ისევე როგორც საბაზრო ქმედებებით არ დასტურდება სარეკომენდაციო ფასების სავალდებულო ხასიათი და მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში რაიმე კონკრეტული სახის შედეგების არსებობა. შესაბამისად, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მოცემულ შემთხვევაშიც კომპანია თავისუფალი იყო ფასწარმოქმნაში. დამატებით იკვეთება, რომ როშეს კომერციულ ინტერესს მაქსიმალურად მეტი რაოდენობის მედიკამენტის გაყიდვა წარმოადგენდა, ხოლო კომპანიას აღნიშნული მიზნის მიღწევა შეეძლო უფრო მეტად კონკურენტული და არა იდენტური ფასით.

**მედიკამენტზე ყველაზე დაბალი ფასი, როგორც პორტალზე გამარჯვებულის გამოვლენის საფუძველი** - 2023 წლის 25 დეკემბერს მოკვლევის მხარეებთან გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე შპს „პსპ ფარმამ“ სადავოდ გახადა სააგენტოს მიერ შეფასებული ფაქტობრივი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად სპეციალურ ელექტრონულ პორტალზე სხვადასხვა ფასებით მედიკამენტების განთავსების შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიად ცხადდება სულ მცირე 1 თეთრით დაბალი ფასის მქონე ეკონომიკური აგენტი. კომპანიამ მაგალითად მოიყვანა მედიკამენტ კაელიქსის შემთხვევა, 2023 წლის იანვრის მდგომარეობით. კერძოდ, კომპანიის მითითებით, აღნიშნულ მედიკამენტზე შესაბამისი პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა შემდეგი ფასები: 550, 625, 670 და 820, საიდანაც შპს „პსპ ფარმას“ განთავსებული ჰქონდა ყველაზე დაბალი ფასი 550 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, პაციენტები გადამისამართდნენ შპს „პსპ ფარმას“ გარდა, სხვა ორ კომპანიასთანაც.

**სააგენტოს პოზიცია** - კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეიძლება იქნეს განხილული როგორც ფაქტობრივი გარემოების შესაფასებლად საკმარისი მონაცემი, რადგან მედიკამენტის რეალიზაციაზე დაბალ ფასთან ერთად გავლენას ახდენს სტატუსი „აქტიური“ და „პასიური“. ამასთან, განსხვავებით ფასის წარდგენის პერიოდისგან (ყოველი კალენდარული თვის 15-21 რიცხვის შუალედი), სტატუსის ცვლილება შესაძლებელია ნებისმიერ დროს. შესაბამისად, სააგენტო წარმოდგენილ ინფორმაციას დამაჯერებლად

ჩათვლიდა მხოლოდ სტატუსის სრული ისტორიის წარმოდგენის შემთხვევაში. ამასთან, სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი გარემოება დავის საგანზე გავლენას არ ახდენს, ვინაიდან ახალი იდენტური ფასის შემთხვევაში, **განსახილველი კანონსაწინააღმდეგო ქმედება დასრულებულია ამავე ფასის წარდგენით.**

### 5.1.3. შპს ავერსი ფარმა

2023 წლის 25 დეკემბერს მოკვლევის მხარეებთან გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე შპს „ავერსი ფარმამ" დამატებით განაცხადა, რომ პორტალზე წარდგენილი მედიკამენტების ფასებს აღნიშნული კომპანია ადგენდა საცალო ქსელში განთავსებული ფასების შესაბამისად, უფრო ზუსტად ამ უკანასკნელის იდენტური სახით. შესაბამისად, მისი კონკურენტი კომპანიები ონკოლოგიური მედიკამენტების შესახებ ინფორმაციას იღებდნენ ავერსის საცალო სააფთიაქო ქსელში ფასებზე დაკვირვების შედეგად და პორტალის ფარგლებში საკუთარ მედიკამენტებზე შპს ,,ავერსი ფარმას" იდენტურ ფასებს განათავსებდნენ. კომპანიის პოზიციით, სწორედ ხსენებული პრაქტიკა განაპირობებდა კონკურენტებს შორის ფასების იდენტურობას პორტალზე. კომპანიის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მედიკამენტების მხოლოდ პორტალზე გაყიდვის შემთხვევაში ალოგიკური იქნებოდა ფასების დამთხვევა, მაგრამ მათი განმარტებით მედიკამენტები იყიდება აგრეთვე საცალო და საბითუმო გზითაც, რაც არ გამორიცხავს ფასების დამთხვევას.[109]

**სააგენტოს პოზიცია** - მოკვლევის ფარგლებში, მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებთან გამართულ ახსნა-განმარტებით შეხვედრებზე, კომპანიების მიერ აღინიშნა, რომ პორტალზე და საცალო ბაზარზე არსებული ფასები განსხვავებულია, ძირითად შემთხვევებში პორტალის ფასი უფრო დაბალია. შპს „ავერსი ფარმამ" განაცხადა, რომ ფასები ძირითად შემთხვევებში იდენტურია, თუმცა არსებობს მცირე განსხვავებებიც.

სააგენტო პირველ რიგში განმარტავს, თუ რას ნიშნავს საცალო ბაზარზე და პორტალზე არსებული ფასების „იდენტურობა", კერძოდ, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პორტალზე 15-21 რიცხვებში ატვირთული ფასები ძალაშია 22 რიცხვიდან, პორტალზე მოქმედი ახალი იდენტური ფასი თანხვედრაში იქნება საცალო ბაზართან 22 რიცხვიდან - მისი ამოქმედების რიცხვიდან, რაც გამორიცხავს განსახილველ შემთხვევაში საცალო ბაზარზე არსებული ფასების ზემოქმედებას პორტალზე წარსადგენ ფასებზე. მეორე მხრივ, კომპანია აღნიშნავს, რომ *საცალო ქსელში ფასის დაკორექტირებას ახალი იდენტური ფასით ახდენდა პორტალის გახსნამდე, თავად ახორციელებდა საცალოს იდენტური ფასის წარდგენას პორტალზე, ხოლო კომპანიების იდენტური ფასი განპირობებული იყო მისივე საცალო ფასის მიბაძვით.* ამასთან, კომპანია დამატებით აღნიშნავს, რომ ის მუდმივად ახორციელებდა კონკურენტების ფასების მონიტორინგს და დაბალი ფასის აღმოჩენის შემთხვევაში ამცირებდა ფასს სულ მცირე კონკურენტის დაბალ ფასამდე. შესაბამისად, არადამაჯერებელია კომპანიის პოზიცია,

[109] შპს „ავერსი ფარმას"-თან 2023 წლის 25 დეკემბერს გამართული შემაჯამებელი სხდომის ინდივიდუალური (ღია) ნაწილი.

რომელიც ერთი მხრივ იდენტურ ფასწარმოქმნას ხსნის კონკურენტების სავარაუდო მიბაძვით საკუთარ საცალო ქსელზე, ხოლო მეორე მხრივ აღნიშნავს, რომ ფასების მონიტორინგის შედეგად თავად ბაძავს კონკურენტებს. ამასთან, კომპანიის პოზიცია იმის შესახებ, რომ კონკურენტები ახორციელებენ შპს „ავერსი ფარმას“ საცალო ქსელის მიბაძვას იმ პირობებში, როდესაც თავადაც ახორციელებს საკუთარი საცალო ქსელის იდენტური ფასის წარდგენას პორტალზე, წინააღმდეგობრივია ყოველგვარ ბიზნეს ინტერესთან და ბიზნესის კომერციულ ხასიათთან, რადგან საკუთრი საცალო ფასის პორტალის დახურულ სისტემაში წარდგენის გზით, კომპანია კონკურენტულ ბაზარზე მოახდენდა პოტენციური კონკურენტული უპირატესობის სტრატეგიულ ანულირებას, რაც კონკურენტულ ბაზარზე კონკურენტ კომპანიებს მისცემდა მარტივ შესაძლებლობას განეჭვრიტათ ამ პროგრამის ფარგლებში ბაზრის ლიდერი კომპანიის (ავერსის) ქცევა და წაერთვათ მისთვის როგორც შესაძლო საფასო უპირატესობა, ასევე ბაზრის წილი - რასაც ადგილი არ ჰქონია.

დამატებით, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შპს „ავერსი ფარმა“ იდენტური ფასწარმოქმნის გასამართლებლად აპელირებს კონკურენტების მიერ ავერსის საცალო ქსელში არსებული ფასების მიბაძვაზე, რის პარალელურადაც, არც ერთი მოპასუხე კომპანია არ აღნიშნავს მის მიერ ავერსის საცალო ქსელში არსებული ფასების გავლენაზე საკუთარ ფასწარმოქმნაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ავერსის აპელირება განსახილველ საკითზე წარმოადგენს სააგენტოს შეცდომაში შეყვანის მცდელობას და ის ვერ იქნება გაზიარებული.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ კომპანიის მიერ სააგენტოში არ წარმოდგენილა საცალო ფასების პორტალზე წარსადგენ ფასებზე გავლენის მომხდენი ამგვარი ფაქტი/ინფორმაცია/მტკიცებულება.

კომპანია სააგენტოსთვის წარდგენილ პოზიციაში, აგრეთვე აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ სააგენტო არ განიხილავს ფასების დინამიკას, კერძოდ *როდესაც ფასები მცირდება და რაღაც მომენტში 2 კომპანიის ფასები ერთმანეთს ემთხვევა, აღნიშნულის გამო კომპანიების დადანაშაულება შეთანხმებულ ქმედებაში არარელევანტურია.* ასევე, კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც დინამიკაში არ ფიქსირდება ფასების ზრდა, რაც მისივე პოზიციით წარმოადგენს შეთანხმებული ქმედების გამომრიცხავ გარემოებას.

სააგენტო მოცემულ შემთხვევაშიც არ იზიარებს შპს „ავერსი ფარმას“ არგუმენტაციას, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გარკვეულ შემთხვევაში ფასის შემცირება არ გამორიცხავს შეთანხმებული ქმედების არსებობას, შესაბამისად კომპანიის არგუმენტაცია დაუსაბუთებელია ამ ნაწილშიც.

### 5.1.4. შპს მერმისი

სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით, შპს მერმისის მიერ წარმოდგენილ იქნა პოზიციები, კერძოდ კომპანია აღნიშნავს, რომ *2020 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, 24 თვის მანძილზე, შპს „ავერსს“, შპს „ჰსპ ფარმას“ და სს „გეფას“ (შემდგომში - „აპგ“) მთელ რიგ იმუნოთერაპიულ პრეპარატებზე იდენტური ფასები ჰქონდათ დაფიქსირებული და ეს იდენტური ფასები თანაბრად ანაწილებდა მათ შორის რეალიზაციას. არ იყო საჭიროება თუნდაც ერთ თეთრიანი სხვაობით განსხვავებულ ფასებზე გადასულიყვნენ.*

კომპანიის წარმომადგენელი განმარტავს, რომ მერმისს პროგრამაში ჩართვიდან მალევე მოუწია ფასი დაეკლო პრეპარატებისათვის და კონკურენციის გასაწევად ერთ ეტაპზე თვითღრებულებაზე დაბალ ფასადაც ყიდდა პროდუქციას, რის საკომპენსაციოდაც შემდგომში მოუწია მოემატებინა ფასები, რათა ზიანი არ მიდგომოდა კომერციულ ინტერესებს. კომპანია ასევე აღნიშნავს, რომ მისი ფასდაკლების ყველა მცდელობას „აპგ“ „დემპინგით“ პასუხობდა. თავისივე განცხადებით, ფასდაკლებების ხარჯზე „მერმისის“ ბრუნვამ იმატა, რამაც სავარაუდოდ შეამცირა „აპგ“-ს ბრუნვა. შედეგად მათაც დაიწყეს ფასდაკლებები, რამაც მხარის განცხადებით **„ძალზე უაზრო ხასიათი მიიღო“**, რადგან ფასები რიგ შემთხვევებში ჩამოვიდა თვითღირებულებაზე ქვევით.

მხარის პოზიციით, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს პროგრამა ყველა ამ კომპანიას ისეთ ლოგიკას კარნახობს, რომ იდენტური ფასების შემთხვევაში მათზე მოგება მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილდება, რაც მეტად მომგებიანია. თუკი ისინი კონკურენციაში შევლენ ერთმანეთთან, ეს გამოიწვევს „მტაცებლურ ფასებს“ და ყველაფერი აზრს დაკარგავს. კომპანიამ მიუთითა, რომ სამი სუბიექტის მიერ დადგენილი ეს პრაქტიკა „მერმისმა“ შეცვალა, რადგან თურქეთის ბაზარი ამის საშუალებას იძლეოდა, რომ არა ის ფასები დღემდე იდენტური დარჩებოდა.

კომპანიის პოზიციით, მერმისის მიერ რიგ მედიკამენტებზე დაწესებული მაღალი ფასი განპირობებული იყო იმით, რომ თავდაპირველ ეტაპზე კონკურენტებისათვის კონკურენციის გასაწევად იძულებული გახდა დაბალი ფასი დაეწესებინა, შედეგად მას მიადგა ზიანი და იძულებული იყო საკომპენსაციოდ გარკვეულ მედიკამენტებზე ფასები აეწია.

**სააგენტოს პოზიცია** - სააგენტოს პოზიციით, კომპანიამ რიგ შემთხვევებში ისარგებლა თურქული მედიკამენტების დაბალი თვითღირებულებით და მათ რეალიზაციას პორტალზე ახორციელებდა იდენტური სხვა მედიკამენტების ფასად. მაგალითისთვის, შესაძლებელია ალტუზან როშეს (100მგ. და 400მგ.) განხილვა. კომპანიის მიერ მედიკამენტის პირველადი წარდგენა პორტალზე განხორციელდა 2022 წლის მაისის თვეში, ფასმა შეადგინა 100მგ.-ს შემთხვევაში [redacted] ლარი, ხოლო 400მგ.-ს შემთხვევაში [redacted] თეთრი. აღნიშნული ფასები, წარმოადგენდა როშეს მედიკამენტის ავასტინის იდენტურ ფასს, რომელთა რეალიზაციასაც

პარალელურად ახორციელებდა ავერსი, ჰსპ და გეფა.[110] შესაბამისად, ფასის მსგავსმა პრაქტიკამ, მერმისს შესაძლებლობა მისცა, 100მგ.-იანი ალტუზან როშეს შემთხვევაში მიეღო [redacted]%-იანი ფასნამატის, ხოლო 400მგ.-ს შემთხვევაში [redacted]%-იანი ფასნამატის მიღების შესაძლებლობა. ის რასაც კომპანია განიხილავს, როგორც **„ძალზე უაზრო ხასიათის მიღებად“** შეინიშნება [redacted] მიერ ანალოგიური (თურქული) მედიკამენტის პორტალზე წარდგენით, რაც განხორციელდა 2022 წლის ნოემბერი/დეკემბრის თვიდან, კერძოდ კი [redacted] მიერ. ფასები რამდენიმე თვის განმავლობაში სხვადასხვა ოდენობებით მცირდებოდა და საბოლოოდ, კონკურენციის შედეგად, მოხდა მათი 200-250%-ით შემცირება. თუმცა 2023 წლის მარტის თვიდან ამ მიმართულებითაც დაფიქსირდა დაბალი იდენტური ფასი [redacted] და მერმისის მიერ, რასაც მოყვა ისტორიულად იდენტური ფასი. სააგენტომ ასევე იმსჯელა მედიკამენტ აფინიტორზეც, რასთან დაკავშირებითაც მერმისს ასევე უფიქსირდებოდა მაღალი ფასნამატი.

### 5.1.5. სს გეფა

სს ,,გეფას“ მიერ სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტთან წერილობით და შემაჯამებელ სხდომაზე ზეპირად წარმოდგენილი არგუმენტაციები თანხვედრაშია წინამდებარე გადაწყვეტილების 5.1. თავში განხილულ საკითხებთან. შესაბამისად, სააგენტო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს მათ ინდივიდუალურ განხილვას.

## 6. სააგენტოს შეფასება ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით

ცალკეულ შემთხვევებში, ერთი და იგივე ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს როგორც კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას, ასევე აკმაყოფილებდეს კანონის მე-6 მუხლის დისპოზიციას, რადგან აღნიშნული მუხლი მოიცავს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ (ჯგუფური დომინანტობის შემთხვევები). ევროკავშირის სამართალი *a priori* არ გამორიცხავს ერთ ფაქტობრივ მოცემულობაზე TFEU 101-ე და 102-ე მუხლების ერთობლივ მოქმედებას.[111] თუმცა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო მიუთითებს, რომ ხსენებული ორი მუხლის მოქმედების სფერო განსხვავებულია.

---

[110] ალტუზან როშე და ავასტინი მედიკამენტის Bevacizumab სავაჭრო დასახელებებს. ალტრუზან როშე იმპორტირებულია თურქეთიდან პარალელური იმპორტის მეშვეობით, ხოლო ავასტინი მოწოდებული როშეს მიერ პირდაპირი გზით (იმპორტიორი კომპანიების მეშვეობით).

[111] Joined Cases C-395/96 P and C-396/96 P, Compagnie Maritime Belge Transports SA and others v Commission, ECLI:EU:C:2000:132, აბზ. 33.

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-7 მუხლი ვრცელდება მხოლოდ შეთანხმებებზე/შეთანხმებულ ქმედებებზე. შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის ცალმხრივი ქმედება არ მოექცევა ხსენებული ნორმის მოქმედების ქვეშ. შესაძლოა, ასეთი ქმედება კანონის მე-6 მუხლით დადგენილ აკრძალვას დაექვემდებაროს.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა ცდილობს ზღვარი გაავლოს, თუ როდის არის სახეზე შეთანხმება და როდის - ეკონომიკური აგენტის მიერ საკუთარი პოლიტიკის სხვა ეკონომიკურ აგენტზე ცალმხრივად თავსმოხვევა. მაგალითად, ხელშეკრულების ერთი მხარის (მიმწოდებლის) მოთხოვნა მეორის (დისტრიბუტორის) მიმართ, კონკურენციის კანონდარღვევით შეეწყვიტა გარკვეულ ტერიტორიაზე პროდუქციის პარალელური იმპორტი, არ ჩაითვალა TFEU 101-ე მუხლის დარღვევად, რადგან დისტრიბუტორი ეკონომიკური აგენტი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ხსენებულ მოთხოვნას და, შედეგად, სახეზე არ იყო ნებათა თანხვედრა.[112]

მოკვლევის ფარგლებში, მართალია საწყის ეტაპზე სააგენტოს ჩამოუყალიბდა გონივრული ეჭვი მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც განსახილველ შემთხვევაში გულისხმობს არასამართლიანად მაღალი (ჭარბი) ფასის დაწესებას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ამავე მოკვლევის პროცესში გამოიკვეთა და დადგინდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სპეციალური ნორმატიული შემადგენლობის - კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი, სააგენტოს შეფასებით სახეზეა მოპასუხე 5-ივე ეკონომიკური აგენტის მიერ საერთო განზრახვის არსებობა (ნებათა თანხვედრა) შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებით, რაც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცალმხრივი ქმედების არსებობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, სააგენტოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დამატებით იმსჯელოს და შეაფასოს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებული ქმედებები კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიერ მოცემული მოკვლევის ფარგლებში კანონის მე-6 მუხლთან დაკავშირებული შეფასება *a priori* არ ნიშნავს იმას, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, ან ახლადაღმოჩენილი/ახლადაგამოვლენილი გარემოების არსებობის პირობებში, სააგენტო არ არის უფლებამოსილი  დაიწყოს მოკვლევა შესაბამის ბაზარზე, მათ შორის საკუთარი ინიციატივით.

[112] Bayer – Adalat, OJ [1996] L 201/1, on appeal Case T-41/96 [2000] ECR II-3383, ECLI:EU:T:2000:242, and Joined Cases C-2/01P and 3/01P, Bayer AG v Commission [2004] ECR I-23, ECLI:EU:C:2004:2.

# დასკვნა

1. მოკვლევის ფარგლებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოება - შპს ,,ავერსი ფარმას“, სს ,,გეფას“, შპს ,,პსპ ფარმას“ და შპს ,,მერმისის“ მიერ 2021-2023 წლებში სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებულ სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში 42 მედიკამენტზე 88 შემთხვევაში წარდგენილი ახალი იდენტური ფასის შესახებ, სააგენტოს პოზიციით, შეუძლებელია განხორციელებულიყო მხარეებს შორის კოორდინაციის/შეთანხმების გარეშე და წარმოადგენს შეთანხმებულ ქმედებას, რაც გამოიხატა ფასების ფიქსაციაში. ამასთან, სააგენტო არ იზიარებს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ სააგენტოში წარმოდგენილ ქმედების ალტერნატიულ ახსნას და დამატებით არგუმენტებს.

2. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს ,,ავერსი ფარმას“, სს ,,გეფას“, შპს ,,პსპ ფარმას“ და შპს ,,მერმისის“ მიერ გამოსაკვლევ პერიოდში, კერძოდ 2021-2023 წლებში, ხორციელდებოდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში გარკვეულ ონკოლოგიურ მედიკამენტებზე ახალი (უნიკალური) იდენტური ფასწარმოქმნა - ფასების ფიქსაცია.

3. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს ,,ავერსი ფარმას“, სს ,,გეფას“, შპს ,,პსპ ფარმას“ და შპს ,,მერმისის“ მიერ 2021-2023 წლებში განხორციელებული შეთანხმებული ქმედება წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სპეციალურ ნორმატიულ შემადგენლობას, კერძოდ ეკონომიკური აგენტების შეთანხმებულ ქმედებას, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა - გაყიდვის ფასის დადგენის (ფიქსაციის) გზით.

4. მოკვლევის ფარგლებში არ დადგინდა, შპს ,,ეს კა იმპექსის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის ფაქტი.

5. მოკვლევის ფარგლებში არ დადგინდა, შპს ,,ავერსი ფარმას“, სს ,,გეფას“, შპს ,,პსპ ფარმას“, შპს ,,მერმისის“ და შპს ,,ეს კა იმპექსის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის ფაქტი.

## სანქცია

კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის ხარისხის ზრდას, რათა მოხდეს ისეთი ბაზრების არსებობის გარანტირება, რომელიც შესაბამისობაში იქნება მომხმარებლის ინტერესებთან, უზრუნველყოფს ეკონომიკაში რესურსების ეფექტიან გადანაწილებასა და ინოვაციებზე ორიენტირებული წარმოების გაუმჯობესებას. ამასთანავე, კონკურენციის კანონმდებლობა მიზნად ისახავს ბაზარზე კონკურენციის, როგორც მომხმარებელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და რესურსების ეფექტურად განაწილების ხელშეწყობას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კანონი ითვალისწინებს კონკურენციის კანონმდებლობისა და კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების გარკვეულ მექანიზმებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ აღსრულების კონკრეტული ღონისძიებების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელება, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებისა და კონკურენციისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტების პრევენცია და თავიდან აცილება, რათა დაცულ იქნეს საერთო საზოგადოებრივი ინტერესები.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს ჯარიმა. სანქციის აღნიშნული მექანიზმის გამოყენება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს აღსრულების ამ ღონისძიების მიზნებისა და ფუნქციების გათვალისწინებით. კერძოდ, ჯარიმის დაკისრებას გააჩნია კონკურენციის დარღვევის აღმოფხვრის ფუნქცია, ვინაიდან დაკისრებული სანქცია, რომელიც გამოითვლება დარღვევის სიმძიმის, ხანგრძლივობის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით, ერთგვარი კომპენსაციაა ჯანსაღი კონკურენტული გარემოსა და მომხმარებლის კეთილდღეობისათვის მიყენებული ზიანის საპირწონედ. გარდა ამისა, ჯარიმა, განიხილება, როგორც კონკურენციის პოტენციური შემზღუდველი ქმედებების შემაკავებელი ბერკეტი, ვინაიდან იგი ეკონომიკურ აგენტებში ქმნის დასჯის რეალური საფრთხის განცდას. ამდენად, კონკრეტული დარღვევისათვის ეკონომიკური აგენტისთვის დაკისრებულ ჯარიმას უნდა ჰქონდეს საკმარისად შემაკავებელი ეფექტი, არა მხოლოდ კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტის/აგენტების მიმართ („specific deterrence“), არამედ სხვა ეკონომიკური აგენტების მიმართაც, არ ჩაერთონ ან არ გააგრძელონ კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები („general deterrence“).[113] შესაბამისად, ჯარიმის ოდენობაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული ფუნქციებისა და მიზნების შესაბამისად უნდა დადგინდეს.

როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში დადგინდა შპს „ავერსი ფარმას“, სს „გეფას“, შპს „პსპ ფარმას“ და შპს „მერმისის“ მიერ კანონის მე-7 მუხლის დარღვევა (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება ან შეთანხმებული

[113] Guidelines on the method of setting fines imposed pursuant to Article 23(2)(a) of Regulation No 1/2003 (2006/C 210/02), § 4, ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52006XC0901(01)

ქმედება). აღნიშნული კანონდარღვევისთვის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა სანქციის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას. კერძოდ, კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, *„ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს.“* „წინა ფინანსურ წელში“ იგულისხმება სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტისთვის ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წლის წინა ფინანსური წელი,[114] რაც ემსახურება იმ მიზანს, რომ დადგენილ იქნას ეკონომიკური აგენტის აქტუალური ფინანსური შესაძლებლობები, რაც უნდა იყოს ჯარიმის საკმარისად პრევენციული ოდენობის განსაზღვრის საფუძველი. შესაბამისად, ვინაიდან მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება 2023 წელს, ჯარიმის განსაზღვრა უნდა მოხდეს შესაბამისი ეკონომიკური აგენტების 2022 წლის წლიური ბრუნვებიდან. წლიური ბრუნვა არის კომპანიის შემოსულობა, ამონაგები - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ან კანონმდებლობით დადგენილი სხვაგვარი წესით აღრიცხული შემოსავლები/შემოსულობები. ამავდროულად, ჯარიმის მაქსიმალური ოდენობის დადგენის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება ეკონომიკური აგენტის სრული წლიური ბრუნვა და არა მის მიერ კანონდარღვევის შედეგად რეალიზებული საქონლის ან მომსახურების ოდენობიდან მიღებული შემოსავალი. აღნიშნულ ბრუნვაში შედის, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავალიც.[115]

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სანქციის ოდენობის განსაზღვრისას, სააგენტო მხედველობაში იღებს შესაბამისი საქმის რელევანტურ დეტალებს, აფასებს დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს და სანქციის მიზნების გათვალისწინებით ადგენს ჯარიმის კონკრეტულ ოდენობას. ამასთან, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველო კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპებით[116] (შემდგომში - „სახელმძღვანელო პრინციპები“).

მოკვლევის ფარგლებში, წლიური ბრუნვების შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნა უშუალოდ ეკონომიკური აგენტებისგან. მოპასუხე კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით - შპს „ავერსი ფარმას“ (ს/ნ 211386695) 2022 წლის ჯამური ბრუნვა შეადგენს [redacted] ლარს; სს „გეფას“ (ს/ნ 201991229) 2022 წლის ჯამური ბრუნვა შეადგენს [redacted] ლარს, შპს „პსპ ფარმას“ (ს/ნ 202203123) 2022 წლის ჯამური ბრუნვა შეადგენს [redacted] ლარს და შპს „მერმისის“ (ს/ნ 201947340) 2022 წლის ჯამური ბრუნვა შეადგენს [redacted] ლარს. შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის დარღვევისათვის სწორედ აღნიშნული თანხის ფარგლებში

[114] სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის 1.1. პუნქტი.
[115] სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის 1.1. პუნქტი.
[116] ხელმისაწვდომია: https://admin.competition.ge/uploads/0dc9ce2ac3304600b1af11ffffac206b.pdf

უნდა მოხდეს მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრა.

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის 1.2. ქვეთავზე და განმარტავს, რომ სანქციის შეფარდების პროცესში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასწარ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და რეგულაციები, რომლებიც შემთხვევათა განზოგადებისკენ არის მიმართული. ამასთან, **დაუშვებელია ცალკეული შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებებისთვის ფიქსირებული პროცენტული მაჩვენებლის მინიჭება ჯარიმის ოდენობასთან მიმართებით.**[117]

სააგენტო აღნიშნავს, რომ ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს სამართალდარღვევის შედეგად დამდგარი ზიანისა და ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოცულობა. აღნიშნულის გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აუცილებელია, სანქციას გააჩნდეს საკმარისი სადამსჯელო/პრევენციული ეფექტი (ეკონომიკური აგენტისთვის ჯარიმის დაკისრების შემდეგ, საერთო ჯამში, სარგებლის მომტანი არ უნდა იყოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა). გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული მოკვლევა მიმდინარეობს კონკრეტული სუბიექტის/სუბიექტების მიმართ, აუცილებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთობლიობაში შეფასდეს კანონდარღვევის სიმძიმე, ხანგრძლივობა და დარღვევით გამოწვეული ზიანი, ქმედების დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი გარემოებები. ჯარიმის კონკრეტული ოდენობის გამოთვლის მიზნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სამართალდარღვევის სიმძიმის შეფასება. სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდველი ქმედებების სიმძიმე ფასდება იმ მოცულობის ფარგლებში, რა მოცულობითაც მოხდა თავისუფალი, ჯანსაღი კონკურენციის შეზღუდვა. ამასთან, უნდა შეფასდეს კანონდარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, განისაზღვროს შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ხარისხი (მაგალითად, სამართალდარღვევაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების რაოდენობა, შემზღუდველი ქმედებების შინაარსობრივი და გეოგრაფიული მასშტაბები და სხვ.). ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისათვის ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური აგენტის ფინანსური მდგომარეობა.

სააგენტო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი შეთანხმების არსებობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აწესებს შესყიდვის ან გაყიდვის ფასს, ავტომატურად წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებას, იმგვარად, რომ აღარ ხდება მისი კონკურენციის შემზღუდველი ეკონომიკური ეფექტის შეფასება. ამგვარ შეთანხმებას გააჩნია წმინდა ნეგატიური ეფექტი შესაბამისი ბაზრის კონკურენტულ გარემოზე და აღნიშნულის გათვალისწინებით, შეთანხმებული ქმედებით

[117] სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის პირველი პუნქტი.

რეალურად გამოწვეული/პოტენციური შედეგი შეფასებას არ საჭიროებს. ჰორიზონტალური კოორდინაცია (ფასების ფიქსაცია) რასაც მოცემულ საქმეში აქვს ადგილი, წარმოადგენს ე.წ. hard-core restriction კატეგორიას. ასევე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტები, რომ დარღვევაში მონაწილეობდნენ ფარმაცევტულ ბაზარზე მოქმედი ყველაზე მსხვილი ეკონომიკური აგენტები და ქმედება მოიცავდა ქვეყნის სრულ გეოგრაფიულ არეალს.

სააგენტო მიუთითებს, რომ იდენტიფიცირებულ ქმედებათა რაოდენობა მართალია არ ახდენს გავლენას შეთანხმების კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის ეფექტზე, თუმცა მნიშვნელოვანია მისი რეალობაში განხორციელებისა და რეალური საფრთხის თვალსაზრისით. ასევე, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომხმარებლებს გააჩნიათ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ანაზღაურების ლიმიტი (25 ათასი ლარი).[118] შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც კომპანიათა შეთანხმების შედეგად ბაზარზე არ ხდება ფასისმიერი კონკურენციის გაწევა, წარმოიქმნება საფრთხე იმისა, რომ კომპანიების მხრიდან შეთანხმების შედეგად პრეპარატების იდენტური ფასით რეალიზაციის პირობებში, მომხმარებელს გაცილებით მოკლე ვადაში ეწურება აღნიშნული ლიმიტი, რაც თავისთავად წარმოქმნის მძიმე რისკებს მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელ მედიკამენტზე ხელმისაწვდომობის კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ კონკურენციის განსახილველი გზით გაუწევლობა, პროპორციულად ზრდის სახელმწიფოს (გადასახადის გადამხდელთა) საბიუჯეტო დანახარჯებს.

კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შინაარსობრივი და გეოგრაფიული მასშტაბების, ასევე სამართალდარღვევაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების რაოდენობის გარდა, მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს კანონდარღვევის ხანგრძლივობა რაც გულისხმობს კანონდარღვევის დაწყებისა და დასრულების პერიოდის იდენტიფიცირებას. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მოკვლევა დაწყებულ იქნა სააგენტოს ინიციატივით. იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს მიერ გამოსაკვლევი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტები იდენტიფიცირებულ იქნა 2021-2023 წლებში, მოკვლევის ფარგლებში კანონდარღვევის დაწყებისა და დასრულების პერიოდად განსაზღვრულ იქნა 2021-2023 წლები.[119]

აღსანიშნავია, რომ სააგენტო არ წარმოადგენს კონკრეტული სუბიექტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ზუსტი ოდენობის დადგენაზე უფლებამოსილ ორგანოს. კანონდარღვევით გამოწვეული ზიანის დადგენა არ ხორციელდება ზუსტი ციფრით, არამედ

[118] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება №36 „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“.

[119] შესასწავლ პერიოდში (2021-2023 წლები, აგვისტოს ჩათვლით) იდენტური ფასის პირველი შემთხვევა გამოვლინდა 2021 წლის მაისის თვეში, ხოლო საკვლევ პერიოდში უკანასკნელი შემთხვევა დაფიქსირდა 2023 წლის ივნისის თვეში.

უნდა შეფასდეს რა სახის ზიანი გამოიწვია კონკურენციის დარღვევამ, რა ფარგლებში და რა მასშტაბით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯარიმის ოდენობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას ეკონომიკური აგენტის არსებობას.[120] აქედან გამომდინარე, მისი ოდენობა შესაბამისობაში უნდა იყოს ეკონომიკური აგენტის ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებთან. ამასთან, დაკისრებული ჯარიმა არ უნდა გახდეს ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველი.[121] სააგენტო მიუთითებს, რომ მიზანშეწონილია დაწესებული სანქცია ერთი მხრივ ემსახურებოდეს კანონდარღვევის პრევენციის მიზანს, ხოლო მეორე მხრივ მნიშვნელოვნად არ იყოს აცდენილი სამართალდამრღვევი სუბიექტების მიერ შესაბამისი ბაზრის კონკურენტული გარემოსათვის მიყენებულ ზიანს. სააგენტო ასევე მხედველობაში იღებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის მიხედვითაც, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას, მოკვლევის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა შეიძლება განხილულ იქნეს შემამსუბუქებელ გარემოებად. აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მოკვლევის განმავლობაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენისა და დაზუსტების მიზნით სააგენტო მოპასუხე მხარეებისაგან პერიოდულად ითხოვდა მათ ხელთ არსებული ინფორმაციისა და დამატებითი განმარტებების წარმოდგენას, რომელიც ხელს შეუწყობდა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას. მოპასუხე მხარეები მოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად და აქტიურად თანამშრომლობდნენ სააგენტოსთან, დადგენილ ვადებში აგზავნიდნენ მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამის დოკუმენტაციას. ამასთან, საქმის გარემოებათა დასადგენად ახსნა-განმარტების მისაცემად მხარეები, მონაწილეობას იღებდნენ სააგენტოში გამართულ როგორც ახსნა-განმარტებით სხდომებში, აგრეთვე შემაჯამებელ სხდომაზე და არ აფერხებდნენ მოკვლევის პროცესის განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯარიმის ინდივიდუალურ ოდენობად, სააგენტოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა:

შპს „ავერსი ფარმა“ - წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის [redacted]%;
სს „გეფა“ - წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის [redacted]%;
შპს „პსპ ფარმა“ - წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის [redacted]%;
შპს „მერმისი“ - წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის [redacted]%.

[120] სახელმძღვანელო პრინციპების, მეორე თავის 1.2. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
[121] იქვე.

## სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 33-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტებისა და „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, სააგენტომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დადასტურდეს შპს ,,ავერსი ფარმას“ (ს/ნ 211386695), სს ,,გეფას“ (ს/ნ 201991229), შპს ,,პსპ ფარმას“ (ს/ნ 202203123) და შპს ,,მერმისის“ (ს/ნ 201947340) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა.

2. არ დადასტურდეს შპს „ეს კა იმპექსის“ (ს/ნ: 204898441) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა.

3. არ დადასტურდეს შპს „ავერსი ფარმას“ (ს/ნ: 211386695), სს „გეფას“ (ს/კ: 201991229), შპს „პსპ ფარმას“ (ს/კ: 202203123), შპს „მერმისის“ (ს/კ: 201947340) და შპს „ეს კა იმპექსის“ (ს/ნ 204898441) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა.

4. პირველ პუნქტში მითითებული კანონდარღვევისთვის ეკონომიკურ აგენტებს დაეკისროთ ჯარიმა შემდეგი ოდენობით:

   4.1 **შპს „ავერსი ფარმას“** (ს/ნ: 211386695) - **14 402 425.0** ლარი;
   4.2 **სს „გეფას“** (ს/ნ: 201991229) - **20 349 336.13** ლარი;
   4.3 **შპს „პსპ ფარმას“** (ს/ნ: 202203123) - **17 094 872.88** ლარი;
   4.4 **შპს „მერმისს“** (ს/ნ: 201947340) - **951 301.15** ლარი.

5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარედგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

## რეკომენდაცია

მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული სპეციალური ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირების მარეგულირებელი პროცედურული წესები ნორმატიულ დონეზე არ არის ჩამოყალიბებული. მართალია, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის და ზოგადად პორტალის ფუნქციონირება პრაქტიკაში დამკვიდრებული პრინციპების მიხედვით ხორციელდება, თუმცა სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს მის ნორმატიულ დონეზე რეგულირებასაც.

შესაბამისად, ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სააგენტო გასცემს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, რათა მსგავს შემთხვევებში - საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, მსგავსი სპეციალური ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ურთიერთობები და პრინციპები დარეგულირდეს შესაბამისი ნორმატიული აქტით.